

170
1984/3

ISSN 0132-5981

საქართველოს
საბჭოთავო
კულტურის
მინისტროს
განკარგობის
სამსახური

საქართველო საბჭოთავო



2 1984

საგჟოთა სამართალი

№ 2

მარტი
აკრილი

1984 წელი

შურნალი გამოდის 1986 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი

შინაარსი

სოციალისტური დემოკრატიის ჯიშები	3
<u>საგჟოთა სამართლის თეორიის საკითხები</u>	
ბ. ზოჩია — მხარეთა ინტერესების თანაფარდობა კონფერენციული მეთოდით	7
<u>კანონის კომენტარი</u>	
ს. ჯორჯიანი — მოქალაქის რეაბილიტაცია სრული და უმუშევარი აქტის	13
ალ. შლენტი — სასოლო რეფორმა და ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის სრულყოფის ზომიერების საკითხი	23
ბ. ქველია — უცხოელ ავტორთა ნაწარმოებების თარგმანის გამოყენების შესახებ სსრ კავშირში	27
<u>დისკუსია, კოლეგია, რეპლიკა</u>	
ნ. მარგარიშვილი — პროკურატურის საბრალდებო სიტყვა	33
თ. ბაქრაშვილი — დაზარალებული თუ მოკლული	41
<u>შურაღება — გამოცდილება</u>	
ბ. ბარათელი — კირვილად რესპუბლიკაში	45
საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგია	50
<u>ქალთა სამართლებრივი დღისათვის</u>	
ჩვენი პროფესიის ადამიანები	52
ლეილა ნიკოლაძე. მზია ლეკვიშვილი. მანანა შურაძე. კლავს კოლაქანი, ხორსტ სეპკონიკი — ორგანიზებული დანაშაულის სამართალი	56
<u>წარსულის ფურცლები</u>	
ბ. სიდაგონია — ლადო მისნიშვილი სამსჯავროს წინაშე	62
<u>კრიტიკა და ბიბლიოგრაფია</u>	
ა. დოლოვა, მ. მურაშვილი — ნაწარმოები დანაშაულის კომპლექსური შესწავლის შესახებ	64
დ. სულაჰველიანი, მ. უგრეხელიანი — ობიექტურისა და სუბიექტურის თანაფარდობისათვის შეარსებული ცნებები	67
ინფორმაცია	74
ცნობები ავტორთა შესახებ	80



СОДЕРЖАНИЕ

Торжество социалистической демократии 3

ВОПРОСЫ ТЕОРИИ СОВЕТСКОГО ПРАВА

Б. Зойдзе — Соотношение интересов сторон в имущественных отношениях 7

КОММЕНТАРИИ ЗАКОНА

С. Джорбенадзе — Реабилитация гражданина—полный и необратимый акт.... 13

А. Жгенти — Школьная реформа и некоторые вопросы совершенствования правового воспитания молодежи 23

Г. Квелидзе — Порядок приобретения прав на использование в переводе произведений литературы иностранных авторов в СССР 27

ДИСКУССИЯ, ПОЛЕМИКА, РЕПЛИКА

Н. Эркомашвили — Обвинительная речь прокурора 33

Т. Бежашвили — Потерпевший или убитый? 41

ВНИМАНИЕ — ОПЫТ!

М. Баратели — Впервые в республике 45

На коллегии Прокуратуры Грузинской ССР 50

К МЕЖДУНАРОДНОМУ ЖЕНСКОМУ ДНЮ

Люди нашей профессии 52

Мзия Леквейшвили (О доценте кафедры уголовного права ТГУ)

Лейла Никурадзе (О начальнике управления Минюста ГССР)

Манана Курдадзе (О члене коллегии Прокуратуры ГССР)

В МИРЕ ОРГАНИЗОВАННОЙ ПРЕСТУПНОСТИ

Клаус Полькен, Хорст Сцепоник — Кто не молчит, тот должен умереть 56

СТРАНИЦЫ ПРОШЛОГО

В. Сидамонидзе — Ладо Месхишвили перед судом 62

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

А. Долгова, М. Мурашов — Работа о комплексном изучении преступности (о книге А. А. Габияни и Р. Г. Гачечиладзе «Некоторые вопросы географии преступности», Тбилиси, издательство Тбилисского университета, 1982 г., 143 с.) 64

Д. Сулаквелидзе, М. Угрехелидзе — К вопросу о соотношении объективного и субъективного в понятии вменяемости (о книге Р. И. Михеева «Проблемы вменяемости и невменяемости в советском уголовном праве», Владивосток, 1983, 298 с.) 67

Информация 74

Сведения об авторах 80

სარედაქციო კოლეგია:

- რ. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. ალექსიძე, ა. ბარაბაძე,
- გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,
- მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელაძე, ა. შუშანაშვილი,
- ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1984 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი კლუხანოვის კრ. 103. ტ. 95-58-87, 95-88-49.

გადაეცა წარმოებას 17.IV.84 წ., ხელმოწერილია დასაბუქდალ 11.VI.84 წ.,
ფორმატი 70×1081/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5
შეკვ. № 928 ტირაჟი 25.100 უე 06455

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

18013

სოციალისტური დემოკრატიის ზეიმი

კვირას, 4 მარტს, გაიმართა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. მთელი ჩვენი ხალხი მონაწილეობდა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში. მან მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ვითარებაში ჩაიარა და გადაიჭვა მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო საბჭოთა ადამიანების შეკავშირების ნათელ დემონსტრაციად, სოციალისტური დემოკრატიის ნამდვილ ზეიმად. არჩევნებმა ერთხელ კიდევ ცხადყო პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ახალი გამარჯვება, იმ პლატფორმის სისწორე და ცხოველყოფილობა, რომლითაც არჩევნებზე გამოვიდა კომუნისტური პარტია.

წინა არჩევნებთან შედარებით განუზომლად განმტკიცდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა და თავდაცვითი ძლიერება. მწყობრში ჩადგა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ათასზე მეტი სამრეწველო საწარმო, განახლდა ქვეყნის საწარმოო ძალები, აღმავლობის გზაზეა სოციალისტური სოფლის მეურნეობა, განუზრდელად სრულდება სოციალური პროგრამები, რომლებიც პარტიამ შეიმუშავა. არჩევნებიდან არჩევნებამდე განვლილ პერიოდში პარტიას თავის უპირველეს და უმაღლეს მიზნად მიაჩნდა ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის ზრუნვა, კაცობრიობის დამანგრეველი თერმობირთვული ომის თავიდან აცილება, ხალხთა და ქვეყნებს შორის ნდობის განმტკიცება.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობით, არჩევნებში მონაწილეობდა 184.006.878 ამომრჩეველი, ანუ საარჩევნო სიებში შეტანილ პირთა 99,99 პროცენტი.

დეპუტატთა შემადგენლობაშია 527 მუშა (35,2 პროცენტი), 242 კოლმეურნე (16,1 პროცენტი). დეპუტატთა შორის არის 1071 სკაპ წევრი და წევრობის კანდიდატი, ანუ 71,4 პროცენტი, 428 უპარტიო, ანუ 28,6 პროცენტი, 492 ქალი, ანუ 32,8 პროცენტი. 30 წლამდე ასაკის დეპუტატია 831 კაცი, ანუ 220 პროცენტი, სრულიად საკავშირო აღკა წევრია 225 დეპუტატი, ანუ 15,0 პროცენტი.


არჩევნებმა ცხადყო განვითარებული სოციალისტური საზოგადოების დრმა დემოკრატიზმი, ჩვენი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილება წარმატებით შეასრულონ ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმა-ვალდებულებანი, განამტკიცონ დისციპლინა და წესრიგი ყველგან და ყველადეურში.

არჩევნებში აქტიური მონაწილეობით ამომრჩევლებმა ხმა მისცეს საბჭოთა საზოგადოების, სოციალისტური სამართლიანობისა და ნამდვილი სახალხო ხელისუფლების საზოგადოების შემდგომი განვითარების, მოძმე ხალხების დიადი და ურღვევი მეგობრობის განმტკიცების კურსს.

რა არის სოციალისტური დემოკრატიის, საბჭოთა საზოგადოების სამართლიანობის არსი?

სოციალისტური დემოკრატია, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იშვა და დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში, ყველაზე წარმომადგენლობითი და სამართლიანია. საბჭოთა დემოკრატია პირველი დღეებიდანვე ხალხის უმრავლესობის ინტერესებს ემსახურება.

კ. მარქსის სსრ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა



ერთგვარი შეზღუდვები, რომლებსაც წინათ გამოხაკლისის სახით, განიცდიდა ჩვენი დემოკრატია. მიმართული იყო ხალხისადმი მტრულად განწყობილი კლასებისა და სოციალური ჯგუფების წინააღმდეგ. საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლის შემდეგ, განვითარებული სოციალიზმის პირობებში საბჭოთა დემოკრატია გამოხატავს და იცავს ყველა ხალხის თავისუფლებასა და ინტერესებს. სოციალისტურმა დემოკრაციამ შექმნა არნახული შესაძლებლობანი იმისათვის, რომ სახელმწიფოს და საზოგადოების მართვაში მონაწილეობდნენ მშრომელთა უფართოესი მასები.

მხოლოდ სოციალიზმის პირობებშია შესაძლებელი, რომ ხალხი იყოს თავისი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონი და მთელი სისრულით განახორციელოს ძალაუფლება. ამ მიზნით არის, რომ საბჭოთა სახელმწიფო ფართოდ აბამს მშრომელებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, ყოველმხრივ უწყობს ხელს ხალხის წარმომადგენლების აქტიურ პოზიციას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

სოციალისტური დემოკრატია განუწყვეტლივ ვითარდება და მდიდრდება, სულ უფრო სრულქმნილი ხდება. კომუნისტური პარტია ყოველ დონეს ხმარობს საბჭოთა სახელმწიფოს, დემოკრატის, სამართლისა და კანონიერების განმტკიცებისა და სრულყოფისათვის.

სოციალისტური დემოკრატის შემდგომი გაღრმავებისა და განმტკიცების საკითხებს დიდი ყურადღება დაუთმეს სკკ XXVI ყრილობამ და მას შემდეგ გამართულმა ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა. პარტიის აზრით, საჭიროა გაძლიერდეს და უფრო გამრავალფეროვნდეს სოციალისტური დემოკრატის, მოქმედი, მომუშავე დემოკრატის შინაარსი. ეს პროცესი მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს სოციალისტური საზოგადოების განვითარებას, სახალხო ხელისუფლების განხორციელების ფორმებს, რომლებიც თვითონაც განიცდიან თავისებრივ ცვლილებებს.

სოციალისტური დემოკრატის ნორმალურ ფუნქციონირებაში დიდ როლს ასრულებს საბჭოთა სამართალი და კანონიერება. ცნობილია, რომ სამართლის ყოველ ტიპს საფუძვლად უდევს გაბატონებული კლასის ნება, პოლიტიკა, მიზნები და ამოცანები. სამართალი თვით წარმოადგენს თავისუფლების განსაზღვრულ ზომას, რომელიც ადგენს ნებადართულისა და აკრძალულის საზღვრებს, აღკვეთს თვითნებობის გამოვლინებებს და უზრუნველყოფს დემოკრატიულ საწყისებზე საზოგადოების მართვას. სამართლის, კანონიერებისა და დემოკრატის ასეთი ურთიერთგავლენა შემთხვევითი არ არის. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი განმტკიცება დემოკრატის განვითარების ერთ-ერთი პირობაა.

ცნობილია, რომ ყოველი საზოგადოების განვითარება მიმდინარეობს ობიექტურად მოქმედი ეკონომიკური კანონების საფუძველზე. მაგრამ ადამიანები უძლურნი როდი არიან ამ კანონების წინაშე. მათ შეუძლიათ შეიცნონ და გამოიყენონ ეს კანონები კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართალს, რომლებიც შემოქმედებას ახდენენ ამ კანონებზე, ქვეყნის ეკონომიკაზე, ხელს უწყობენ წარმოებითი ურთიერთობის განვითარებას, უფრო სრულყოფილი მეურნეობრიობის შექმნას, სოციალისტური საზოგადოების ძალების სრულყოფას და გაფურჩქნას.

საბჭოთა საზოგადოება ყველაზე სამართლიანი და ჰუმანური საზოგადოებაა. პირველად ჩვენს ქვეყანაში მოედო ბოლო ყველაზე დიდ სოციალურ უსამართლობას — ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას. პირველად ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა მატერიალური დოვლათის სამართლიანი განაწილების, შრომის მიხედვით განაწილების, პრინციპი. პირველად ჩვენს ქვეყანაში პოვა რეალური აღიარება ფორმულამ: „ინც არ შრომობს, ის არც ჭამს“.

საბჭოთა საზოგადოების სამართლიანობა თავის ნათელ გამოხატულებას პოვებს ქვეყნის ეროვნული შემოსავლის განაწილებაში. ამ შემოსავლის სამი მეოთხედი უშუალოდ ხმარდება

საბჭოთა მოქალაქეთა პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ხოლო დანარჩენი ისარგებლა სახელმწიფოს და საზოგადოების საჭიროებებისათვის.

საბჭოთა საზოგადოების სოციალური სამართლიანობის გამოვლინებას წარმოადგენს აგრეთვე საზოგადოების წევრთა სრული თანასწორობა, მათი რასობრივი და ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, რის წყალობითაც სსრ კავშირი იქცა ხალხთა მეგობრობის სიმბოლოდ და ბასტიონად.

ექსპლოატაციის მოსპობამ, საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობის განსაზღვრამ შრომის მიხედვით, ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაციამ სრული ნდობით განაწყო ჩვენი ქვეყნის მოქალაქენი საბჭოთა საზოგადოებისადმი, სოციალისტური სახელმწიფოსადმი. ამიტომ არის, რომ ისინი სიამაყით ამბობენ: „ეს არის ჩვენი სახელმწიფო“, „სახელმწიფო — ეს ჩვენ ვართ“. სახელმწიფოსადმი ხალხის ასეთი დამოკიდებულების გამოვლინებაა აგრეთვე მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის სრული და ერთსულოვანი მხარდაჭერა.

1917 წლის 28 ოქტომბერს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო ისტორიული დადგენილება „ხელისუფლების საბჭოებისათვის გადაცემის შესახებ“, რომელშიც ნათქვამი იყო: „მთელი ძალაუფლება ამიერიდან ეკუთვნის საბჭოებს“. ამ აქტით საბჭოები მოქცნენ სამეურნეო კულტურული ცხოვრების სათავეში. ისინი თვალყურს ადევნებდნენ, თუ როგორ სრულდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები და კანონები, როგორ იცავდნენ ადგილებზე საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა უფლებებს. საბჭოებმა საზოგადოების მართვაში ჩააბეს მილიონობით მშრომელი. იგი სახელმწიფო მართველობისა და ადამიანთა აღზრდის შესანიშნავ სკოლად გადაიქცა. საბჭოები, რომლებსაც საერთო-სახალხო ნდობა და მოსახლეობის მხარდაჭერა აქვთ მოაქვებული, მათს დახმარებას ემყარებიან, გვევლინებიან სსრ კავშირის, მთელი სახელმწიფო მექანიზმის პოლიტიკურ საფუძვლად. საბჭოებში პოპულარს ყველაზე მკაფიო განხორციელებას ჩვენი სახელმწიფოს უმაღლესი კონსტიტუციური პრინციპი — ნამდვილი ბატონობა ხალხისა. როგორც არჩევითი, საყოველთაო-სახალხო წარმომადგენლობითი ორგანო და ყველაზე მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაცია, საბჭოები ამავე დროს წარმოადგენენ სრულუფლებიან სახელმწიფო ორგანოს, რომლებიც წყვეტენ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად საკითხებს და წარმართავენ ყველა დანარჩენი ორგანოს მუშაობას. საბჭოების წინაშე ანგარიშვალდებულება და მათ კონტროლს ექვემდებარება უკლებლივ ყველა სახელმწიფო ორგანო და თანამდებობის პირი.

კომუნისტური პარტია, მაღალ შეფასებას აძლევს რა საბჭოების საქმიანობას, ამჟამად ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ კიდევ უფრო სრულყოფილ სოციალისტური დემოკრატია, აამაღლოს სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლი, სრულად გამოიყენოს მათი რწმუნებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების განხორციელებაში, განავითაროს მშრომელთა აქტიურობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, გააძლიეროს აღმასრულებელი ორგანოების დეპუტატებისა და თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე. ანასთან დაკავშირებით სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ კ. უ. ჩერენცკომ ამომრჩევლებთან შეხვედრაზე 1984 წლის 2 მარტს თქვა:

„დღეს ჩვენი სახალხო ხელისუფლების ორგანოების და უწინარეს ყოვლისა საბჭოების მუშაობის ახალი წარმატებების საფუძველია სულ უფრო ფართოდ ჩავაბათ სახელმწიფო საქმეებში შეგნებული, პოლიტიკურად მომწიფებული, შეგნებულად მოაზროვნე მოქალაქეები. ეს არის საბჭოების აქტივი, მასში კი ათეულ მილიონობით ადამიანია. იგი ნამდვილად აქტიური უნდა იყოს. ამის შესაძლებლობანი უკანასკნელ წლებში არსებითად გაიზარდა. ამაღლდა ყველა დონის საბჭოების როლი მრავალფეროვანი სახალხო-სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში.“

სავსებით გამართლებულია, რომ ახლა ადგილობრივი საბჭოები უფრო მეტად აკოორდინირებენ მათს ტერიტორიაზე განლაგებული სხვადასხვა დარგის საქმიანობას. და კარგია, რომ ისინი აძლიერებენ კონტროლს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისადმი და მომსახურების სფეროს განვითარებისადმი, გარემოს დაცვისადმი. საერთოდ, საბჭოების საკონტროლო ფუნქციები სულ უფრო მეტად უნდა გავაძლიეროთ. აქ უდიდესი სარბიელია მოქმედებისათვის“¹.

საბჭოებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ სოციალისტური საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვას, მშრომელთა წერილებისა და განცხადებების განხილვას დადგენილ ვადებში, საერთოდ საბჭოთა კანონების შესრულებას. საბჭოების ყველა რგოლის მუშაკმა უნდა გაითვალისწინოს კ. უ. ჩერნენკოს ის მითითება, რომ უნდა „გაზარდოს საბჭოების როლი მათ მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების, ყველა საბჭოთა კანონის დაცვისადმი კონტროლის საქმეში. არავის არა აქვს უფლება ჩვენში დაარღვიოს კანონი ან გვერდი აუაროს მას“².

ეჭვი არ არის, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც მთელი საბჭოთა ხალხის სუვერენიტეტს გამოხატავს, კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი სახელმწიფოს საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივ საფუძვლებს, თავის წვლილს შეიტანს მომწიფებული სოციალიზმის სრულყოფაში. ამის საწინდარია საბჭოთა ხალხის სრული მხარდაჭერა კომუნისტური პარტიის პოლიტიკისადმი, ჩვენი საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა, საბჭოეთის ყველა ერისა და ეროვნების ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა.

¹ გაზეთი „კომუნისტი“, 1984 წლის 3 მარტი.

² კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1984 წლის 10 აპრილს, გაზეთი „კომუნისტი“, 1984 წლის 11 აპრილი.

მხარეთა ინტერესების თანაფარდობა ქონებრივ ურთიერთობაში

ა. ზოიძე

ყოველი ქონებრივი ურთიერთობა მხარეთა ინტერესებზეა აგებული. კანონმდებელი არა მარტო მაქსიმალურად ითვალისწინებს ამ ინტერესებს ნორმალურ ქონებრივ ურთიერთობებში, არამედ იცავს კიდევ დარღვევის შემთხვევაში. ეს ინტერესები, მართალია, გულისხმობს მხარეთა სოლიდარობას, მაგრამ ჯერ კიდევ ვხვდებით მათ შორის წინააღმდეგობის ფაქტებს. ყოველგვარი სამართალშემოქმედების მიზანია ამ წინააღმდეგობათა დაძლევა. ცხადია, ქონებრივი ურთიერთობა მეტწილად არის კონკრეტულ სუბიექტებს შორის ურთიერთობა და ამდენად დარღვეული უფლების დაცვა, აღდგენა უნდა მოხდეს ამ ურთიერთობის ფარგლებში, ერთ-ერთი მხარის ხარჯზე. ასეც ხდება მოქმედი კანონმდებლობით. მაგრამ კანონის ეს აზრი ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს, მის გამოყენებას ზოგჯერ მხარეთა ინტერესების დაუსაბუთებელ უარყოფამდე მივყავართ, გამოსავალი ის გახლავთ, რომ ამ პრინციპიდან დავეშვათ გამონაკლისი და ზოგჯერ უფლების დაცვის გზები ვეძებოთ არა მხარეთა შორის ურთიერთობაში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. ასეთ წინააღმდეგობას ვაწყდებით როგორც ვალდებულებით, ისე საკუთრების სამართალში. მის საჩვენებლად რამდენიმე შემთხვევის ანალიზიც საკმარისია. დავიწყოთ არაბრალეული პასუხისმგებლობით¹. აქ ერთმანეთს უპირისპირდება დაზარალებულისა და ზიანის მიმყენებლის ინტერესები. დაზარალებული დაინტერესებულია ზარალის ანაზღაურებით და ეს სავესებით კანონზომიერია, მისაღებია. ზიანის მიმყენებელს სურს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება და ესეც სავესებით კანონზომიერია, მას ხომ ბრალი არ მიუძღვის ზიანის მიყენებაში. მოქმედი კანონმდებლობა ამ შემთხვევაში ერთი მხარის ინტერესებს აკმაყოფილებს მეორე მხარის ხარჯზე. ეს მაშინ, როდესაც ზიანის მიმყენებლის ინტერესები არანაკლებ არის დაცვის ღირსი. მიზეზი წინააღმდეგობისა ის არის, რომ კანონმდებელმა ვერ გადალახა დელიქტური ურთიერთობის ფარგლები და დარღვეული უფლების აღდგენის ადგილიც აქ მონახა. ამ შეუსაბამობას რომ თავი დავაღწიოთ, საჭიროა მხარეთა ურთიერთობიდან ვაჭრა და დაზარალებულის ინტერესების დასაკმაყოფილებლად სხვა გზების გამონახვა. ჯერჯერობით ყველაზე მიზანშეწონილად გვესახება ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული „პასუხისმგებ-

¹ არაბრალეულ პასუხისმგებლობაზე დაწვრილებით იხ. Шварц Х. И. Значение вины в обязательствах из причинения вреда. М., 1939. Брнтусь С. Н. Юридическая ответственность и законность, М., 1976. Красавчиков О. А. Возмещение вреда причиненного источником повышенной опасности. М., 1966, და სხვა.



ლობის დაზღვევა², რომლის თანახმადაც არაბრალეულად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება არა ზიანის მიმყენებელთა ხარჯზე, არამედ სპეციალურად ამ მიზნით მათ მიერ შექმნილი სადაზღვევო ფონდებიდან². ეს კი მოსპობს ინტერესთა თანაფარდობაში არსებულ წინააღმდეგობას. ცხადია, კანონმდებლის იდეა, დაიცვას დაზარალებულის ინტერესები, მოსაწონია, მაგრამ პრობლემის სხვაგვარად გადაჭრამდე დაზარალებულისათვის ზარალის ანაზღაურებაზე უარის თქმა უფრო მეტად შეესაბამება სამოქალაქო სამართლის არსს, ქონებრივი პასუხისმგებლობის ბუნებას, ვიდრე მისი დაკისრება არაბრალეული პირისათვის. ამდენად, საჭიროა მხარეთა ურთიერთობიდან ვაგვლა. ეს პროცესი შეიმჩნევა საბჭოთა კანონმდებლობაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 ივნისის ბრძანებულებით — „იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მოქალაქეს უკანონო მოქმედებით მიაყენეს სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე თანამდებობის პირებმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას“, რეაბილიტირებული პირებისათვის მიყენებული ზიანი (მიუღებელი ხელფასი) შესაძლებელია ანაზღაურდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცხადია, ჩვენს მაგალითში ეს გზა არ გამოგვადგება, მაგრამ სხვა საშუალებების გამონახვა შესაძლებელია.

ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითი, როდესაც ზიანის მიმყენებლის ინტერესების ხარჯზე ხდება დაზარალებულის ინტერესების დაცვა. ახლა — რაც შეეხება საპირისპირო შემთხვევას. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 471-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია შეამციროს მოქალაქის მიერ მიყენებული ზარალის საზღაური ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. ამდენად, დაზარალებულს ზარალი ანაზღაურდება იმ მოცულობით, რის საშუალებასაც იძლევა ზიანის მიმყენებლის ქონებრივი შესაძლებლობანი. ამ შემთხვევაში კანონმდებელი რეალისტია, მაგრამ მას ეწირება დაზარალებულის ინტერესები — ზარალის სრული ანაზღაურების მოთხოვნილება. ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინება მოცემული ქონებრივი ურთიერთობის ფარგლებში შეუძლებელია. გარდა ამისა, არსებული ვითარება მთელ რიგ სხვა შეუსაბამობასაც იწვევს. ზიანის მიმყენებელთა სხვადასხვა ქონებრივმა მდგომარეობამ შეიძლება განაპირობოს ის, რომ სრული ანაზღაურება ვერ მიიღოს იმ დაზარალებულმა, რომელსაც ეს უფრო მეტად სჭირდებოდა და შეღავათით ისარგებლოს იმან, რომლისთვისაც ნაწილობრივი ანაზღაურება არ იქნებოდა დიდი დარტყმა. მხარეთა ინტერესების მეტი ჰარმონია რომ გვქონდეს, ორივე სუბიექტის ინტერესები რომ მაქსიმალურად გავითვალისწინოთ, საჭიროა ზარალის ის ნაწილი, რომელიც არ ანაზღაურდა ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის გამო ანაზღაურდეს სხვა გზით. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში არსებული ურთიერთობის ფარგლებშიც ვრჩებით და მის გარეთაც ვავდივართ. აუცილებელია სასამართლომ მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის მაქსიმალურად ობიექტური შეფასება მოგვეცეს.

ინტერესთა დაპირისპირებას ვაწყდებით აგრეთვე საკუთრების უფლების

² „პასუხისმგებლობის დაზღვევა“ ძირითადად ეხება მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურებას და მას საბჭოთა ცივილისტიკაში ჰყავს მომხრეები (ვ. რაზ-მილოვიჩი, მ. შიმინოვა და სხვ.).

დაცვის პროცესში³. ზოგჯერ შეუძლებელია ერთდროულად ყველა სუბიექტის ინტერესების დაცვა. კანონმდებელი ინტერესთა ამგვარი წინააღმდეგობისას ერთ-ერთი მათგანის მხარეზე რჩება, სხვანაირად რომ ვთქვათ, „ნაკლები ბოროტების ვარიანტი“ არჩევს. ამისი კარგი დადასტურებაა უფლების დაცვის სა-
 ვინდიკაციო წესი, რომელიც შემდგომ სრულყოფას მოითხოვს. ხშირად აქ ერთმანეთს უპირისპირდება მესაკუთრის, არაკეთილსინდისიერი და კეთილსინ-
 დისიერი შემძენის ინტერესები. როცა ნივთი მესაკუთრის ხელიდან მისი ნე-
 ბის გარეშე (დაკარგა, მოპარეს) გამოდის, ამ ნივთის კეთილსინდისიერი შემ-
 ძენი ვალდებულია დაუბრუნოს იგი მესაკუთრეს. აქ ერთმანეთს დაუპირისპირ-
 და მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესები. კანონმდებელს
 არ ძალუძს ერთდროულად ორივე მხარის ინტერესების დაცვა (ზოგიერთი გა-
 მონაკლისის გარდა, როდესაც კეთილსინდისიერ შემძენს აქვს შესაძლებლობა
 ანგარიში გაასწოროს იმასთან, ვისგანაც შეიძინა ქონება). კეთილსინდისიერი
 შემძენის ინტერესები რომ დაკმაყოფილდეს, მაშინ მესაკუთრეს უარი უნდა
 ვუთხრაო ქონების დაბრუნებაზე. გარდა ამისა, კეთილსინდისიერი შემძენის ინ-
 ტერესი მარტო ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვება ხომ არ არის. მას
 შეიძლება აინტერესებდეს ქონების ღირებულებაში გადახდილი თანხის დაბ-
 რუნება. კეთილსინდისიერ შემძენს წავართვით ქონება, უარი ვუთხარით ზა-
 რალის ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ პირი, რომელმაც მას უნდა აუნაზ-
 ლაუროს ზარალი, უცნობია. კეთილსინდისიერი შემძენი არანაკლებ დაცვის
 სუბიექტია, იგი უფლებრივი მდგომარეობით დიდად არაფრით განსხვავდება
 მესაკუთრისაგან, მოქმედებს საესებით მართლზომიერად, დებს კანონით გათ-
 ვალისწინებულ გარიგებას. მას არა აქვს ყოველთვის იმისი შესაძლებლობა,
 სწორად აღიქვას მოპირდაპირე მხარის ინტერესები, მისი მოქმედების კანონიე-
 რება. ან კიდევ, ყოველი გარიგება როდი მოითხოვს ქონების საკუთრების უფ-
 ლების დადასტურებას. როცა ვყიდულობთ საცხოვრებელ სახლს, ავტომანქა-
 ნას, აქ აუცილებელია იმის დადგენა, თუ ვინ არის მისი მესაკუთრე. მაგრამ
 ეს შეუძლებელია ყოველი წვრილმანი გარიგების დადებისას. რა თქმა უნდა,
 მყიდველმა უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე, თუ ვისთან აქვს ურთიერთობა.
 მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყოველ გამყიდველს (ვთქვათ, საკომერტურნო ბა-
 ზარში ყიდვა-გაყიდვისას) მოვთხოვთ საკუთრების უფლების დამადასტურე-
 ბელი დოკუმენტი (მტკიცებულება). რაც შეეხება ქონების არაკეთილსინდისიერ
 შემძენს, მისი ინტერესები ნაკლები დაცვის ღირსია. იგი, გარდა იმისა, რომ
 უკანონოდ იქცევა, ამავე დროს არაკეთილსინდისიერიც არის. სწორედ ამიტომ
 ამბობს უარს კანონმდებელი მისი ინტერესების დაცვაზე. კეთილსინდისიერ
 შემძენს კანონმდებელი მხოლოდ თანაგრძნობას უცხადებს და მის ინტერესებს
 ბოლომდე ვერ იცავს. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვერ გავვით მხარეთა შორის დამ-
 ყარებული ურთიერთობის ფარგლებიდან და დარღვეული ურთიერთობის უარ-
 ყოფითი თუ დადებითი შედეგები მხარეებს დავაკისრეთ, კეთილსინდისიერი
 შემძენის უფლების დაცვა მთლიანად არაკეთილსინდისიერ შემძენზე დავამყარეთ.

³ საკუთრების უფლების დაცვაზე დაწვრილებით იხ. Венедиктов А. В. Гражданско-правовая охрана социалистической собственности в СССР. М.-Л., 1954. Толстой Ю. К. Содержание и гражданско-правовая защита права собственности в СССР. Изд-во Ленинградского университета, 1955, და სხვა.

კეთილსინდისიერი შემძენი თუ მონახავს იმას, ვისგანაც შეიძინა ქონება, მაშინ ვიდრე უფლებით მისი უფლების დაცვის გარანტიას (ფულადი ანაზღაურებით), თუ არა და, მან უნდა მოითმინოს. იბადება კითხვა, რამდენად ვალდებულია კეთილსინდისიერი შემძენი მონახოს აღნიშნული პირი, სხვა სუბიექტებს ხომ არ ეკისრებათ სამართალდამრღვევის ძებნა. კარგი იქნება, თუ ამ წინააღმდეგობა მომავალში დაეძლევა და გამოვნახავთ სხვა საშუალებებს კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დასაცავად. სხვაგვარია მდგომარეობა მაშინ, როდესაც მესაკუთრესა და კეთილსინდისიერ შემძენს შორის არის სუბიექტი, რომელსაც მესაკუთრემ სამოქალაქო გარიგებით გადასცა ქონება. აქაც სამი სუბიექტის ინტერესი უპირისპირდება ერთმანეთს. მესაკუთრესთან გარიგების დამდები პირი (ვთქვათ, მონათხოვრე) არამართლზომიერად მოქმედებს და კანონი არც იცავს მის უფლებებს. კეთილსინდისიერ შემძენს კი ვუტოვებთ ქონებას, ეს იმიტომ, რომ მან შეიძინა ტიტულიანი მფლობელისგან (მონათხოვრისგან), მესაკუთრეს კი უნდა ვეუბნებით იმ მოტივით, რომ მან თავისი ნებით გადასცა ქონება მონათხოვრეს. ის არის მის წინაშე პასუხისმგებელი და არა კეთილსინდისიერი შემძენი. აქაც წინააღმდეგობა ცხადია. ამრიგად, აქ არის ორი მესაკუთრე. მართალია, ერთს ქონება მოჰპარეს, მეორემ თავისი ნებით გადასცა სხვა პირს, მაგრამ ორივეს უფლება არ არის დაცული თანაბრად. კანონმდებელმა მეორე შემთხვევაში მესაკუთრის მხრივ მოქმედება ნაკლები შეწყყნარების ღირსად ჩათვალა; არაჯეროვანი კონტრაქტის არჩევანზე მესაკუთრემ უნდა აგოს პასუხი. თუმცა, აქ მესაკუთრე მთლიანად არ ზარალდება, ქონებას თუ ვერ დაიბრუნებს, ამ ქონების ღირებულებას ხომ მიიღებს. თუ მონათხოვრემ კეთილსინდისიერ შემძენს ზედმეტ ფასებში მიჰყიდა ქონება, ვიდრე მესაკუთრისათვის მიყენებული ზიანის ფულადი შეფასებაა, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნებოდა სხვაობა ჩაგვერიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. თუ პირიქით იქნება საქმე, მონათხოვრე მხარეს უნდა დაეკისროს მთელი უარყოფითი შედეგები. შევხედოთ განხილულ შემთხვევებში კეთილსინდისიერ შემძენთა მდგომარეობას. ორივე კეთილსინდისიერი შემძენი მოქმედებს ერთნაირად, მართლზომიერად, ერთნაირი ფსიქიკური განწყობით, მოპირისპირე კონტრაქტები ორივეს ჰგონიათ გასხვისებული ქონების მესაკუთრე, მაგრამ ვიცავთ ორივეს ინტერესებს? ვერა, ინტერესების დაცვა აქ სრულიად შემთხვევით გარემოებაზეა დამოკიდებული. თუ კეთილსინდისიერი შემძენი ქონებას შემთხვევით ქურდისგან, მპოვნელისაგან შეიძენს, მაშინ მესაკუთრე მისგან გამოითხოვს ქონებას. ხოლო თუ ეს ქონება შემთხვევით მონათხოვრისაგან, დამჭირავებლისაგან შეიძინა, მაშინ იგი მას დარჩება. ყოველივე ეს განპირობებულია ამ ურთიერთობებში მესაკუთრეთა სხვადასხვაგვარი მდგომარეობით, გარკვეულწილად იმით, რომ მთელი ანგარიშსწორება სუბიექტებს შორის ყოველთვის მხარეთა ურთიერთობის ფარგლებში ხდება.

საინტერესოა, ამ იურიდიული შედეგებით რა დასკვნაა გამოტანილი არსებულ გარიგებათა ბუნებაზე. პირველ შემთხვევაში კანონმდებელმა არაკეთილსინდისიერ შემძენსა (ვთქვათ, მპოვნელს) და კეთილსინდისიერ შემძენს შორის დიდებული გარიგება ფაქტობრივად ბათილად ჩათვალა, არა იმ მოტივით, რომ აქ გარიგების ერთ-ერთ მხარეს (არაკეთილსინდისიერ შემძენს) არა აქვს მისი დადების უფლება, არამედ იმიტომ, რომ ნივთი მესაკუთრის მფლობელობიდან მესაკუთრის ნების გარეშე გამოვიდა. მეორე შემთხვევაში, კანონმდებელმა ფაქ-

ტობრივად აღიარა ნამდვილობა მონათხოვრეს და კეთილსინდისიერ შემძენს შორის დადებული გარიგებისა, და ეს იმიტომ, რომ მესაკუთრის ხელიდან ქონება მისი ნებით გამოვიდა. ყოველივე ეს გარკვეულ წინააღმდეგობებს ქმნის საკუთრებისა და ვალდებულებით უფლებებს შორის. გარკვეულად დარღვეულია გარიგებათა ნამდვილობა-ბათილობის საფუძვლები, რაც ისევ მხარეთა ინტერესების დაცვაში არსებული წინააღმდეგობებით აიხსნება. აქ დგება კიდევ ერთი საკითხი. თუ ქონებას კეთილსინდისიერი შემძენი უსასყიდლოდ შეიძენს, ყველა შემთხვევაში (როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში) ვალდებულია დაუბრუნოს მესაკუთრეს. ამრიგად, განხილულ მეორე შემთხვევაშიც მონათხოვრე, ე. ი. ტიტულიანი მფლობელი თუ უსასყიდლოდ გადასცემს კეთილსინდისიერ შემძენს ქონებას, ეს უკანასკნელი ვალდებულია დაუბრუნოს იგი მესაკუთრეს. ახლა უკვე ქონების ტიტულიან მფლობელსა და კეთილსინდისიერ შემძენს შორის დადებული გარიგება ბათილად ჩავთვალოთ, იმიტომ, რომ იგი უსასყიდლოა. მართალია, აქ კანონმდებლობა ხელმძღვანელობს კეთილსინდისიერ შემძენთ დაუზიანებლობის მოტივით, მაგრამ ეს მთლად ასე არ უნდა იყოს. თუ ვიცავთ ვინმეს ინტერესებს, აქაც თანამიმდევრული უნდა ვიყოთ და ბოლომდე დავიცვათ. ცხადია, ტიტულიან მფლობელთა მდგომარეობა ამ ვითარებაში არ იცვლება. თუ მათი მხრიდან შეუწყნარებელი იყო სხვისი ქონების სასყიდლიანი გასხვისება (ვთქვათ, გაყიდვა), განა ასევე შეუწყნარებელი არ არის ამ ქონების უსასყიდლო გასხვისება-გაჩუქება? კეთილსინდისიერ შემძენს ქონების არა მარტო სასყიდლიანად, არამედ უსასყიდლოდ შეძენის დროსაც აქვს ქონებრივი თუ არაქონებრივი ინტერესები. ან კიდევ, კეთილსინდისიერი შემძენის მიერ ქონების სასყიდლიანად შეძენისას მესაკუთრის უფლების დასაცავად მესაკუთრესა და ტიტულიან მფლობელს (მონათხოვრე) შორის ურთიერთობის ფარგლებში თუ ვრჩებით და მესაკუთრეს ვკიცხავთ არაჯეროვანი კონტრაქტის შერჩევისათვის, განა კეთილსინდისიერი შემძენის მიერ ქონების უსასყიდლოდ შეძენის დროს მესაკუთრის უფლების დაცვისას იგივე ფარგლებში არ უნდა ჩავეტიოთ?

სამოქალაქო სამართალში გვაქვს სხვა შემთხვევები, როდესაც ქონების სასყიდლიანად თუ უსასყიდლოდ შეძენაზე ბევრად არის დამოკიდებული მხარეთა ინტერესების დაცვა. ასე, მაგალითად, გარდაცვალებულად გამოცხადებული მოქალაქე დაბრუნებისას სხვა პირებისათვის უსასყიდლოდ გადაცემულ ქონებას იბრუნებს, სასყიდლიანად გადაცემულს კი ვერ იბრუნებს (მხედველობაშია კეთილსინდისიერი შემძენი). აქაც მხარეთა ინტერესების დაცვაზეა დამოკიდებული არსებულ გარიგებათა ძალა და თითქოს ეს ინტერესები გარიგებათა სასყიდლიანობა უსასყიდლობის დროს განსწავებულნი უნდა იყოს. უსასყიდლო გარიგებანი არანაკლებად არის დაცვის ღირსი, ვიდრე სასყიდლიანი. აქ ზნეობრივ-სამართლებრივ საწყისებს შორის ერთგვარი ჰარმონიაა. გარიგებათა უსასყიდლობა კონტრაქტთა დიდ ზნეობრიობაზე მეტყველებს. ამიტომ, ნუ ვიფიქრებთ, რომ მხარეთა ინტერესები მხოლოდ ქონებრივია და მეტი დაცვით უნდა სარგებლობდეს მხოლოდ ის მხარე, რომელიც ნივთის შეძენისას სამაგიეროს გადასცემს მეორე მხარეს. შეიძლება ჩვენთვის არანაკლები მნიშვნელობისა იყოს ჩუქებით მიღებული ქონება, ვიდრე ყიდვა-გაყიდვით შეძენილი. ცხადია, ყიდვა-გაყიდვისას ვიძენთ ისეთ ქონებას, რომელიც შეესაბამება წინასწარ ჩამოყალიბებული

მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ჩუქებით კი შეიძლება შევიძინოთ ისეთი ნივთი, რომელიც შეიძლება არ შედიოდეს ჩვენი ინტერესების სფეროში, მაგრამ ხომ შესაძლებელია ჩვენთვის საინტერესო ნივთიც შევიძინოთ ამ გზით. ვფიქრობთ, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას კი არ უნდა ჰქონდეს, სასყიდლით შევიძინეთ ქონება თუ უსასყიდლოდ, ან როგორია გამოცხადებული პირის ინტერესები, არამედ იმას, თუ როგორი გარიგებით შევიძინეთ (კანონით აკრძალული თუ დაშვებული). კანონმდებელი, მართალია, ამ შემთხვევაში იცავს გამოცხადებული პირის ინტერესებს, მაგრამ გარკვეულად გარღვევთ სხვა პირთა ინტერესებს, რომელთაც თვით კანონმა მისცა უფლება შევიძინათ გარდაცვალებულად გამოცხადებული მოქალაქის ქონება.

მხარეთა ინტერესების დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი ზოგჯერ ქონებრივი ურთიერთობის შესრულების სუსტი გარანტიაა. ურთიერთობის თითოეულ მხარეს ევალება მაქსიმალურად იბრძოდეს ნაკისრი ვალდებულების რეალური შესრულებისათვის. მაგრამ ხშირად მიზანი მიუღწეველია, მათი დიდი სურვილისა და სწრაფვის მიუხედავად. ამის მიზეზი ის არის, რომ მხარეებმა ან ვერ გაითვალისწინეს თავიანთი ქონებრივი შესაძლებლობანი, რაც არ იყო საკმარისი ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, ან შეგნებულად დაფარეს იგი. ცხადია, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა იმის მხრებზე იქნება, ვინც თავიდანვე ვერ გაითვალისწინა თავისი ქონებრივი შესაძლებლობანი. მოქალაქე სესხულობს ფულს, რომლის გადახდაც მას შემდგომ არ ძალუძს. მართალია, ხელშეკრულება მხარეთა თანასწორობას ემყარება, მთლიანად მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად გაუწევენ ანგარიშს ერთმანეთის ქონებრივ შესაძლებლობებს, მაგრამ, ვფიქრობთ, საჭიროა მეტი პასუხისმგებლობა მოვთხოვოთ მათ ვალდებულებითი ურთიერთობის ამ დასაწყის ეტაპზე.

ვალდებულებათა გარანტირების საკითხი სხვადასხვაგვარად დგას რეალურსა და კონსესუალურ გარიგებებში. რეალური გარიგება მეტად არის გარანტირებული ამ მხრივ, გარიგების დადებისა და მისი შესრულების მომენტი ხომ ემთხვევა ერთმანეთს. სირთულეა კონსესუალურ გარიგებაში. აქ ხომ გარიგება მის შესრულებამდე შედის ძალაში. რახან გარიგებამ ძალა მოიპოვა, იგი უნდა შესრულდეს კიდევ, შეუსრულებლობა კი იწვევს პასუხისმგებლობას. ვთქვათ, დაიდო გარიგება, რომელიც მოვალის მხრივ არ იყო გარანტირებული, მაგრამ ეს გაირკვა გარიგების შესრულების დაწყებამდე. შესრულების ასეთი შეუძლებლობა განსხვავდება ცნობილი შესრულების შეუძლებლობისაგან, რომელიც ვალდებულების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია. ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთ მხარეს უნდა მიეცეს უფლება უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ვითარების ცოტა ართულებს ის გარემოება, რომ კრედიტორი ვალდებულები იყო სწორად შეეფასებინა მოვალის ქონებრივი შესაძლებლობანი. მაგრამ ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი.

მოქალაქის რეაბილიტაცია სრული და შეუქცევადი აქტით

პროფ. ს. ჯორჯანიანი

წერილი პირველი

საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუციის 58-ე მუხლით, „სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ აინაზღაურონ ზარალი, რომელიც მათ უკანონო მოქმედებით მიუყენეს სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე თანამდებობის პირებმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას“.

სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ 1981 წლის 24 ივნისს კანონად აქცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 მაისის ბრძანებულება იმ ზარალის ანაზღაურების თაობაზე, რომელიც მოქალაქეს უკანონო მოქმედებით მიუყენეს სახელმწიფო, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, თანამდებობის პირებმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, აგრეთვე მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებმა და სასამართლომ. მიღებულია შესაბამისი დებულებაც.

კანონმა განსაზღვრა, რომ ზარალი, რომელიც მოქალაქემ განიცადა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირების უკანონო მოქმედებით, აგრეთვე ადმინისტრაციული მართვის დარგში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ანაზღაურდება საერთო საფუძველზე (თუ კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს), ე. ი. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველების 88-ე მუხლის შესაბამისად. ეს კი ნიშნავს, რომ ზიანს სრული ოდენობით აანაზღაურებს ზიანის მიმყენებელი ორგანიზაცია, დაწესებულება, საწარმო¹. საერთო წესით, ორგანიზაცია, დაწესებულება, საწარმო მოვალეა აანაზღაუროს ზიანი, რომელიც გამოწვეულია მისი მუშაკის ბრალით, როცა იგი თავის შრომითს სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შეიძლება შეიცვალოს მისი თანამშრომლის ან ხელმძღვანელის პერსონალური პასუხისმგებლობით².

¹ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა დელიქტურ ვალდებულებაში ცივილისტურ ლიტერატურაში დიდი ხანია კარგად არის შესწავლილი. იხ. მაგალითად, С. Н. Братусь, Юридические лица в советском гражданском праве, 1947, М., Г. К. Матвеев, Основания гражданско-правовой ответственности, 1970, М., Н. С. Маленин, Имущественная ответственность в хозяйственных отношениях, 1968, М.

² С. Н. Братусь, Юридическая ответственность и законность, 1976, М., стр. 191.

თანამდებობის პირის მოქმედებას ადმინისტრაციული მართვის დარგში მთელი რიგი სპეციფიკური ნიშანი ახასიათებს. იგი არ წარმოადგენს იურიდიული პირის ჩვეულებრივ სამეურნეო-ტექნიკურ, ოპერატიულ საქმიანობას სახელმწიფოს იძულებით ხელისუფლებას ახორციელებენ კონკრეტული ადამიანები, მათს მოქმედებას თუმცა აქვს ინდივიდუალური ქცევის ნიშნები, მაგრამ იგი შეზღუდულია ნორმატიული აქტებით მკაცრად დადგენილი ჩარჩოებით. მისი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ თანამდებობის პირი მოქმედებს არა თავისი, არამედ სახელმწიფო ორგანიზაციის სახელით და მისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები განიხილება სახელმწიფოს ორგანოს აქტებად ყველა თანმდევი შედეგით.³ ამასთან, ამ ვითარებაში ზიანის მიყენების დროს, მხარეები არ არიან თანაბარ მდგომარეობაში. საქმე ის არის, რომ ადმინისტრაციული მართვა ხორციელდება იმ სავალდებულო ბრძანებებით, აქტებით, მითითებებით, რომლებიც გამომდინარეობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიდან და მისი თანამდებობის პირთაგან და რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულების ღონისძიებით⁴. რასაკვირველია, ამგვარი აქტები კანონით მკაცრად არის რეგლამინტირებული და გამოორიციხავს მოქალაქეთა მიმართ თვითნებობას, თანამდებობის პირის მიერ მისი უფლებამოსილების გადამეტებას, მოქალაქის უფლებათა შელახვას. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქეს შეუძლია იჩივლოს სასამართლოში და აინაზღაუროს მიყენებული ზარალი. ზოგჯერ პრესაში გვხვდებით გამოთქმას — მამხილებელი ფაქტები დადასტურდა, თანამდებობის პირიც დაისაჯაო (საყვედური, ჩამოქვეითება, სამსახურიდან განთავისუფლება), მაგრამ ეს თავისთავად როდი ფარავს იმ ზარალს, რაც ამ თანამდებობის პირის უკანონო მოქმედებით მოქალაქეს მიადგა. პირს, რომელსაც ამგვარი ზარალი მიადგა, სრულიადაც არ აკმაყოფილებს თანამდებობის პირის დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დასჯაც. დაზარალებულს არანაკლებ ესაჭიროება უკანონოდ შელახული სახელის აღდგენა და მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

ახალი კანონით ადმინისტრაციული მართვის დარგში თანამდებობის პირის მიერ მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს სრული ოდენობით. აქ იგულისხმება ის, რომ თანამდებობის პირებმა ადმინისტრაციული მართვის დარგში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოქალაქეს ზიანი მიაყენეს ბრალეული ქმედობით. ამით დადასტურებულია ის დებულება, რომ მართო პიროვნება კი არ უნდა ზრუნავდეს სახელმწიფო ინტერესებისათვის, არამედ სახელმწიფოც, საზოგადოებაც ზრუნავს პიროვნებისათვის, თანამდებობის პირის უკანონო მოქმედება მშრომელთა თვალში ხომ თვით სახელმწიფო ორგანოს სახელს აყენებს ზიანს.

მაშასადამე, სრული მოცულობით ანაზღაურდება ის ზარალი, რომელიც თანამდებობის პირმა სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების დროს მიაყენა მოქალაქეს.

1981 წლის 18 მაისის ბრძანებულების ყველაზე დიდი სიახლე ის არის,

³ В. Н. Кудрявцев, Правовое поведение: норма и патология, 1982, М., стр. 148.

⁴ В. Т. Нор, Имущественная ответственность за неправильные действия должностных лиц, 1974, Львов, 83. 8.

რომ მასში ცალკეა გამოყოფილი თანამდებობის პირთა ერთი ჯგუფი და სრულიად განსხვავებული წესია დადგენილი მათი უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებასათვის. ესენი არიან მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირები, რომელთა საქმიანობაც განსხვავდება ადმინისტრაციული მართვის სხვა ორგანოების თანამდებობის პირთა საქმიანობისაგან.

ამ თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებებით ხდება არა მარტო კონკრეტულ პირთა მოქმედებების შეფასება, არამედ მას შეიძლება მოჰყვეს პიროვნების მთელი რიგი უფლებების და თავისუფლებათა შეზღუდვა. მოქალაქის უფლებათა ამგვარი შეზღუდვა სახელმწიფო ორგანოთა ყველა თანამდებობის პირს კი არ შეუძლია, არამედ სწორედ სპეციალური კომპეტენციით აღჭურვილ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების და პროკურატურის ორგანოებს, აგრეთვე სასამართლოს, ერთადერთ ორგანოს, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას. ამიტომ არის, რომ ბრძანებულება საჭიროდ თვლის კონკრეტულად მიუთითოს სახელმწიფო ორგანოთა იმ სუბიექტებზე, რომელთა მოქმედებამ შეიძლება ამგვარი ზიანი მიაყენოს მოქალაქეებს. მეტიც, ბრძანებულება არ კმაყოფილება მათი დასახელებით, ამასთან განსაზღვრავს სახელდობრ მათი რომელი მოქმედებისათვის დგება ზარალის ანაზღაურების განსხვავებული ვალდებულება. 1981 წლის 18 მაისის ბრძანებულების მე-2 მუხლით ეს არის ზარალი, რომელიც მოქალაქეს მიაყენეს უკანონოდ მსჯავრის დადების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიებად დატუსაღების უკანონოდ გამოყენების, დაპატიმრების ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით ადმინისტრაციული სახდლების უკანონოდ დადების შედეგად⁵. გასაგებია, რომ ამ უკანონო მოქმედებას შეიძლება მოქალაქისათვის მოჰყვეს მეტად მძიმე მორალური ზიანი და სულიერი ტანჯვა, საგრძნობი მატერიალური, ქონებრივი ზარალი. ეს ზიანი არა მარტო ლახავს დაზარალებულის არსებით უფლებებს, არამედ ბლალავს მის რეპუტაციას. მას შეუძლია შექმნას არასასურველი დამოკიდებულება მისი ოჯახისადმი, კოლექტივისადმი, სადაც დაზარალებული მუშაობდა. ამიტომაც ამ დროს მწვავედ დგას არა მარტო ზარალის ანაზღაურების პრობლემა, არამედ უკანონო მოქმედებით დაზარალებული პირის სრული რეაბილიტაციის საკითხიც.

1981 წლის 18 მაისის ბრძანებულებამ შეავსო მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზი, რომელიც მოქალაქეთა რეაბილიტაციის თაობაზე არსებობდა. მან რეაბილიტაცია — მოქალაქის სტატუსის აღდგენა — სრულ და შეუქცევად აქტად გამოაცხადა და დეტალურად დააკანონა ეს. საბჭოთა სამართალი, უპირველესად სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა წინათაც აწესრიგებდა რეაბილიტაციის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს. ამასთან ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ განუხრელად იზრდებოდა იმის გარანტიები, რომ „თვითეული დანაშაულის ჩამდენი სამართლიანად დაისაჯოს და არცერთი უდანაშაულო არ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და მსჯავრდებული“. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია უკა-

⁵ 1982 წლის 2 მარტს მიღებული ინსტრუქცია 1981 წლის 18 მაისის ბრძანებულებასა და დებულების გამოყენების თაობაზე ითვალისწინებს აგრეთვე სახელმწიფოს მიერ მოქალაქისათვის ზარალის ანაზღაურებას „სასამართლოს განაჩენის (გადაწყვეტილების) აღსრულების შეზღუდვების შემთხვევაში სამოქალაქო საჩივრის ნაწილში“.

ნონოდ მსჯავრდადებული ანდა დაპატიმრებული პირის გათავისუფლება დაუყოვნებლივ, მისი გამართლებისთანავე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 323-ე მუხლით დაწესებულია თუ სამართალში მიცემული გამართლებულია, ან იგი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა, ან თუ მიესაჯა ისეთი სასჯელი, რომელიც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული და „თუ ის პატიმრობაში იმყოფება, სასამართლო მას დაუყოვნებლივ გაათავისუფლებს სამსჯავროს სხდომის დარბაზშივე“⁶, ე. ი. გამოტანილი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლით, პროკურორი მოვალეა დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ყველა ის, ვისაც უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, ან ვინც პატიმრობაში იმაზე მეტი ვადით, რაც გათვალისწინებულია კანონით ან განაჩენით.

გამართლება სრული, ყოვლისმომცველი აქტია. მან არ შეიძლება ეჭვი დატოვოს მოქალაქის დანაშაულებრივი ქმედობის რაიმე „რეაქტების“ მიმართ. გამამართლებელ განაჩენში არ შეიძლება იყოს ისეთი ფორმულირება, რომელიც საეჭვოდ ხდის გამართლებული პირის უდანაშაულობას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 319-ე მუხლით გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აუცილებელია აღინიშნოს, რომ „სამართალში მიცემული მის მიმართ წაყენებულ ბრალდებაში ცნობილია უდანაშაულოდ და იგი გამართლებულია სასამართლოს მიერ“. გამამართლებელი განაჩენი კი ვამოიტანება იმ შემთხვევაში, თუ ა) დადგენილი არ არის დანაშაულის ჩადენა ბ) სამართალში მიცემულის ქმედობაში არ არის დანაშაულის შემადგენლობა გ) არ არის დამტკიცებული სამართალში მიცემულის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში.

საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამასთან ერთად ხელს უწყობს ყველას, ვინც პასუხისგებაშია მიცემული ანდა მსჯავრდადებულია, იმართლოს თავი და მიაღწიოს რეაბილიტაციას. ეს წესი მოქმედებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგაც. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი და სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი ითვალისწინებს⁷, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას დანაშაულის თავდებით გადაცემით, მაგრამ იგივე მუხლი აღგნს, რომ თუ პირი, რომლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, არ თვლის თავს დანაშაუდ და მოითხოვს სასამართლოში საქმის განხილვას (უმეტესწილად ეს ხდება რეაბილიტაციის მიზნით), საქმის შეწყვეტა და მისი თავდების ქვეშ გადაცემა არ შეიძლება.

ამნიტია და პატიება პირს ათავისუფლებს სასჯელისაგან ანდა ამსუბუქებს მას, მაგრამ ის არ უთანაბრდება პირის რეაბილიტაციას. ამიტომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით არ შეიძლება სისხლის სა-

⁶ გამართლებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლება უკვე საფრანგეთის დიდი რევოლუციის კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული. „გამართლების შემთხვევაში ბრალდებულს დაუყოვნებლივ ათავისუფლებდნენ. ხშირად სასამართლოს თავმჯდომარე, გამართლებულს „მეგობრული ამბობით“ შორდებოდა. იხ. Б. Арсеньев, Революционный трибунал французской буржуазной революции XVIII века. Ученые труды Всесоюзного института юридических наук, 1940, М., вып. II, стр. 115.

⁷ В. М. Савицкий, По поводу уголовно-процессуальных гарантий права невиновного на реабилитацию — «Сов. гос. и право», 1965, № 9, стр. 50.

18.013

მართლის საქმის შეწყვეტა ხანდაზმულობის გამო, ამნისტიის ანდა პატიების აქტების გამოყენებით თუ ბრალდებული ამის წინააღმდეგია. სისხლის სამართლის საქმის წარმოება ამ დროს უნდა გაგრძელდეს. ეს საფუძვლით პუმა-
 ნური პრინციპია, ვინაიდან პირი ითხოვს რეაბილიტაციას და არა მხოლოდ სისხლის სამართლის სასჯელისაგან გათავისუფლებას. მოთხოვნა საქმის წარ-
 მოების გაგრძელებისა მის არსებით გადაწყვეტამდე საფუძვლით გამო-
 ძიების, პროკურორისა და სასამართლოსათვის. იგივე ითქმის პატიების მიმარ-
 თაც, თუმცა გადაწყვეტილება პატიების შესახებ გამოაქვთ იმ პირობით, როცა არის მსჯავრდადებულის შუამდგომლობა ამაზე⁹. რასაკვირველია, პატიებით გათავისუფლებულ პირს არ ერთმევა უფლება შემდგომ დააყენოს რეაბილიტა-
 ციის საკითხი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 395-ე მუხლით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გამამტყუნებელი განა-
 ჩენის გადასინჯვა მსჯავრდადებულის სასარგებლოდ ვადით არ არის შეზ-
 ლუდული. მეტიც, რეაბილიტაციის საკითხის დაყენება არასდროს არ არის გვიან, თვით მსჯავრდადებული პირის გარდაცვალების შემდეგაც შეიძლება დადგეს იგი. ამიტომაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 395-ე მუხ-
 ლით მსჯავრდადებულის სიკვდილი არ აბრკოლებს ახლად აღმოჩენილ გარემო-
 ებათა გამო საქმის განახლებას ამ მსჯავრდადებულის რეაბილიტაციის მიზ-
 ნით¹⁰. ბრალდებულის გარდაცვალების შემდეგაც შეიძლება დადგეს სისხლის სამართლის წარმოების საჭიროება მისი რეაბილიტაციისათვის ან სხვა პირთა მიმართ საქმის განახლებისათვის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. გარ-
 დაცვალება პირისა, როგორც წესი, გამოორიციხავს სისხლის სამართლის წარმო-
 ებას, მაგრამ გამონაკლისი დაშვებულია სწორედ რეაბილიტაციის მიზნისათვის. სისხლის სამართლის საქმის განხილვამ პირის გარდაცვალების შემდეგ შეიძ-
 ლება დადასტუროს მისი ბრალეულობა. ამ დროს რეაბილიტაცია არ მოხდება და არც სასჯელი დაინიშნება, ვინაიდან სასჯელი თავის მიზნებს ვერ შეასრუ-
 ლებს, იგი უსაგნო იქნება. სისხლის სამართლის საქმე კი მოისპობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის საფუძველზე პირის გარდაცვა-
 ლების გამო¹⁰.

გარდაცვალებული პირის რეაბილიტაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი კეთილი სახელის სრული აღდგენა ყველა თანმდევი შედეგით¹¹. რეაბი-

⁹ В. Е. Квашис, Гуманизм советского уголовного права, 1969, М., стр. 121.

¹⁰ სწორად წერს ს. კ. ბოროღინი, რომ მოსამართლის, პროკურორის, გამოძიებლის და იმ პირთა დანაშაულებრივი ქმედობა რომლებმაც ხელისუფლება ბოროტად გამოიყენეს, აგრეთვე მტკიცებულებათა სიყალბე საქმის განახლების საფუძველია, მაშინ თუ იგი დამტკიცებულია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. ამიტომ მოსამართლის, პროკურორის ანდა გამოძიებლის გარდაცვალება, რომელთაც ბრალად ხელისუფლების ბოროტად გამოყენება ედებათ, ისევე როგორც იმ მოწმეს. ექსპერტის გარდაცვალება, რომელსაც ცრუ ჩვენების ანდა ცრუ დასკვნის მიცემაში ედება ბრალი, არც საქმის აღდგარზე უარის თქმის, არც მისი წარმოების შეწყვეტის საფუძველს არ წარმოადგენს. იხ. С. В. Бородин, Обстоятельства, исключающие производство по уголовному делу, Ученые записки ВШЮН, 1962, М., стр. 86.

¹⁰ В. Т. Безлепкии, Возмещение вреда, причиненного гражданину судебно-следственными органами, 1979, М., стр. 95—96.

¹¹ М. Ф. Полякова, Имущественные проблемы реабилитации по советскому праву. Автореферат диссерт. на соиск. ученой степени канд. юридических наук, 1977, М., стр. 3.

კ. მარქისის სახ. საჯ. სსრ
სახელმწიფო უსჯულობის

ლიტაციის შესახებ კანონმდებლობის სრულყოფის მიუხედავად, 1981 წლის 18 მაისამდე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მთელი სისრულით ვერ აწესრიგებდა რეაბილიტაციის შედეგად მოქალაქეთა სახელისა და კონებრივი ზიანის აღდგენის საკითხებს. მოვიყვანთ ერთ მაგალითს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 324-ე მუხლში ვკითხულობთ: „იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო მიზანშეწონილად დაინახავს მას შეუძლია დაადგინოს, რათა გამამტყუნებელი განაჩენი ეცნობოს საზოგადოებრიობას, პრესის, რადიოს მეშვეობით ან იმ კოლექტივის წინაშე მისი გამოცხადების გზით, სადაც მსჯავრდადებული მუშაობს, ან სხვა საშუალებით“. ეს ყველაფერი კეთდება მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის დროს და არა გამამართლებელი განაჩენის დროს¹².

იხილავდა რა რეაბილიტაციის საკითხების სამართლებრივი მოწესრიგების მდგომარეობას, გამოჩენილი სპეციალისტი ბ. ტ. ბეზლექინი 1979 წელს სწორად წერდა, რომ რეაბილიტაციის შედეგები მხოლოდ ნაწილობრივ, არასრულად არის მოწესრიგებული საბჭოთა სამართალში¹³.

ახლა, რეაბილიტაციის საკითხებში ძირეული სიახლეების შეტანის შემდეგ, 1982 წლის 2 მარტს სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრმა, სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა, სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსთან, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დაამტკიცეს ინსტრუქცია იმ ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ, რომელიც მოქალაქეს უკანონო მოქმედებით მიაყენეს მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებმა და სასამართლომ. ამ ინსტრუქციაში დასახელებული საკითხების უმნიშვნელოვანესი ასპექტებია გადაწყვეტილი.

რეაბილიტაციის პროცესი არ შეიძლება სამართლის რომელიმე ერთი დარგის ფარგლებში განხორციელდეს. საქმე ის არის, რომ ერთი სამართალდარღვევით, ვთქვათ, უკანონო დაპატიმრებით, შეიძლება დაირღვეს რამდენიმე საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც სამართლის სხვადასხვა დარგის მიერ არის მოწესრიგებული. მათი დაცვისა და სამართალდარღვევით გამოწვეული შედეგების აღმოფხვრისათვის გამოიყენება იურიდიული პასუხისმგებლობის სხვადასხვა სახეები¹⁴. ეს რელიეფურად ჩანს რეაბილიტაციის პროცესში და ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული რეაბილიტაციის თაობაზე ნორმატიული აქტების სისტემატიზაციაზე მსჯელობის დროს. აქვე კრიტიკულად უნდა შეფასდეს ბ. ტ. ბეზლექინის კატეგორიული დასკვნა: „1981 წლის 18

¹² გამამართლებელი განაჩენი უნდა განვასხვავოთ იმ განაჩენისაგან, რომელიც სასჯელის დანიშვნას არ ითვალისწინებს (იხ. П. М. Давыдов, Обвинительный приговор без назначения наказания, «Правоведение», 1971, № 1, стр. 82—88).

ამგვარი განაჩენი არ იძლევა რეაბილიტაციის უფლებას იმის მიუხედავად, რომ როგორც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განმარტა „სასჯელის დაუნიშნავად გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას, აგრეთვე მსჯავრდადებულის სასჯელისაგან განთავისუფლება ამნისტიის აქტის გამო, ბრალდებული, რომელსაც სასჯელი არ მოუხდია, არ ითვლება ნასამართლეად, წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის მიუხედავად“, იხ. Бюллетень Верховного Суда СССР, 1977, № 6, стр. 17.

¹³ Б. Т. Безлекин, Возмещение вреда..., გვ. 20, 28.

¹⁴ И. С. Самощенко, М. Х. Фарукшин, Ответственность по советскому законодательству, 1971, გვ. 214.

მაისის ბრძანებულებასა და დებულებაში განმტკიცებული იურიდიული ნორმები რეაბილიტირებულის პატივის აღდგენის შესახებ, ე. ი. მორალური ზიანის ანაზღაურებაზე, და ქონებრივი ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომლებსაც აქვთ წმინდა (ხაზგასმა ჩვენი — ს. ჯ.) სისხლის სამართლებრივი საპროცესო ბუნება, უნდა შევიდეს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემადგენელ ნაწილად და დეტალიზებული იყოს კოდექსის ფარგლებში¹⁵.

ბ. ტ. ბეზლეპკინი ამითაც არ კმაყოფილდება. მას მიაჩნია, რომ მოკვლევის, გამოძიების, პროკურატურის და სასამართლოს თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალი არ არის ცივილისტური ბუნებისა, მიუხედავად იმისა, რომ დელიქტურ ვალდებულებას ისტორიულად მისი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ლოგიკას, მოკვლეულია ამ დროს ზიანის ანაზღაურება გამოსწორდეს სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებებითა და მეთოდებით.

ბ. ტ. ბეზლეპკინი დაობს საგამოძიებო-სასამართლო ორგანოების უკანონო მოქმედებით მიყენებულ ზარალის ანაზღაურების დარგობრივ კუთვნილებაზე, თუმცა არ უარყოფს 1981 წლის 18 მაისის ბრძანებულების კომპლექსურ ხასიათსა და რომ მასში შემავალი ნორმები განსხვავებულია თავისი დარგობრივი ბუნებით¹⁶. ამ აქტის კომპლექსურობა შემთხვევითი არ არის და მის იურიდიულ-ტექნიკურ ნაკლს არ წარმოადგენს. უკანონო დაპატიმრებით, მსჯავრდადებით მოქალაქეს ერთმევა უმნიშვნელოვანესი უფლებანი და თავისუფლებანი, რომლებიც სხვადასხვა დარგს განეკუთვნება და მათი აღდგენაც ასევე დარგობრივი ნორმების ჩარჩოებში უნდა მოხდეს. მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წესებით დადგინდება ექვმიტანილის, ბრალდებულის და მსჯავრდადებულის უდანაშაულობა, ამ დროს თუნდაც სამართლებრივი ნორმების ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე ყველაზე სწორია ქონებრივი ზარალის ანაზღაურებისათვის გამოვიყენოთ ის არსებული მოდელი, მექანიზმი, რომელიც დელიქტურ ვალდებულებაშია, ვიდრე დამატებით გავიმეორებდეთ მას საგანგებო სამართლებრივი მექანიზმის შექმნით. ბ. ტ. ბეზლეპკინის აზრი არ არის გათვალისწინებული 1981 წლის 18 მაისის შემდეგ გამოსულ ნორმატიულ აქტებში, რომლებშიც ცვლილებები უმეტეს წილად წარიმართა სამოქალაქო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებების სახით. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1981 წლის 30 ოქტომბრის ბრძანებულებით სხვადასხვა ცვლილება შეიტანა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში, მათ შორის 89-ე მუხლში, რომელშიც განსაზღვრულია პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის. მასში შეტანილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1981 წლის 18 მაისის ბრძანებულების პირველი ორი მუხლი. ეს იმას ადასტურებს, რომ ამ დროს ზარალის ანაზღაურება დელიქტური ვალდებულების ფარგლებში ხდება.

დავა რეაბილიტაციის ნორმების დარგობრივი კუთვნილების შესახებ უმიზ-

¹⁵ Б. Т. Безлепкии, Новые гарантии законных интересов реабилитированного — «Советское государство и право», 1982 г., №6, с. 70.

¹⁶ ბ. ტ. ბეზლეპკინის დასახვლებული სტატია, გვ. 64.

ნოა. მთავარია სრულად გამოვიყენოთ სამართლებრივი ზემოქმედების არსენალიდან ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ უდანაშაულო მოქალაქის სრული და ყოვლისმომცველი რეაბილიტაცია სოციალისტური სამართლიანობის აუცილებელ და თანამიმდევრულ პრინციპად ვაქციოთ, პირდაპირ უნდა ვთქვათ, სამართლის არცერთ ცალკეულ დარგს, მათ შორის სისხლის სამართლის პროცესს არ შეუძლია მთელის სისრულით გადაწყვიტოს არც მორალური და არც ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი. ამიტომაც სავსებით გამართლებულია კომპლექსური საკანონმდებლო აქტის მიღება რეაბილიტაციის თაობაზე. სწორედ ამგვარი აქტები შეუწყობენ ხელს მეტად საშიში უკანონობის — მოქალაქის ხელშეუხებლობის, მისი ღირსების, ქონების და სხვა ინტერესების დარღვევის თავიდან აცილებასა და აღკვეთას. ამიტომაც არის 1981 წლის 18 მაისის ბრძანებულება ისტორიული მნიშვნელობის იურიდიული აქტი.

ბრძანებულების ყველაზე დიდ საკანონმდებლო ნოველას წარმოადგენს ზარალის ანაზღაურება სრული ოდენობით, მიუხედავად ზემოდსახელებული თანამდებობის პირების ბრალისა. სწორედ ეს სიახლეა საგანგებო ანალიზის ღირსი.

მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოების და სამართლოს თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებას (რაც ზშირად გვიან დგინდება, რადგან შეცდომა უმეტესად ფარული ხასიათისაა) პიროვნებისათვის შეიძლება მეტად მძიმე მორალური ზიანი და მატერიალური ზარალი მოჰყვეს. ეს მძიმე შედეგი სამართალდარღვევისათვის მაშინაც შეიძლება დადგეს, როცა თანამდებობის პირთა მხრივ არა გვაქვს რაიმე ბრალეული ქმედობა, მით უფრო სისხლისსამართლებრივი დანაშაული: არც თანამდებობრივი დაუდევრობა და გულგრილობა, არც ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეტება, როცა იგი განზრახ სჩადის ისეთ მოქმედებას, რომელიც აშკარად სცილდება მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა და რწმუნებათა ფარგლებს.

სისხლის სამართლის კოდექსი მკაცრ სასჯელებს ითვალისწინებს იმ პროკურორის, გამოძიებლის ან იმ პირის მიმართ, რომელიც ცდილობს წინასწარი შეცნობით უდანაშაულო პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას. მოსამართლეს ისჯება წინასწარი შეცნობით უკანონო განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გამოტანისათვის. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც საქმე გვაქვს შეცდომასთან, რომელიც გამოწვეულია საპატიო მიზეზებით, როდესაც ყველაზე ყურადღებიანი და კეთილსინდისიერი დამოკიდებულების დროსაც არ შეიძებოდა მისი თავიდან აცილება, ე. ი. როცა არ არის თანამდებობის პირის მხრივ რაიმე ბრალეული ქმედობა¹⁷. ამის მიუხედავად მოქალაქეს მიყენებული ზიანის სიმძიმე სრულიადაც არ უმსუბუქდება. ამ დროს ისევე აუცილებელია მიყენებული ზარალის ანაზღაურება, როგორც იგი აუცილებელი იქნებოდა თანამდებობის პირთა ბრალის დროს. ამიტომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 მაისის ბრძანებულებამ მე-2 მუხლით განსაზღვრა: ზარალს, რომელიც მოქალაქეს

¹⁷ П. С. Дапелъ, Д. П. Котов, Субъективная сторона преступления и ее установление, 1974, Воронеж, стр. 212.

უკანონოდ მსჯავრის დადების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების უკანონოდ გამოყენების, დაპატიმრების ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით აღმინისტრაციული სახელეუბის უკანონოდ დადების შედეგად მოუვიდა, „ანაზღაურებს სახელმწიფო სრული ოდენობით, მიუხედავად მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალისა“.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა უაღრესად ჰუმანურია. თუ მოქალაქეს ზიანი მიაღდა თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებით, — სახელმწიფო თვითონ კისრულობს ანაზღაურებს იგი სრული მოცულობით. ამ დროს იგი მზად არის გადაუხვიოს სამართლებრივი პასუხისმგებლობის საერთო პრინციპს — ბრალეულობის პრინციპს. რამდენადაც ობიექტურად ზარალი მიყენებულა თანამდებობის პირის უკანონო მოქმედების შედეგად, ე. ი. როცა არის მიზეზობრივი კავშირი ამ პირის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ზარალი უნდა ანაზღაურდეს, რაც უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება. აქვე უნდა ითქვას, რომ ბრძანებულებას არა აქვს უკუქცევითი ძალა. უფლება ზარალის ამგვარ ანაზღაურებაზე აქვთ იმ მოქალაქეებს, რომელთა მიმართ უკანონო მოქმედება ჩადენილია 1981 წლის 1 ივნისის შემდეგ. ზარალი, რომელიც მიყენებულია 1981 წლის 1 ივნისამდე ანაზღაურდება იმ ნორმებით, რომელიც მოქმედებდა ზარალის მიყენების მომენტში.

ცნება „ბრალის მიუხედავად“ გულისხმობს „ბრალის გარეშე“ ზიანის მიყენებას. როგორც ცნობილია, დაშვებულია ცალკეულ შემთხვევებში როგორც სახელმწიფოებო, ისე დელიქტურ ვალდებულებებში ბრალის გარეშე ზიანის ანაზღაურება. მაშასადამე, იგი უცხო არ არის მოქმედი სამოქალაქო სამართლისათვის. ამიტომ 1981 წლის 18 მაისის ბრძანებულებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების ამ გამონაკლისს არ შეიძლება განვიხილავდეთ როგორც უცხოს საბჭოთა სამართლისათვის.

პირიქით, ამ ბრძანებულების მიღებამდე დიდი ხნით ადრე საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ლიტერატურაში ენერგიულად გამოთქვამდნენ აზრს, რომ სწორედ ბრალის გარეშე დამდგარიყო პასუხისმგებლობა სასამართლო-საგამომძიებო ორგანოთა შეცდომებისათვის: ამ თვალსაზრისს ყველაზე თანამიმდევრულად იცავდა პროფ. ე. ა. ფლეიშიცი¹⁸.

ეს შეხედულება კარგად არის შეჯამებული ვ. მ. სავიცკისთან ერთად გამოქვეყნებულ ე. ა. ფლეიშიცის სტატიაში. ეს ავტორები 1966 წელს წერდნენ: „ზარალის ანაზღაურებაზე მოქალაქის უფლების აღიარებისათვის. არ არის აუცილებელი, რომ არასწორი სამსახურებრივი მოქმედებით ზიანის მიმყენებელი პირი, რომელიც მოკვლევას აწარმოებდა, გამომძიებელი, პროკურორი ან მოსამართლე, მოქმედებდეს განზრახ ანდა გაუფრთხილებლობით: საკმარისია დადგინდეს არსებობა ობიექტური მიზეზობრივი კავშირისა ან მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის“¹⁹.

¹⁸ Е. А. Флейшиц, Ответственность государственных органов за имущественный вред, причиняемый должностными лицами, 1948, М., стр. 23.

¹⁹ В. М. Савицкий, Е. А. Флейшиц, Об имущественной ответственности за вред, причиненный должностными лицами органов дознания, предварительного следствия, прокуратуры и суда «Советское государство и право», 1966, № 7, стр. 13—14.

ამ შეხედულებას თავიდანვე ჰყავდა მოწინააღმდეგენი. მათი აზრით, მართალია ქონებრივი პასუხისმგებლობა ზოგჯერ შეიძლება დადგეს ბრალის გარეშე, მაგრამ ამისი საფუძველი არ არსებობს სასამართლო-საგამოძიებო შეცდომის დროს. როგორც ა. ა. სობჩაკი ამტკიცებდა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა მიზანშეწონილია დადგინდეს მაშინ, როცა არსებობს ობიექტური საშიშროება და ალბათობა შემთხვევითი ზიანის წარმოშობისა, მაგრამ „როცა ზიანი მიყენებულია მოკვლევის, გამოძიების, სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების თანამდებობის პირთა არასწორი სამსახურებრივი მოქმედების შედეგად, არ არსებობს საფუძველი ვილაპარაკოთ გაძლიერებული ალბათობის შესახებ შემთხვევითი ზიანის მიყენებისა. პირიქით, იმის გამო, რომ ამ ორგანოთა მოღვაწობა დეტალურად არის რეგლამენტირებული მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობით, მისი განხორციელების დროს ზიანის შემთხვევითი მიყენება მინიმუმამდეა დაყვანილი“²⁰. ა. ა. სობჩაკის აზრით, ზიანის მიყენების უმეტესი შემთხვევები ხდება თანამდებობის პირების ბრალეული ქმედობით და ამიტომაც ეს პასუხისმგებლობა უნდა ემთხვეოდეს დელიქტური პასუხისმგებლობის საერთო საფუძველს.

ამჟამად მთავარი ის კი არ არის, რომ ახალმა საკანონმდებლო აქტმა არ გაიზიარა ზემოთმოყვანილი მტკიცება, არამედ მისი ავტორის მიერ ცხოვრებისეული სინამდვილის სრული გაუთვალისწინებლობა. ა. ა. სობჩაკი ვაჭარბობდა თავისი მტკიცების მართობაზე ორიგინალურობით. მისი მტკიცება კი სრულიადაც არ არის დამაჯერებელი და მოწყვეტილია სინამდვილეს. ამასთან როგორი იშვიათიც უნდა იყოს სამართლებრივი მოვლენა, მას ხომ მაინც ნორმატიული მოწესრიგება სჭირდება.

კიდევ უფრო მიუღებელია მტკიცება, რომ „არასწორი მსჯავრდადებით ანდა დაპატიმრებით სასამართლო-პროკურატურის ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობის აგება ზიანის მიყენების, რისკის პრინციპებიდან გამომდინარე, შეგვიქმნიდა წარმოდგენას სასამართლო და საგამოძიებო ორგანოთა შეცდომების გარდუვალობაზე“²¹. ეს შიში გაუმართლებელია. უცნაურიც კია უკანონობის (რაც მაინც მოსალოდნელია) გასწორება, კანონიერებისათვის საფრთხედ გამოვაცხადოთ. რასაკვირველია, კატეგორიულად უნდა გამოვრიცხოთ „სასამართლო შეცდომების თეორიის“ შექმნის საჭიროება. არ შეიძლება ამ შეცდომის დაცვა-გამართლება. ამ რთულ მოღვაწობაში შეცდომა ალბათურ ბოროტებად შეიძლება შეგვხედეს²² და მზად უნდა ვიყოთ მისი გასწორებისათვის. უფრო მეტიც, კანონი ხელს უწყობდეს, რომ მოსამართლე და პროკურორი თვითონ ესწრაფვოდნენ შეცდომის გასწორებას და ამისათვის მათ სამსახურებრივი უსიამოვნების რაიმე შიში არ უნდა ჰქონდეთ. ასეთი აქტია სწორედ 1981 წლის 18 მაისის ბრძანებულება.

(გაგრძელება მესამე ნომერში)

²⁰ იხ. კრებული «Гражданско-правовая охрана интересов личности», 1969, М., 33. 145—191.

²¹ იხ. В. Т. Нор, Имущественная ответственность за неправильные действия должностных лиц..., стр. 151.

²² იხ. მაგალითად, Н. Матюковский, Тень одной ошибки, გაზეთი «Известия», 1983 г., 27 ноября.

სასკოლო რეფორმა და ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი

ალ. ჟღენცი

საბჭოთა საზოგადოების ყველა წევრი მოვალეა იცავდეს კომუნისტური მორალის ნორმებს, იცოდეს მოქმედი კანონმდებლობა და ნებაყოფლობით ასრულებდეს მას. ამისათვის ყოველმხრივ უნდა ავამაღლოთ მასების, უპირველესად ახალგაზრდობის სამართლებრივი კულტურა, გავწიოთ კანონების ფართო პროპაგანა, უზრუნველვყოთ, რომ მათ ყველა განუზრელად იცავდეს. ცნობილია, რომ სამართლებრივი ნორმების არცოდნა პირს არ ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. უკეთუ იგი დაარღვევს კანონს, ჩაიდენს დანაშაულს. პირი ზშირად გულწრფელად ნანობს ხოლმე, რომ კანონის უცოდინარობამ სამართალდარღვევამდე მიიყვანა.

მოზარდი თაობის სამართლებრივი კულტურის ამაღლება მისი კომუნისტურის აღზრდისა და ზნეობრივი სრულყოფის შემადგენელი ნაწილია. სამართლებრივი ნორმების შესწავლა, ცოდნა და სწორი აღქმა დადებით ზემოქმედებას ახდენს პირის ფსიქიკასა და ქცევაზე, რაც ხელს უწყობს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკას. სამართლებრივი აღზრდა დიდ როლს ასრულებს სამართლებრივი იდეოლოგიის, სამართლებრივი ფსიქოლოგიის განმტკიცებაში.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში შესამჩნევად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა, საბჭოთა კანონების პროპაგანდა პრესის, რადიოს, ტელევიზიის მეშვეობით. ყოველწლიურად იზრდება გამოცემული იურიდიული ლიტერატურის რაოდენობა, მისი ტირაჟი. სამართლებრივ აღზრდაში ფართოდ არის გამოყენებული მხატვრული, დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. დიდ მუშაობას ეწევა საზოგადოება „ცოდნა“ სამართლებრივი პროპაგანდის გამრავალფეროვნებისა და გაუმჯობესებისათვის.

სამართლებრივი აღზრდის ფორმებს განეკუთვნება: ა) ლექცია, ბ) საუბარი, გ) ჟურნალ-გაზეთების სტატია, სამართლებრივ თემაზე, დ) რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლა, ე) სამართლის ცოდნის უნივერსიტეტში მონაწილეობა, ვ) კითხვა-პასუხის საღამოს მოწყობა, ზ) იურიდიული კონსულტაციები, სამართლის დეკადაში მონაწილეობა, თ) სამართლებრივ თემაზე შრომების გამოქვეყნება და სხვ.

საქართველოში სამართლებრივ თემებზე იკითხება ოცი ათასამდე ლექცია, პრესის ფურცლებზე ქვეყნდება ათასზე მეტი წერილი და მასალა, რადიოთი და ტელევიზიით გადაიცემა 200-ზე მეტი საუბარი და ა. შ. დიდ და საინ-

ტერესო მუშაობას ეწევიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები. მათ არაიურიდიული სპეციალობის სტუდენტებისათვის შექმნეს „საბჭოთა სამართლის საფუძვლების“ სახელმძღვანელო, რომელიც 1977 წელს გამოიცა. უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საბჭოთა სამართლის საფუძვლების კათედრა ამზადებს ასეთსავე სახელმძღვანელოს სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებისათვის. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საბჭოთა სამართლის კათედრამ დაამთავრა დამხმარე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შექმნა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის და სხვ.

ბევრ საშუალო სასწავლებელში იურისტების მონაწილეობით შექმნილია სამართლებრივი ცოდნის წრეები, იმართება კონკურსები, დისპუტები სამართლებრივ საკითხებზე. ქ. თბილისში პიონერთა სასახლესთან შექმნილია „ახალგაზრდა იურისტთა“ სკოლა. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელსა და საშუალო სკოლაში შემოღებულია სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობა შეფობის პრაქტიკა. მაგრამ სამართლის საფუძვლების სწავლება საშუალო სკოლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ჯერ კიდევ მეტად დაბალ დონეზე წარმოებს და ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს. სრულყოფას საჭიროებს „საბჭოთა სამართლის საფუძვლების“ სწავლებაც უმაღლეს სასწავლებლებში.

დადგენილებაში „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებანი“ სამართლიანად არის მითითებული, რომ საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი ახალგაზრდობის ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდის შემდგომი სრულყოფისათვის, საჭიროდ არის მიჩნეული „მოსწავლეთა წესების“ ახლებური შემუშავება. რათა თანამედროვე ახალგაზრდების განათლება და სწავლება წარმოადგენდეს მათში კომუნისტური მორალის აღზრდას. საშუალო და უმაღლესი სკოლა ვალდებულია სწავლა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, სოციალისტური საერთო წესების, კანონების დაცვა აქციოს ახალგაზრდობის შინაგან მოთხოვნილებად.

დადგენილება ითვალისწინებს გაფართოვდეს საბჭოთა სამართლის სწავლება მოსწავლეთა კოლექტივებში. ადრეული ასაკიდანვე უნდა ჩაეუნერგოთ ბავშვებს კოლექტივიზმის, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის, პატიოსნების, სამართლიანობის, სიკეთის, პრინციპულობის ჯანსაღი გრძნობა, ჩამოუყალიბდეთ მათ მტკიცე, ვაჟყვაცური ხასიათი, რომ საჭიროა სკოლების უფროს კლასებში გაუმჯობესდეს სწავლების მეთოდოლოგია, ლექციების, სემინარული მეცადინეობების ხარისხი, შემოღებულ იქნეს გასაუბრების, კონსულტაციების პრაქტიკა, ამ მიზნით შეიქმნას სათანადო ლიტერატურა და სხვ. აუცილებლად არის მიჩნეული სკოლებში საბჭოთა კონსტიტუციის პრინციპების შესწავლა.

დადგენილების ამ მოთხოვნების გათვალისწინებით გეინდა გამოვთქვათ ზომიერი მოსაზრება როგორც საშუალო სკოლებში, ისე პროფესიულ-ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში საბჭოთა სამართლის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

მეტ წილ სკოლებში საბჭოთა სამართლის საფუძვლების საგნის მასწავლებლებად მუშაობენ არასპეციალისტები, რომლებსაც არა აქვთ იურიდიული განათლება და თვითონ სუსტად ერკვევიან სამართლებრივ საკითხებში. ამის გამო საგნის სწავლება ხშირად ფორმალური ხასიათისაა. მასწავლებელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოყოფილი საათებიც არ არის

საკმარისი. სოციოლოგიურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ამის გამო მდგომარეობა სავალალოა. მოსწავლეთა და სტუდენტთა ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, ხშირად თვით მასწავლებელიც კი ვერ ერკვევიან ისეთ ელემენტარულ საკითხებში, როგორიც არის დანაშაულის სუბიექტი, არასრულწლოვანთა (ასაკობრივი) პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის, ქვეყნის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მართლმსაჯულების ორგანოები, მათი კომპეტენციები, ადმინისტრაციული და სახელმწიფო სამართლის არსი, მათი ურთიერთგამიჯვნა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების ფუნქციები, მოქალაქეთა საპენსიო ასაკი, რით განსხვავდება ურთიერთისაგან დისციპლინური, ადმინისტრაციული და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა და სხვ.

ჩვენი აზრით, უნდა გადაისინჯოს სკოლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სამართლის საფუძვლების სწავლების ფორმები და მეთოდები, მეტი ყურადღება დაეთმოს ამ საგნის მასწავლებელთა შერჩევას, აღზრდას, კვალიფიკაციის ამაღლებას. სკოლებში სამართლის საფუძვლებს ძირითადად ასწავლიან ისტორიის მასწავლებლები, ამიტომ საჭიროა ამაღლდეს მათი სამართლებრივი მომზადების დონე თვით პედაგოგიურ ინსტიტუტებში, სადაც ისინი უმალდეს განათლებას იღებენ. აქ სამართლის საფუძვლების კურსს უნდა უძღვებოდეს კვალიფიციური სწავლული იურისტი. საჭიროა გაიზარდოს ამ ინსტიტუტებში სამართლის საფუძვლების სწავლებისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობაც, ამაღლდეს საგამოცდო მომთხოვნელობა. გარდა ამისა, რატომ არ შეიძლება გადიდდეს მისაღები კონტინგენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, იმ მასწავლებლებისათვის, რომლებიც სამართლის საფუძვლებს ასწავლიან სკოლაში? აღარაფერს ვამბობთ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ კურსებსა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში მათი მომზადება-გადამზადების გაუმჯობესების აუცილებლობაზე. სამწუხაროდ, ამ საგნის მასწავლებლებს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი ეფექტიან დახმარებას ვერ უწევს.

პრესაში გამოყენებული სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, ხშირად პროცენტულად ადგენენ, რამდენად სწორია სამართლებრივ თემებზე მოსწავლეთა, სტუდენტების და მასწავლებლის მიერ გაცემული პასუხი, და გამოტანილია დასკვნა, რომ ამ საგნის სწავლება დამაკმაყოფილებლად წარმოებს. ფაქტობრივად ეს ასე არ არის.

საშუალო სკოლის, პროფესიულ-ტექნიკურ და უმაღლესი სასწავლებლების, მათ შორის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მონაცემები საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ამ საგნის სწავლება არადააკმაყოფილებელია. სტუდენტთა უმრავლესობას თითქმის არაფერი ახსოვს საკითხებიდან, რომლებიც ამ საგნის სწავლების დროს განიხილეს, ბევრმა ისიც არ იცის, საერთოდ სწავლობდა თუ არა სამართლის საფუძვლებს. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საბჭოთა სამართლის კათედრამ სწორად მიაჩნია, რომ ბევრი დეკანატი სასწავლო გეგმით ამ საგნის სწავლებას ძირითადად უფროს, მეოთხე-მეხუთე კურსებზე ითვალისწინებს, სწორედ ამ დროს, დამამთავრებელ კურსებზე, როცა სტუდენტი დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობისათვის ემზადება, მიზანშეწონილია მან მიიღოს იურიდიული განათლება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაიურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საბჭოთა სამართლის კათედრების შექმნამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ დისციპლინის სწავლების დონის ამაღლებას. იგრძნობა სტუდენტთა დაინტერესება (მათთვის არასპეციალური, მაგრამ ცხოვრებისეული და აუცილებლად საჭირო) სამართლებრივი საკითხებით.

სამართლის საფუძვლები უნდა იცოდეს ყველა საბჭოთა მოქალაქემ, მით უმეტეს უმაღლესი განათლების მქონე პირმა, რომელიც მომავალში თანამდებობას დაიკავებს და რომელსაც საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და საზოგადოების წევრებთან ურთიერთობისას ბევრი საჭირობოროტო საკითხის გადაწყვეტა მოუწევს.

საბჭოთა სამართლის კურსის მხოლოდ საღეჭციო საათები, რომლებიც გათვალისწინებულია უმაღლეს სასწავლებელში სამართლებრივი დისციპლინის შესწავლისათვის, არ იძლევა სასურველ შედეგს. საჭიროა საათების გარკვეული რაოდენობა დაეთმოს სემინარულ მუშაობას (რაც პროგრამით საერთოდ არ არის გათვალისწინებული), აგრეთვე პრაქტიკულ მეცადინეობას (სტუდენტთა დასწრება ზოგიერთ საინტერესო სისხლისა და სამოქალაქო საქმეზე, შემდგომში მათი განხილვით). მოქმედი პროგრამა კი ითვალისწინებს მხოლოდ რამოდენიმე საათს კონსულტაციისათვის, რაც საკმარისი არ არის.

აუცილებელია დაისვას საკითხი სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წინაშე, რომ საბჭოთა სამართლის დისციპლინა გაათანაბრონ სხვა ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლების კურსთან. ეს საშუალებას მისცემს მასწავლებლებს საღეჭციო საათების შემცირების ხარჯზე, ხარისხობრივად აამაღლონ სამეცნიერო მუშაობის დონე. თუ ვიხელმძღვანელებთ ანალოგიის პრინციპითაც, იგი ისედაც ახლოს დგას ზოგადსაგანმანათლებლო საგნებთან და, ამდენად, მათი ფაქტობრივი გაათანაბრება ყოველმხრივ მიზანშეწონილია. პროფესორ-მასწავლებლებს მეტი საშუალება მიეცემათ იმუშაონ სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნაზე და ა. შ. ეს კი ხელს შეუწყობს სამართლის საფუძვლების სწავლების გაუმჯობესებას, როგორც უმაღლეს, ისე საშუალო და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში. გვინდა შევხვით ერთ საკითხსაც: საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საინჟინრო პედაგოგიური განხრით არის ჩგუფები, რომლებიც ძირითადად პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში იგზავნებიან პედაგოგებად. შეიძლებოდა მათი მალაკვალიფიციური მომზადება, რათა შემდეგ იმავე სასწავლებლებში სამართლის საფუძვლების საგანიც ასწავლონ.

როგორც ვხედავთ, მოზარდი თაობის სამართლებრივი აღზრდის საკითხი ახლებურ განალიზებას და გადაწყვეტას მოითხოვს, როგორც ეს ხაზგასმულია დადგენილებაში და მას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ კომპეტენტურმა ორგანოებმა.

რუსეთის საბჭოთავი ნაწარმოებების თარგმანის გამოყენების წესი სსრ კავშირში

გ. შველიძე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა გამომცემლობების მიერ საზღვარგარეთელ ავტორთაგან ან მათ უფლებამონაცვლეთაგან საავტორო უფლებით დაცულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა თარგმანის სსრ კავშირში გამოცემის უფლების შექმნა კულტურული განძეულობის საერთაშორისო გაცვლის ერთ-ერთი საშუალებაა.

საავტორო უფლების მსოფლიო კონვენციისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასთან, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასთან, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასთან საავტორო უფლებათა ურთიერთდაცვის ორმხრივ შეთანხმებათა შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში დაცვა მოიპოვა უცხოელ ავტორთა ნაწარმოებებმა, რომლებიც პირველად გამოქვეყნებულია სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ. საბჭოთა გამომცემლობებს შეუძლიათ ამ ნაწარმოებთა გამოყენება, მათ შორის რუსულ და სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებზე თარგმნის გზით, მხოლოდ მაშინ, თუ ისინი წინასწარ მიიღებენ ამაზე ავტორთა ან მათ უფლებამონაცვლეთა თანხმობას. ამ შემთხვევაში საჭიროა დაიდოს ლიცენზიური ხელშეკრულება საავტორო უფლებათა საკავშირო სააგენტოს შუამავლობით და ანაზღაურდეს შესაბამისი საავტორო ჰონორარი. ამასთან მკაცრად უნდა იქნეს დაცული უცხოელ ავტორთა ყველა პირადი და ქონებრივი უფლება.

საავტორო უფლებათა მსოფლიო კონვენციამ საქვეყნოდ გამოაცხადა ეროვნული რეჟიმი, ე. ი. თავისი უფლებრივი მდგომარეობით უცხოელი ავტორები მათი ნაწარმოებების თარგმანების სსრ კავშირის ტერიტორიაზე გამოცემისას მთლიანად გათანაბრებული არიან საბჭოთა ავტორებთან და იმავე უფლებებით სარგებლობენ, რომლებითაც საბჭოთა ავტორები უცხოურ ენებზე თავიანთი ნაწარმოებების თარგმანების გამოცემისას.

ეროვნული რეჟიმი სსრ კავშირის ტერიტორიაზე უცხოური ნაწარმოებების მიმართ გამოიყენება აგრეთვე საავტორო ჰონორარის განაკვეთებისა და ანაზღაურების წესის მხრივ.

საავტორო უფლების ნორმები სსრ კავშირში ვრცელდება დასაცავ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე.

სსრ კავშირის ტერიტორიაზე დაცულია:

1. ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის, ე. ი. იმ ქვეყნების მოქალაქეთა ნაწარმოებები, რომლებთანაც სსრ კავშირს დადებული აქვს ორმხრივი შეთანხმება საავტორო უფლებათა ურთიერთდაცვის შესახებ;

2. ყველა უცხოელი ავტორის ნაწარმოებები, რომლებიც პირველად არის გამოქვეყნებული სსრ კავშირში, უნგრეთსა და პოლონეთში;

3. საავტორო უფლების შესახებ მსოფლიო კონვენციის მონაწილე ქვეყნების მოქალაქე-ავტორების ნაწარმოებები, თუ ისინი საზღვარგარეთ არის გამოქვეყნებული 1973 წ. 21 მაისის შემდეგ;

4. ყველა უცხოელი ავტორის ნაწარმოებები, რომლებიც პირველად არის გამოქვეყნებული მსოფლიო კონვენციის წევრ ერთ-ერთ ქვეყანაში 1973 წლის 21 მაისის შემდეგ;

5. ყველა უცხოელი ავტორის ნაწარმოებები, თუ ისინი ჯერ არსად არ არის გამოქვეყნებული (ხელნაწერები და ა. შ.).

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ნაწარმოებების საავტორო უფლების დაცვა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ავტორი ცოცხალია ან მისი გარდაცვალებიდან ჯერ კიდევ არ გასულა 25 წელი.

საბჭოთა გამომცემლობებმა უცხოელ ავტორებთან ხელშეკრულებები უნდა დადონ მხოლოდ ისეთი ნაწარმოებების გამოცემაზე, რომლებიც დაცულია სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

განსაკუთრებულ შემთხვევებში საბჭოთა გამომცემლობები ხელშეკრულების დაუდებლად უცხოელ ავტორებს დადგენილი წესის მიხედვით საბჭოთა ფულით უხდიან საავტორო ანაზღაურებას დაუცავ ნაწარმოებთა თარგმანის გამოცემისას სსრ კავშირში ავტორის ჩამოსვლისას. ამასთან მხედველობაში მიიღება ნაწარმოების მნიშვნელობა და ის, თუ რამდენად ცნობილია ავტორი სსრ კავშირში და საზღვარგარეთ.

ეროვნული რეჟიმის პრინციპის შესაბამისად ხელშეკრულების დადების მოვალეობა ემყარება იმ ქვეყნის, სახელმწიფოს ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც ნაწარმოებს იყენებს. სსრ კავშირში ეს წესი დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 101-ე მუხლით. მაგრამ თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში არის გამონაკლისები ხელშეკრულების დადების ვალდებულების, ხოლო ზოგჯერ — საავტორო ანაზღაურების გადახდის საკითხში.

სსრ კავშირში ეს წესი ჩამოყალიბებულია ზემოაღნიშნული „საფუძვლების“ 103-ე (ნაწარმოების გამოყენება ხელშეკრულების დაუდებლად და საავტორო ანაზღაურების გადახდის გარეშე) და 104-ე (ნაწარმოების გამოყენება ხელშეკრულების დაუდებლად, მაგრამ საავტორო ანაზღაურების გადახდით) მუხლებში.

მაგალითად, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობათა მიხედვით, ხელშეკრულების დაუდებლად ნაწარმოების გამოცემის შესაძლებლობა იქმნება იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოების გამოყენება „სამართლიანია“. ამასთან მხედველობაში მიიღება გამოყენების მიზანი და ხასიათი, დაცული ნაწარმოების ხასიათი და ა. შ. მაგალითად, ნაწარმოების გამოყენება „სამართლიანად“ ითვლება, თუ იგი ხორციელდება სამეცნიერო კვლევის, სამეცნიერო შრომების მომზადების მიზნით.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი იმის შესახებ, „სამართლიანია“ თუ არა ნაწარმოების გამოყენება, წყდება სასამართლოს მიერ.

საბჭოთა გამომცემლობები ნაწარმოების გამოცემის შესახებ ლიცენზიურ ხელშეკრულებებს დებენ სანიმუშო ფორმების მიხედვით, რომლებიც შემუშავებულია საავტორო უფლებათა სრულიად საკავშირო სააგენტოს მიერ საზღვარგარეთის საგამომცემლო ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

საზღვარგარეთის საგამომცემლო ორგანიზაციებთან საბჭოთა გამომცემლობების თანამშრომლობის პრაქტიკაში ჩამოყალიბდა საიმპორტო ხელშეკრულებათა სამი ჯგუფი.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება საიმპორტო ხელშეკრულებათა ფორმები იმ სოციალისტურ ქვეყნებში მცხოვრებ ავტორთა ნაწარმოებებზე, რომლებთანაც დადებულია ორმხრივი ხელშეკრულებანი საავტორო უფლებათა ურთიერთდაცვის შესახებ, როცა ისინი შეთანხმებულია საავტორო უფლებათა საკავშირო სააგენტოსთან, სოციალისტური ქვეყნების საავტორო-სამართლებრივ ორგანიზაციებთან და ნავარაუდევია ავტორებსა და ამ ქვეყნების გამომცემლობებთან მუშაობისათვის. ეს ფორმები დამტკიცებულია სსრ კავშირის გამსახკომის შესაბამისი ინსტრუქციებით.

მეორე ჯგუფს შეადგენს ხელშეკრულების ფორმა სსრ კავშირში თარგმანის სახით უცხოელი ავტორის იმ ნაწარმოებების გამოცემის შესახებ, რომელიც იბეჭდება. ეს ფორმა საავტორო უფლებათა საკავშირო სააგენტოსთან შეთანხმებით დამტკიცებულია სსრ კავშირის გამსახკომის 1975 წ. 24 თებერვლის № 88 ბრძანებით. ეს არის „ზოგადი“ ხასიათის ხელშეკრულების ფორმა, რომელიც ნავარაუდევია კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების საზღვარგარეთელ უფლებამონაცვლეებთან სამუშაოდ, რომლებთანაც შეთანხმებული არ არის სპეციალური ფორმები: ეს ფორმები გათვალისწინებულია პარტნიორთა ფართო წრეებისათვის.

მესამე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ საიმპორტო ხელშეკრულებათა ფორმები, რომელთა საფუძველს წარმოადგენს სსრ კავშირის გამსახკომის № 88 ბრძანებით დამტკიცებული ხელშეკრულების ფორმა, მაგრამ რომლებშიც საბჭოთა გამომცემლობებსა და სხვადასხვა საზღვარგარეთელ უფლებამონაცვლეთა შორის შეთანხმების შედეგად შეტანილია სხვადასხვა სახის ცვლილება. ეს ფორმები შეთანხმებულია საზღვარგარეთელ კონკრეტულ გამომცემლობებთან, ლიტერატურულ სააგენტოებთან და ნავარაუდევია მხოლოდ მათთან სამუშაოდ.

საიმპორტო ხელშეკრულებათა დადების წესი ძირითადად განსაზღვრულია „საზღვარგარეთ გამოსაცემად საბჭოთა ავტორების ნაწარმოებთა და სსრ კავშირში გამოსაქვეყნებლად უცხოელი ავტორების ნაწარმოებთა შერჩევის, აგრეთვე შესაბამისი ხელშეკრულებების დადების შესახებ“ სსრ კავშირის გამსახკომის კოლეგიისა და საავტორო უფლებათა საკავშირო სააგენტოს გამგეობის 1977 წლის 29 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციით.

ეს ინსტრუქცია განსაზღვრავს სსრ კავშირში სათარგმნელად და გამოსაცემად საზღვარგარეთელ ავტორთა ნაწარმოებების შერჩევის წესს, კერძოდ:

— ამ სფეროში ურთიერთობას, ერთი მხრით, სსრ კავშირის გამსახკომის ქვეგანყოფილებებსა, მოკავშირე რესპუბლიკების გამსახკომებსა, გამომცემლობებსა და, მეორე მხრით, საავტორო უფლებათა საკავშირო სააგენტოს ქვეგანყოფილებებსა და მის ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ორგანოებს შორის;

— საბჭოთა და საზღვარგარეთელი ავტორების ნაწარმოებთა გამოყენების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების დადების წესს.

საზღვარგარეთულ გამოცემათა შერჩევას ახორციელებს გამომცემლობა, რომელიც ხელმძღვანელობს საბჭოთა ადამიანებისათვის ამა თუ იმ ნაწარმოების იდეოლოგიური და მეცნიერული მიზანშეწონილობის, პრაქტიკული მნიშვნელობისა და მხატვრული ღირებულების პრინციპებით, სსრ კავშირის გამსახკომის მიერ დადგენილი წესით.

საიმპორტო ხელშეკრულებათა დასადგებად დადგენილი წესით გაფორმებულ საინფორმაციო ბლანკთან ერთად საბჭოთა გამომცემლობა საავტორო უფლებათა საკავშირო სააგენტოში ვზავნის:

ა) თუ ხელშეკრულება იდება იმ სოციალისტური ქვეყნების მოქალაქესთან ან იურიდიულ პირთან, რომელთანაც არსებობს შეთანხმება საავტორო უფლებათა ურთიერთდაცვის შესახებ, — გამომცემლობის დირექტორის ხელმოწერითა და ბეკდის დასმით სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულების პროექტს 6 ეგზემპლარად ან

ბ) თუ ხელშეკრულება იდება სხვა (მაგალითად, კაპიტალისტური) ქვეყნის მოქალაქე ავტორთან ან მის უფლებამონაცვლესთან, ქვეყნისა, რომელიც საავტორო უფლების შესახებ მსოფლიო კონვენციის მონაწილეა, — განაცხადს თხოვნით, რომ მოლაპარაკება აწარმოონ კონტრაქტის დადების შესახებ იმ პირთან, ვისაც ამის უფლება აქვს იმ ქვეყანაში.

საინფორმაციო ბლანკი უნდა შეიცავდეს ინსტრუქციაში ჩამოთვლილ ცნობებს, რომლებიც აუცილებელია მოლაპარაკების წარმოებისათვის და სსრ კავშირში გამოცემის უფლების მქონე საზღვარგარეთელი ავტორის თანხმობის მისაღებად.

აუცილებლობის შემთხვევაში გამომცემლობები წინასწარ მოლაპარაკებას აწარმოებენ იმ საზღვარგარეთელ ავტორებთან, რომლებსაც უფლებები აქვთ ნაწარმოებებზე, რათა მიიღონ მათგან ნიმუშები ამ ნაწარმოებთა გასაცნობად და ყველა სარედაქციო-საგამომცემლო საკითხის გადასაწყვეტად, მაგალითად, ისეთი საკითხების გადასაწყვეტად, როგორცაა თარგმანის შემოკლება, წინასიტყვაობის მომზადება, დამატებათა შეტანა, საცნობარო მასალის მოთავსება, ილუსტრაციებით სარგებლობა და ა. შ.

თუ ამასთან დაკავშირებით ჰონორარის საკითხი დაისვა, მაშინ გამომცემლობას შეუძლია საზღვარგარეთელ უფლებისმქონეს აცნობოს ჰონორარის ოდენობა იმ ნორმების ფარგლებში, რომლებიც დაწესებულია უცხოელ ავტორთა ნაწარმოებების გამოყენებისათვის სსრ კავშირში. თუ დაისმება სავარაუდო თარგმნილი გამოცემის ტირაჟისა და მისი საცალო ფასის საკითხი, მაშინ გამომცემლობას შეუძლია აცნობოს გამოცემის სავარაუდო ტირაჟი და საორიენტაციო საცალო ფასი მოქმედი პრეისკურანტის მიხედვით. ასეთი მოლაპარაკების შედეგები ეცნობება საავტორო უფლებათა სრულიად საკავშირო სააგენტოს, როცა მას გადაეცემა ხელშეკრულების პროექტი ან განაცხადი ხელშეკრულების დადების შესახებ.

მოლაპარაკებათა შედეგების შესახებ საავტორო უფლებათა სრულიად საკავშირო სააგენტო გამომცემლობას აცნობებს არა უგვიანეს 10 დღისა მას შემდეგ, როცა იგი მიიღებს პასუხს საზღვარგარეთელი კონტრაპენტისაგან.

საიმპორტო ხელშეკრულებათა დადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ გამომცემლობის იურიდიული სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს მხარეთა სწორი სამართლებრივი ურთიერთდამოკიდებულება, ხელშეკრულებათა დროზე დადება უცხოელ ავტორებთან და მათ უფლებამონაცვლებთან. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურაზე ხელშეკრულებათა დადებისას, რადგან ასეთი ლიტერატურა, როგორც ცნობილია, სწრაფად ძველდება. ამიტომ ფრიად აუცილებელია უცხოურ საგამომცემლო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებები დაიდოს უმოკლეს ვადაში.

საზღვარგარეთულ გამოცემებზე საავტორო უფლებების შეძენის აქ განხილული წესი გამოიყენება მოცულობის მიხედვით მნიშვნელოვანი ნაწარმოებების (წიგნების, მონოგრაფიების, ბროშურების) მიმართ. მაგრამ როცა გამოცემლობა ვარაუდობს კრებულში გამოაქვეყნოს უცხოელ ავტორთა სტატიების თარგმანები, რომლებიც დაბეჭდილი იყო საზღვარგარეთის სხვადასხვა გამოცემებში (როგორც წიგნებში, ისე ჟურნალებში), ხშირად კი სხვადასხვა ქვეყნებშიც, მაშინ ზემოაღნიშნული წესი მეტისმეტად ართულებს საქმეს. ხშირად კრებულები ხომ 15-20 და უფრო მეტი უცხოელი ავტორის სტატიებისაგან შედგება. საავტორო უფლებათა საკავშირო სააგენტოს მეშვეობით ამ რაოდენობის უცხოელ ავტორებთან ხელშეკრულებათა დადება ძნელია, დიდ დროს მოითხოვს.

კრებულებში გამოაქვეყნებულ უცხოელ ავტორთა სტატიების გამოყენების ოპერატიულობის მიზნით საავტორო უფლებათა საკავშირო სააგენტომ და სსრ კავშირის გამსახკომმა ნება დართეს, რომ პერიოდულ პრესაში დაბეჭდილი ნაწარმოებების გამოყენების უფლების შეძენის წესი საზღვარგარეთელ ავტორთა სტატიების კრებულების გამოცემის შემთხვევებზეც გავრცელდეს.

გამომცემლობები უშუალოდ აწარმოებენ მოლაპარაკებას საავტორო უფლების მფლობელებთან მათი სტატიების სსრ კავშირში გამოყენებისა და მისი პირობების შესახებ. საზღვარგარეთელ ავტორებს ეგზავნებათ წერილები ინგლისურ ენაზე დაწერილი ტექსტით, რომელშიც ჩამოყალიბებულია უფლების შეძენის პირობები. გამომცემლობის დირექტორის მიერ ხელმოწერილი წერილები იგზავნება 3 ეგზემპლარად. თანხმობის შემთხვევაში ავტორი ან მისი უფლებამონაცვლე წერილებს ხელს აწერს და 2 ეგზემპლარს გამომცემლობას უბრუნებს.

ავტორისაგან თანხმობის მიღების შემდეგ გამომცემლობა საავტორო უფლებათა საკავშირო სააგენტოს წერილობით აცნობებს მიღწეული მორიგების შესახებ, ამასთან აუცილებლად აღნიშნავს ავტორის სახელსა და გვარს, იმას, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეა იგი, სტატიის სახელწოდებას, მოცულობას, კრებულის გამოცემის ვადას, ჰონორარის რაოდენობასა და ვალუტას, რომლითაც ის იქნება ანაზღაურებული.

ასეთ ცნობაში, რომელსაც ხელს აწერს გამომცემლობის დირექტორი ან მთავარი რედაქტორი, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორმა თანხმობა განაცხადა თავისი ნაწარმოების გამოაქვეყნებასა და მისთვის შეთავაზებულ ანაზღაურების პირობებზე. ეს დოკუმენტი საავტორო უფლებათა საკავშირო სააგენტ-

ტომი იგზავნება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შემდეგ გამომცემლობას უბრუნდება საავტორო უფლებათა საკავშირო სააგენტოს აღნიშვნით.

როცა გამომცემლობათა საიმპორტო საქმიანობაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ საზღვარგარეთულ საგამომცემლო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებას საავტორო უფლებათა დარგში გარკვეულწილად აფერხებს ამჟამად მოქმედი ურთიერთგადასახადებით დაბეგვრის სისტემა, რომელიც გამოყენებულია ზოგ ქვეყანასთან, მაგალითად, დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობაში.

საბჭოთა გამომცემლობების მუშაობის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ასეთი დაბეგვრა ორივე მხარისათვის არახელსაყრელია.

აშშ-ის საგამომცემლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მაგალითზე ჩანს, რომ საავტორო ჰონორარის გადასახადებისაგან ურთიერთგათავისუფლება ხელს შეუწყობს კაპიტალისტური ქვეყნების საგამომცემლო ფირმებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას.

დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ერთ-ერთი ამოცანა იმ გამომცემლობათა იურიდიული სამსახურისა, რომლებიც თარგმნილ ლიტერატურას უშვებენ, არის საიმპორტო საქმიანობის უზრუნველყოფა, საუკეთესო სამართლებრივი პირობების შექმნა ასეთი საქმიანობისათვის და კონტროლის გაწევა მისი განხორციელების დროს კანონიერების დაცვისადმი.

პროკურორის საბრალდებო სივრვა

6. შარვაშიაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი

პროფ. ა. ფალიაშვილის სადისკუსიო წერილი, რომელიც „საბჭოთა სამართალში“ გამოქვეყნდა, ეხება მნიშვნელოვან, პრაქტიკული მუშაკებისათვის მეტად საჭირო საკითხს¹.

ის აზრი, რომ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების სავალდებულო მხარდაჭერას უნდა აწესებდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, უთუოდ გასათვალისწინებელია; ეს გაზრდის პროკურორის პასუხისმგებლობას, აამაღლებს სახელმწიფო ბრალდების ხარისხს; მით უმეტეს, რომ სახელმწიფო ბრალდების სავალდებულო მხარდაჭერის დაკანონება სრულიადაც არ ზღუდავს გენერალური პროკურორის უფლებებს. მას შეუძლია საჭირო შემთხვევაში თავისი ბრძანებით თუ განკარგულებით გაზარდოს კონტინგენტი იმ კატეგორიის საქმეებისა, რომელსაც მიიჩნევს, რომ საჭიროა განხილულ იქნეს სახელმწიფო ბრალმდებლის მონაწილეობით.

წერილში აღძრულია საკითხი, უნდა გამოთქვას თუ არა პროკურორმა საბრალდებო სიტყვაში მოსაზრება სასჯელის ზომის შესახებ. ვფიქრობ, ეს სწორად არის გადაჭრილი კანონში. საქართველოს სსრ სისხლი სამართლის საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, „პროკურორი წარუდგენს სასამართლოს თავის მოსაზრებას სამართალში მიცემის ბრალეულობის და მის მიმართ სისხლის სამართლის კანონის და სასჯელის ზომის გამოყენების შესახებ“.

ჩვენი აზრით, თუ პროკურორის მოსაზრება დაემთხვა სასჯელის ზომის ნაწილში სასამართლოს მიერ განაჩენში განსაზღვრულ სასჯელს, ეს არ შეიძლება მივიჩნიოთ პროკურორის არასასურველ გავლენად. პირიქით, ეს კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს, რადგან იმაზე მიუთითებს, რომ პროკურორი სამსჯავრო გამოძიებისას მოქმედებდა აქტიურად, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, იღებდა საჭირო ზომებს დამამტკიცებელი საბუთების გამოსაკვლევად, სწორად გააანალიზა საქმის ყველა მასალა და გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს სასჯელის ზომაზე.

ამ საკითხზე ლიტერატურაში გამოთქმული ა. ფალიაშვილის და სხვათა მოსაზრებანი სწორია და არ არის საფუძველი კანონის შესაცვლელად.

დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევის წესს კანონი არ აწესრიგებს, სასამართლო ისმენს ბრალმდებლის, სამართალში მიცემულის და მისი დამცველის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩლის, სამოქალაქო მოპასუხის და მათი წარმომადგენლების წინადადებებს სამართალში მიცემულთა, დაზარალებულთა, მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა დაკითხვის საკითხზე და გამოაქვს განჩინება დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევის წესის შესახებ.

სასამართლო ამ საკითხის გადაწყვეტისას პირველად უსმენს სახელმწი-

¹ „საბჭოთა სამართალი“, 1981, № 5, გვ. 26-27.

ფო ბრალმდებელს. სამწუხაროდ, პროცესის ყველა მონაწილე პროკურორი არ ეკიდება მთელი პასუხისმგებლობით ამ საკითხის გადაწყვეტას. არცთუ იშვიათად, სახელმწიფო ბრალმდებელი არ ითვისებს საპროცესო მიცემულის პოზიციას, საქმის გარემოებებს და იმ სიძნელეებს, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას საქმის განხილვისას — ხშირად ფორმალურად უდგება ამ საკითხის გადაჭრას და სასამართლოს წინაშე შუამდგომლობს დაკითხვა დაიწყოს იმ თანამიმდევრობით, როგორც ეს საბრალდებო დასკვნაშია მოცემული. დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევის წესის განსაზღვრას უმეტეს შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტების დადგენისათვის და, ამდენად, პროკურორი ვალდებულია დასაბუთებული მოსაზრებანი წარუდგინოს სასამართლოს.

უმჯობესია, თუ დაკითხვას დაიწყებს სახელმწიფო ბრალმდებელი. ეს შესაძლებლობას მისცემს მას კვალდაკვალ შეამოწმოს ფაქტები და დაარწმუნოს პროცესის ყველა მონაწილე და თვით სასამართლოც დამამტკიცებელი საბუთების სისწორეში, წინასწარი გამოძიების ობიექტურობაში. თუკი დადგინდება საწინააღმდეგო, იგი ვალდებულია მოითხოვოს ხელახალი გამოძიება, საქმის შეწყვეტა ან საპროცესო მიცემულის გამართლება, დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა და ასე შემდეგ.

ჩვენი აზრით, არ შეიძლება გამოძიებელმა (უფროსი გამოძიებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებელი) შეითავსოს სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქცია.

საქართველოს სსრ სსსკ 57-ე მუხლში ჩამოთვლილია გარემოებანი, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს პროკურორის, გამოძიებლისა და მომკვლევნი პირის აცილებას. ამავე მუხლში მითითებულია: „თუ ისინი (ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობის პირები) იღებდნენ მონაწილეობას გამოძიების ან მოკვლევის წარმოებაში, ან მხარს უჭერდნენ ბრალდებას, ან იძლეოდნენ დასკვნებს ამ საქმეზე — ეს გარემოებანი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს აცილებას“. კანონის ეს დებულება მოითხოვს შესწორებას. პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც კონკრეტული საქმის სასამართლოში განხილვისას — დამამტკიცებელი საბუთების შეგროვების თუ სხვა გარემოების დადგენასთან დაკავშირებით — ისმის გამოძიებლის დაკითხვის საკითხი. თუ ეს გამოძიებელი ასრულებს სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქციას, რასაკვირველია, სასამართლო ვერ უზრუნველყოფს მის დაკითხვას და, ამდენად, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

პროკურორის მოვალეობათა წრე ფართო და მეტად პასუხსაგებია, მაგრამ მისი გამოსვლა სასამართლოში ყველაზე უფრო რთული და პასუხსაგები აქტია. საპროცესო საქმიანობის არც ერთი სხვა სახე არ აყენებს პროკურორის წინაშე ისეთ მრავალმხრივ მოთხოვნებს, როგორსაც სასამართლო სიტყვის წარმოთქმა.

სამართლის ღრმა და ყოველმხრივ ცოდნასთან ერთად პროკურორი სათანადოდ უნდა ფლობდეს ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიის საფუძვლებს.

მ. ი. კალინინი გვასწავლიდა: „...სასამართლო ორგანოებში, განსაკუთრებით სახალხო სასამართლოებში, უნდა იყვნენ საუკეთესო კომუნისტები, უნდა

იყვნენ ჩვენი პირველი კლასის ორატორები, უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებსაც მშვენივრად ესმით მასის ფსიქოლოგია...”

სისხლის სამართლის საქმის სამსჯავრო სხდომაში პროკურორი მონაწილეობს როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი და, სახელმწიფოს სახელით რომ გამოდის, იგი ვალდებულია თავისი საბრალდებო სიტყვა ააგოს ფაქტობრივ მასალებზე, რომლებიც ყველა გარემოების ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის გზით მოიპოვა.

ბრალდებას რომ მხარს უჭერს, პროკურორი იცავს საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს, მაგრამ სახელმწიფოს ინტერესების დაცვა არ ეწინააღმდეგება მოქალაქეთა ინტერესების დაცვას. პირიქით, პროკურორი ვალდებულია ყოველი ღონისძიებით დაიცვას მოქალაქეთა ინტერესები და თუ ბრალდება არ მტკიცდება, მაშინ იგი ბრალს კი არ სდებს განსასჯელს, არამედ გვაცნობს თავის საბუთებსა და მოსაზრებებს განსასჯელის გამართლების სასარგებლოდ, სოციალისტური მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია სწორედ პროკურორის მიერ უარის თქმა ბრალდებაზე. სწორედ ეს დებულება, ეს პრინციპი მოწმობს საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის ნამდვილ დემოკრატიზმსა და ჰუმანურობას. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ისეთი პროკურორები, რომლებიც არათუ არ იჩენენ პრინციპულობას ამ საკითხში, არამედ, პირიქით, ცდილობენ ყოველგვარი საშუალებით მიაღებინონ პროტესტი იმ ვარაუდით, რომ მიაღწიონ გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას მაშინაც კი, როცა სასებით ნათელი და აშკარაა ბრალდების უსაფუძვლობა.

გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების საფუძვლიანობის შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ხშირად შემოდის წარდგინებანი და პროტესტები გამამართლებელ განაჩენთა გაუქმების თაობაზე, საამისოდ საკმაო საფუძველი კი არა აქვთ. ამას მოწმობს ის, რომ 1982 წელს წარდგინებათა და პროტესტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ან უკანვე იქნა დაბრუნებული, ან უარი ეთქვა. პროკურორის ობიექტურობა და მიუკერძოებლობა მის საქმიანობაში და, კერძოდ, საბრალდებო სიტყვაში აუცილებელი და სავალდებულო პირობაა. პროკურორის საბრალდებო სიტყვა უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ზუსტ ფაქტებს, რომლებიც გამოძიებული და დადგენილია სამსჯავრო გამოძიების დროს.

ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ პროკურორის საბრალდებო სიტყვა უნდა შედგებოდეს 5 ნაწილისაგან, სხვების აზრით — 3 ნაწილისაგან, მაგრამ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა უმრავლესობა მხარს უჭერს იმ აზრს, რომ საბრალდებო სიტყვა 5 ნაწილისაგან შედგებოდეს.

პირველი ნაწილი ეძღვნება განსახილველი საქმის საზოგადოებრივ პოლიტიკურ მნიშვნელობას.

მეორე ნაწილი შეიცავს სამსჯავრო გამოძიებაზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ანალიზსა და შეფასებას და ამის საფუძველზე საქმის ფაქტობრივ გარემოებათა დადგენას.

მესამე ნაწილში მოცემული უნდა იყოს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასება ანუ დანაშაულის კვალიფიკაცია.

მეოთხე ნაწილი ეძღვნება განსასჯელი პიროვნების დახასიათებას.

მეხუთე ნაწილი შეიცავს მოსაზრებას იმ სისხლისსამართლებრივი სასჯელის შესახებ, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს განსასჯელის მიმართ მისი

ბრალეულობის დადგენის შემთხვევაში, ან მოსაზრებას მისი გამართლების შესახებ, თუ განსასჯელის ბრალეულობა არ არის დადგენილი, — აგრეთვე იმ მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც დანაშაულის შედეგად არის მიყენებული (დატაცების საქმეები და სხვა თანამდებობრივი დანაშაულობანი).

ეხებოდა რა სასამართლოში პროკურორის სიტყვის სტრუქტურას, პროფ. ი. პერლოვი წერდა: „...სავალდებულო არ არის, რომ ყოველი გამოსვლა შეიცავდეს ხუთ განყოფილებას. იგი შეიძლება შეიცავდეს სხვა ნაწილებსაც, რომლებიც აქ არ არის დასახელებული; ყველაფერი ეს დამოკიდებულია თითოეული სასამართლო საქმის სპეციფიკურ თავისებურებებზე, რაც გამორიცხავს რაიმე სტანდარტს“.

მართლაც, პროკურორის სიტყვა რაიმე სტანდარტის მიხედვით არ უნდა იყოს აგებული, მაგრამ მეცნიერებასა და პრაქტიკაში დადგენილი ხუთი ნაწილი ყველაზე უფრო მისაღებია და პროკურორს უდავოდ ეხმარება თავისი გამოსვლის პროფესიულად აგებაში.

ამ მხრივ ფრიად სასარგებლოა გავიხსენოთ სსრ კავშირის ყოფილი გენერალური პროკურორის, აწ განსვენებული რ. ა. რუდენკოს საბრალდებო სიტყვა ამერიკელ მფრინავ-მზვერავის ფრენის პაუერსის სისხლის სამართლის საქმის გამო.

ეს სიტყვა შეიცავს შესავალ ნაწილს, რომელშიც დაწვრილებით არის განალიზებული აშშ-ის მმართველი წრეების — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ შემზარავ დანაშაულებათა ქეშმარიტი სულისჩამდგმელებისა და ორგანიზატორების დანაშაულებრივი აგრესიული საქმიანობა.

შემდეგ მოცემულია საქმის ფაქტებისა და გარემოებების დაწვრილებითი ანალიზი. წარმოდგენილია სრული სურათი იმისა, თუ საბჭოთა სარაკეტო ჯარებმა სვერდლოვსკის რაიონში 1960 წლის 1 მაისს როგორ ჩამოაგდეს ამერიკული მზვერავი თვითმფრინავი, რომელსაც პილოტი პაუერსი მართავდა. შემდეგ რ. რუდენკოს პაუერსის ბრალის დასამტკიცებლად მოჰყავს ამონაწერები თვით პაუერსისა და მოწმეთა ჩვენებებიდან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამერიკელი მფრინავის შეპყრობაში. ამ ჩვენებებს პროკურორი აძლევს შესაბამის იურიდიულ შეფასებას. სიტყვაში დაწვრილებით აღწერს რა ნივთმტკიცებას და იძლევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჩადენილი აგრესიის აქტის სრულ ანალიზს, რ. ა. რუდენკო ასაბუთებს დანაშაულის იურიდიულ კვალიფიკაციას.

შემდეგ იგი გადადის სამართალში მიცემულის დახასიათებაზე. ამასთან დაკავშირებით მან თქვა: „...პაუერსი ჩადენილი დანაშაულის გამო იმსახურებს სასჯელის განსაკუთრებულ ზომას, მაგრამ, ვითვალისწინებ რა იმას, რომ მან გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული, მე არ მოვითხოვ მის სიკვდილით დასჯას და ვთხოვ სასამართლოს, სამართალში მიცემულს მიუსაჯოს 15 წლის თავისუფლების აღკვეთა“.

პროკურორის სიტყვას სასამართლოს დარბაზში მყოფნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

პაუერსს მიუსაჯეს 15 წლის თავისუფლების აღკვეთა.

პროკურორის საბრალდებო სიტყვის შესავალი ნაწილის აგება მიზანშე-

წონილია დავიწყით განსახილველი საქმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის შეფასებით, შემდეგ გადავიდეთ საქმის თავისებურების დახასიათებაზე, მტკიცებულებათა ანალიზზე და ა. შ.

პროკურორმა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, — იქნება ეს მკვლელობის, დატაცების, სპეკულაციის, ქურდობის თუ სხვა საქმე, — წინასწარ უნდა გაიცინოს პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებები, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმების სახელმძღვანელო დადგენილებები, სისხლის სამართლის საქმეთა გადაწყვეტის პრაქტიკა იმ ვარაუდით, რომ გამოავლინოს და თვალსაჩინოდ წარმოაჩინოს სასამართლოში განსახილველი საქმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური არსი, გაამახვილოს მასზე დამსწრეთა ყურადღება. საბრალდებო სიტყვის აგების მეთოდები და ზერხები ისევე არ შეიძლება ერთნაირი იყოს, როგორც ცალკეულ დანაშაულებათა იურიდიული კვალიფიკაცია. საბრალდებო სიტყვის ხასიათი დამოკიდებულია განსახილველი საქმის თავისებურებაზე, პროცესის დამსწრე აუდიტორიის შემადგენლობაზე, თვით ბრალდებლის პროფესიულ ოსტატობასა და სხვა გარემოებებზე.

პროკურორმა უნდა შეძლოს ხალხის აღშფოთების გამოწვევა ჩადენილი დანაშაულისა და მისი ჩამდენების წინააღმდეგ, დაეხმაროს სასამართლოს დარბაზში მყოფთ, სისხლის სამართლის საქმის კონკრეტული, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამოიტანონ სწორი პოლიტიკური დასკვნები, თავისი წვლილი შეიტანოს განსასჯელთა მორალურ აღორძინებაში.

მ. ი. კალინინი გვასწავლიდა: „...არსად პრაქტიკულ ცხოვრებაში არ შეიძლება აგიტაციის ისე კარგად გაწევა, როგორც სასამართლო პროცესზე... სასამართლო პროცესი არის ის მუდმივად კონკრეტული შემთხვევა, რომელსაც პირდაპირ ცხოვრებიდან ვიღებთ“.

პროკურორი, რომელიც ჩადენილი დანაშაულის შესახებ თავის დასკვნებს ასაბუთებს, ვალდებულია მარტივად და გასაგებად განმარტავდეს კანონის აზრს, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს განსასჯელის მიმართ, ამავე დროს აუცილებელია სასამართლოს ტრიბუნა გამოიყენოს მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობის პრობაგანდისათვის, დაეხმაროს სასამართლოს მტკიცებულებათა დაქებნასა და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში. პროკურორი უნდა ისწრაფვოდეს გახსნას კანონის აზრი, აგრეთვე ის მიზეზები და პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას, აჩვენოს დანაშაულობათა აღმოფხვრის, დანაშაულობათა და დანაშაულებრივ გამოვლინებათა თავიდან აცილების გზები და ამით ხელი შეუწყოს მშრომელებში კომუნისტური შეგნებულობის, მათ მიერ სამსახურებრივი, მოქალაქეობრივი მოვალეობებისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, სოციალისტური თანაცხოვრების კანონებისა და წესების დაცვას.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1967 წლის 25 აგვისტოს ბრძანების შესაბამისად პროკურორი აუცილებლად მონაწილეობს ისეთი საქმეების განხილვაში, როგორც არის დანაშაულობანი, რომელთა ჩადენისათვის შეიძლება დამნაშავეს მიესაჯოს სიკვდილით დასჯა, განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულობანი; არასრულწლოვანთა დანაშაულობანი; გამსვლელ სხდომებში — ყველა შემთხვევაში, როცა ამას აუცილებლად მიიჩნევს სასა-

მართლოს დადგენილება ან განჩინება. პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია იმ საქმეების განხილვაშიც, რომლებიც ეხება მდარე ხარისხის, არასტანდარტული და არაკომპლექტური საქონლის გამოშვებას, შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის წესების დარღვევას.

სადაც უნდა გამოდიოდეს პროკურორი, — იქნება ეს პირველი ინსტანციის სასამართლო, საკასაციო საქმეების განხილვა თუ შემდგომი სასამართლო ინსტანციები, — ის ვალდებულია სრულყოფილად ფლობდეს საქმის მასალებს, კანონმდებლობას, გამოდიოდეს კვალიფიციურად, პრინციპული და თანამიმდევრული იყოს თავის მსჯელობაში.

როგორც ცნობილია, მონაწილეობს რა სამსჯავრო სხდომაში, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, პროკურორი მოსამართლეთა შემდეგ დაპკითხავს განსასჯელს, დაზარალებულს, მოწმეებს, შეკითხვებს აძლევს ექსპერტებს. ამგვარად, პროკურორი ფრიად პასუხსაგებ როლს ასრულებს მტკიცებულებათა გამოძიებასა და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში. სამსჯავრო გამოძიების დამთავრების შემდეგ პროკურორს ევალება საბრალდებო სიტყვის წარმოთქმა და იგი ვალდებულია მარტივად, მკაფიოდ, გასაგებად, პროფესიულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე გააშუქოს სისხლის სამართლის საქმის გარემოებანი.

მან თავისი აზრი უნდა გამოთქვას აგრეთვე ნივთმტკიცებათა ბედის, სასამართლო ხარჯების გადახდის, რეჟიმის სახის შესახებ, თუ სასამართლო გამოძიებიდან გამომდინარეობს, დასვას საკითხი დანაშაულის დანარჩენ მონაწილეთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ, გამოთქვას თავისი მოსაზრებანი კერძო განჩინების გამოტანის თაობაზე იმ მიზეზებისა და პირობების გამო, რომლებმაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას, განაჩენის გამოქვეყნების აუცილებლობის, სასამართლო პროცესის პრესაში გაშუქების შესახებ და ა. შ.

საბრალდებო სიტყვას რომ წარმოთქვამს, სახელმწიფო ბრალმდებელი მიმართავს სასამართლოს შემადგენლობას, და არა სასამართლოს სხდომის დარბაზში მყოფთ, მიუხედავად ამისა, პროკურორს უნდა ახსოვდეს, რომ დარბაზში ხალხია, რომელიც ყურადღებით ადევნებს თვალს მის ყოველ მოძრაობას და, ცხადია, მის საბრალდებო სიტყვასაც. ამიტომ, პროკურორის სიტყვა უნდა იყოს არა მარტო პოლიტიკურად და იურიდიულად სწორი, არამედ სტილურადაც გამართული. აქ ენის გამომსახველობითობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ე. ი. პროკურორი თავისი სიტყვის წარმოთქმისას უნდა ცდილობდეს, რომ ეს სიტყვა იყოს წიგნიერი, მოკლე (თუმცა კანონმდებელი სასამართლო კამათის მონაწილეებს არ უზღუდავს დროს), დამაჯერებელი და ნათელი. ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა, რომ თუ სიტყვა ნათელი არ არის, იგი ვერ მიაღწევს თავის მიზანს.

პროკურორი უნდა იყოს ძალიან კორექტული, სასიამოვნო გარეგნობისა, პატივისცემით ეპყრობოდეს პროცესის ყველა მონაწილეს, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას ირონია, არ გამოიყენოს დამამცირებელი ეპითეტები. თუ პროკურორი სრულად არ ფლობს საქმის მასალებს, ცუდად ერკვევა იურისპრუდენციის ზოგიერთ საკითხში, იწყებს უხეშობას, უკმეხად მიმართავს სასამართლო პროცესის მონაწილეებს, მოუფიქრებელ კითხვებს უსვამს მათ, იგი ასეთი ქცევით უდავოდ ბღალავს პროკურატურის ორგანოების ავტორიტეტს.

ზოგიერთ პროკურორს მიდრეკილება აქვს გააზვიადოს ან შეამციროს ცალკეული ფაქტების მნიშვნელობა, ზოგჯერ უადგილოდ იყენებს უცხოურ

სიტყვებს. ვ. ი. ლენინმა ამის შესახებ აღნიშნა, რომ ზოგჯერ „უცხოურ სიტყვებს ვხმარობთ საჭიროების გარეშე, ვხმარობთ მათ უმართებულოდ რისთვის უნდა ვამბობდეთ „დეფექტი“, როცა შეიძლება ვთქვათ ნაკლი, ნაკლოვანებანი ხარვეზი“¹.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლო სიტყვაში პროკურორმა არ უნდა გამოიყენოს შემოკლებული სიტყვები კპზ, სსსკ, სსკ და სხვ. ამ და ზოგიერთი უცხოური სიტყვის აზრი ხშირად მხოლოდ თვითონ ორატორის, მოსამართლეებისა და დამცველებისათვის არის გასაგები, ზოლო დამსწრე აუდიტორიას ყოველთვის როდი ესმის მათი მნიშვნელობა.

სასამართლო სიტყვაში იურიდიული ლიტერატურის გამოყენებასთან ერთად კარგია ლიტერატურული ნიმუშების მოყვანაც. ისინი სიტყვას უფრო აცოცხლებენ, მიმზიდველსა და გასაგებს ხდიან. ამისათვის, წერდა ა. კონი, „...საჭიროა მშობლიური ენის ცოდნა და მისი მოქნილობის, სიმდიდრისა და სამეტყველო ქცევების თავისებურებათა გამოყენების უნარი, ამასთან, რასაკვირველია, ამ ცოდნას განეკუთვნება მშობლიური ლიტერატურის საგანძურის ცოდნაც“. დიახ, ეს უდავოდ ასეა!

ამ მხრივ ჩვენი პროკურორებისათვის დაუშრეტელი წყაროა კ. მარქის, ფრ. ენგელსის და ვ. ი. ლენინის შესანიშნავი შრომები და პუბლიკაციები, აგრეთვე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეთა ნაშრომები და სიტყვები, ცნობილი ორატორებისა და პუბლიცისტების, იურისტების გამოსვლები.

სამწუხაროდ, ჩვენი ზოგიერთი იურისტი ძალიან იშვიათად მიმართავს ლიტერატურულ სახეებს, ა. კონი კი გვასწავლიდა: „...საჭიროა შეგვეძლოს, რომ სველაზე ვაფუჭებულ სულში, სადაც ყოველთვის რჩება ჯანსაღი პატარა კუნძულები, რომლებიც მხოლოდ შლამითა და ტალახით არის დაფარული, ვიპოვოთ საყრდენი წერტილი მასზე გარეგანი სიკეთით ზემოქმედებისათვის“.

სასამართლო კამათი და, კერძოდ, სახელმწიფო ბრალმდებლის სიტყვა უდიდეს აღმზრდელობითს ზემოქმედებას ახდენს არა მარტო დამნაშავეებზე, არამედ მოწმეებზეც და საერთოდ მსმენელებზე, რომლებიც სამსჯავრო სხდომას ესწრებიან, მაგრამ ამა თუ იმ დანაშაულის დაგმობას მხოლოდ მარტო იძულების, ე. ი. სასჯელის გზით ყოველთვის როდი შეაქვს ცვლილებები პიროვნების ზნეობრივ შეხედულებებში და, მაშასადამე, ჩნდება აუცილებლობა, რომ ვეძიოთ და სრულყოთ ზემოქმედების ისეთი ფორმები, რომლებიც დაგვეხმარება ზნეობრივი საწყისების ჩამოყალიბების პროცესის დაჩქარებაში. ამ საქმეში მცირე როლის შესრულება როდი შეუძლია სასამართლო კამათის გამდიდრებას ლიტერატურულ-მხატვრული მაგალითებით.

ეს ნიშნავს იმას, რომ სწორად წარმოვადგინოთ დანაშაულის გარემოებანი, მოვახდინოთ დამნაშავის, მისი გარემომცველი წრის სწორი ფსიქოლოგიური და ზნეობრივი ანალიზი, შემდეგ კი მოვიყვანოთ ნათელი ხატოვანი შედარებანი სიკეთისა და ბოროტებისა, ვაჩვენოთ უზნეობის მაგალითები იმ ვარაუდით, რომ შევეხოთ არა მარტო დამნაშავის, არამედ პროცესზე დამსწრეთა სულის სიმებს და ამავე დროს ვაჩვენოთ განკურნების გზები, გავაღვიძოთ მოღუწებული

გრძნობა ისე, რომ დამნაშავემ შეიგნოს თავისი დანაშაული, მოინანიოს იგი და პრაქტიკულად დაადგეს გამოსწორების გზას.

მრავლად შეიძლება დავასახელოთ ისეთი საბრალდებო სიტყვები, რომლებშიც დიდებულად იყო გამოყენებული მხატვრული ლიტერატურის შედეგები, მაგრამ ეს არ ითქმის ჩვენი რესპუბლიკის ორატორთა ცალკეული საბრალდებო სიტყვის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესები ეწყობა განზრახ მკვლელობათა, დატაცებათა, მექრთამეობის, ხულიგნობის, საქმის გამო, პროკურორის სიტყვები ყოველთვის როდი წარმოადგენს ორატორული მეტყველების ნიმუშს, ყოველთვის როდი გამოირჩევა მტკიცებულებათა ოსტატური ანალიზით, ფართო და ღრმა მსჯელობით.

ჯერ კიდევ ცოტაა ისეთი სიტყვები, რომლებიც აღელვებს საზოგადოებრიობას, აიძულებს მას დაფიქრდეს მწვავე ზნეობრივ პრობლემებზე.

ჩვენს პროკურორებს შესაძლებლობა აქვთ, რომ ვრცელი მასალები ამოკრიბონ მოთხრობებიდან, რომანებიდან, ანდაზებიდან, ვ. მაიაკოვსკის, ა. პუშკინის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ლექსებიდან, ნ. გოგოლის, ა. ჩეხოვის, ლ. ტოლსტოის, თ. დოსტოევსკის, შ. რუსთაველის, ალ. ყაზბეგის მ. ჯავახიშვილის, ჩვენი თანამედროვეების — ვ. შუკშინის, ვ. რასპუტინის, ჭ. ამირეჯიბის, ნ. დუმბაძის, გ. ფანჯიკიძის და ბევრი სხვა მწერლის ნაწარმოებებიდან.

ამ ნაწარმოებებში ასახულია ცხოვრება თავისი ვენებებით, სამიჯნურო-ტრავიკული მოვლენებით, მტკივნეული საკითხებითა და „ბნელი ლაქებით“, ამავე დროს კეთილშობილური სიყვარულის, მეგობრობის, გმირობის, სიძულვილის, შრომის, მოყვარეობის, პატიოსნების, ვაჟაკობის მაგალითები, სხვანაირად რომ ვთქვათ, ბრძოლა საკაცობრიო იდეალების გამარჯვებისათვის.

პროკურორის საბრალდებო სიტყვაში მხატვრული სახეების მარჯვედ გამოყენება, უეჭველია, დიდ აღმზრდელობითს ზემოქმედებას მოახდენს როგორც დამნაშავეებზე, ისე სასამართლოს სხდომის დარბაზში მყოფ ხალხზეც. ამიტომ საბრალდებო სიტყვის წარმოთქმამდე საჭიროა წინასწარი გულმოდგინე მომზადება არა მარტო შინაგანად, არამედ გარეგნულადაც: პროკურორს უნდა ეცვას ფორმის ტანსაცმელი. განსახილველი საკითხის მიხედვით შეისწავლოს შესაბამისი პოლიტიკური, იურიდიული და მხატვრული ლიტერატურა, საქმის მასალების გულმოდგინედ შესწავლის შემდეგ შეადგინოს თავისი გამოსვლის თეზისები, უკეთესია, თუ თავის სიტყვას მთლიანად დაწერს. იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოვიდეს მოუმზადებლად, აჩქარებით, „ექსპრომტად“, ცუდად, წარუმატებლად წარმოთქმული საბრალდებო სიტყვა ამცირებს არა მარტო სასამართლოში გამოსული პროკურორის, არამედ მთლიანად პროკურატურის ორგანოების ავტორიტეტსაც.

უქანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში პროკურორები გამოდიოდნენ აქტუალურ, რთულ და დიდი რეზონანსის მქონე სისხლის სამართლის საქმეებზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებათა, მექრთამეობის, მიწერების, მკვლელობათა შესახებ. კარგი იქნებოდა, პროკურორთა ეს სასამართლო სიტყვები გამოქვეყნებულიყო. იქნებ იმისათვისაც მიგვეღწია, რომ ბოლოს და ბოლოს გამოგვეცა საქართველოს სსრ პროკურორთა და ადვოკატთა სასამართლო სიტყვების კრებული.

დაზარალებული თუ მოკლული

„დაზარალებული — (დაზარალებულისა) მიმღეობა, ვნებიითი, ნამყო. ვინც ან რაც დააზარალებს ან დაზარალდა. 1. ვინც იზარალა, რასაც ან ვისაც ზარალი მიაყენეს, ზარალი მოუვიდა... 2. ბარბარეზმი: დაშავებული, დაზიანებული“¹.

„მოკლული — (მოკლულისა) მიმღეობა, ვნებიითი, ნამყო.

1. ვინ ან რაც მოკლეს. გავიდა ოთხი ხუთი დღე, მოკლული ჯიხვი, მისი ნუკრი ორივე დაავიწყდა (მონადირეს) (ვაჟა)“...²

„მკვდარი — (მკვდრისა) 1. ვინც ან რაც მოკვდა (საპირისპირო ცოცხალი). აგერ დაჭრილის... აგერ ძეს მკვდარი! (აკაკი)“...³

ეს ციტატები, რომლებიც მცირე შემოკლებით ამოღებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან, სრულყოფილად და ამომწურავად გადმოგვცემს იმ შინაარსს და მნიშვნელობას, რაც ქართულ ენაში აქვს სიტყვებს — „დაზარალებული“ და „მოკლული“ ამიტომ ამ სიტყვების ეტიმოლოგიური კვლევა საჭირო არ არის. მე მხოლოდ მოვიშველიებ დამატებითს არგუმენტებს იმი-სათვის, რომ ვამტკიცო ეს ექვმიუტანებლად ასეა და სხვა აზრი არ შეიძლება არსებობდეს.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-109-ე მუხლებში სიტყვა „დაზარალებული“ გამოყენებულია იქ, სადაც იგულისხმება — „მოკლული“.

მაგალითად, სსკ 104-ე მუხლის მე-3 პუნქტი „განზრახ მკვლელობა—დაზარალებულის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით“. სსკ 106-ე მუხლი „განზრახ მკვლელობა, ჩადენილი უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების დროს, რომელიც გამოწვეულია დამნაშავეს ან მისი ახლობლების მიმართ დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით“, სსკ 109-ე მუხლი „დამნაშავესაგან მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის თვთმკვლელობამდე ან-და თვთმკვლელობის ცდამდე მიყვანა დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობით, ან მისი პირადი ღირსების სისტემატურად დამცირებით“.

უშუალოდ კოდექსში ეს შეუსაბამობა მხოლოდ ამ სამ მუხლშია. ლიტერატურაში, როგორც წესი, „მოკლულის“ ნაცვლად იხმარება „დაზარალებული“, ზოგჯერ მოკლულიც, ხშირად კი ორივე ერთად. მაგალითად, „მკვლელმა დაზარალებულისათვის სიცოცხლის წართმევის შემდეგ ერთბაშად განიზრახა

¹ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1953, ტ. III, გვ. 307.

² იქვე, ტ. V, გვ. 767.

³ იქვე, გვ. 531.

დაუფლებოდა მოკლულის ქონებას...⁴ ალბათ არაიურისტები აქედან ძნელად თუ გამოიტანენ რაიმე აზრს.

ან: „...როდესაც დამნაშავეისათვის არა აქვს მნიშვნელობა თუ ვინ იქნება მისი მსხვერპლი დაზარალებული თუ სხვა პირი“⁵.

ამავე მუხლის ინტერპრეტაცია კარგი ქართულით რომ შეიძლება, ამას ადასტურებს ცნობილი ქართველი მკვლევარების ნაშრომები. მაგალითად, „მკვლელობა ჩადენილი იყო ძლიერი და უეცარი სულიერი აღფლავების მდგომარეობაში, რომელიც აღეძრა დამნაშავეს იმის გამო, რომ თვით მსხვერპლმა მიაყენა მას მძიმე შეურაცხყოფა...“⁶

ან: „...ხოლო მსხვერპლის გაძარცვის მიზანი მკვლელს მკვლელობის დამთავრების შემდეგ აღეძრა...“⁷ ან: „მკვლელობის ჩადენის შემდეგ ბ-ს აღეძრა განზრახვა მიეთვისებინა მოკლულის თოფი“⁸, ან: „...საჭიროა შესწავლილ იქნეს დამნაშავეს დამახასიათებელი თვისებები, მისი დამოკიდებულება შრომისადმი, ყოფაქცევა ოჯახში, დამოკიდებულება მოკლულთან...“⁹ და სხვ.

რამ გამოიწვია, რომ ქართულმა სიტყვამ — „დაზარალებულმა“ კოდექსში შეითვისა მისთვის ერთობ უჩვეულო ფუნქცია? ეს ისევ და ისევ იმ ლოგიკის ბრალია, რომლითაც იქმნება საერთოდ ქართული კოდექსები — რუსულიდან პირდაპირი ნაჩქარევი გადმოთარგმნის წყალობით.

ამ მხრივ საყურადღებოა და დიდი მნიშვნელობა აქვს ო. გამყრელიძის სტატიას „კანონის ენის შესახებ“¹⁰. იმისათვის, რომ იურიდიულმა ენამ იმეტყველოს კარგი ქართულით, მართლაც დიდი სამუშაოა შესასრულებელი, თითქმის მთელი ყამირია ასათვისებელი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის ხას-მართლო წარმოების საფუძვლებში და რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსში ანალოგიურად იხმარება სიტყვა «Потерпевший». ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ქართულში მისი ზუსტი და სრულყოფილი შესატყვისი არ მოგვეპოვება. „დაზარალებული“ ამ სიტყვის მეორეული განმარტებაა.

«Потерпевший-ая-ее» — 1. ვინც განიცადა, აიტანა: ადამიანი, რომელმაც მარცხი განიცადა... 2. (არსებითი სახელი) დაზარალებული, ვნებული...¹¹

ტერმინი «Потерпевший» რუსულად გამოხატავს იმ მოქმედების განმცდელს, რომელიც მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის დისპოზიციაში, ე. ი. ობიექტს, რომელმაც განიცადა სუბიექტის მოქმედება. სხვა შემთხვევაში «Потерпевший» გაიგება იმისდა მიხედვით, რა მოქმედებაც იქნება ასახუ-

⁴ ბ. ფურცხვანიძე — „დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ“, თბილისი, 1960, გვ. 30.

⁵ იქვე, გვ. 36.

⁶ ვ. მაყაშვილი, მ. მაკაგარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე — „დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ“, თბ., 1980, გვ. 43.

⁷ თ. წერეთელი — „დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის საკითხები სასამართლო პრაქტიკაში“, ურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1976, № 3, გვ. 34.

⁸ იქვე, გვ. 48.

⁹ იქვე, გვ. 35.

¹⁰ ურნალი „საბჭოთა სამართალი“, № 5, 1983.

¹¹ „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ტ. II, თბ., 1958, გვ. 636.

ლი მუხლის დისპოზიციაში. ასე რომ, რუსული სიტყვა «Потерпевший» ისეთ უხერხულობას არ იწვევს.

ამ ტერმინში შეიძლება იგულისხმებოდეს სიკვდილიც, სხეულის დაზიანებაც, გაუპატიურებაც, შეურაცყოფაც და სხვა. «Потерпевший» უფრო ტევადია და მისი გამოყენება კოდექსში, მოკლულის ნაცვლად, დასაშვებია.

სიტყვა „დაზარალებულისათვის“ ასეთივე ფუნქციის დაკისრება მისი გადაჭარბებული დატვირთვაა. „დაზარალებულის“ გამოყენება ქართულ კოდექსში შეიძლება გამართლებული იყოს სხეულის დაზიანების, გაუპატიურების, შეურაცყოფის და სხვა მოქმედების, აგრეთვე მკვლელობის მცდელობის დროსაც, მაგრამ „მოკლულის“ ან „მსხვერპლის“ ნაცვლად მისი ხმარება დაუშვებელია.

ჩავენდოთ ქართულ-რუსულ ლექსიკონებში. „დაზარალებულის“ რუსულ შესატყვისად «Потерпевший» არ შეგვხვდება. მას შესატყვისება რუსული სიტყვა: «Пострадавший».

დაზარალება — «нанести ущерб; пострадать — понести убытки; დაზარალებს нанесет ущерб; დაზარალებდა — пострадал, понесет убытки; დაზარალებული — пострадавший, -ая»¹².

«დაზარალებული — причастие страдательное прошедшего времени от глагола — ნამყო დროის ვნებითი მიმღებობა... ზმნისა — დაზარალებულები სასტუმროში მოათავსეს — «Пострадавших поместили в гостинице»¹³.

«დაზარალება — 1. Имя существительное. Введение кого-нибудь в убыток; нанесение кому-нибудь убытка; нанесение кому-нибудь ущерба (урона)...»¹⁴.

დაზარალება — пострадать, понести убытки»¹⁵.

დაზარალებული — пострадавший (-ая, -ее)»¹⁶.

გარდა იმისა, რომ დაზარალებულის გამოყენება ამ მუხლებში აშკარად ეწინააღმდეგება ქართული ენის პრინციპს, მის ასეთ განმარტებას კრძალავს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის პროცესიც, საქართველოს სსსკ 47-ე მუხლის თანახმად: „დაზარალებულად ჩაითვლება პირი, რომელსაც დანაშაულობა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიაყენა“. მოკლული იქ არ არის მიჩნეული დაზარალებულად.

ამრიგად, ზემოთ ნახსენებ სამ მუხლში (104-ე მე-3 პუნქტი, 106-ე და 109-ე მუხლები) მიზანშეწონილია სიტყვა „დაზარალებული“ შეიცვალოს სიტყვით „მოკლული“, ან იმავე შინაარსის შემცველი სხვა ქართული სიტყვით.

კოდექსში გაუმართავი თარგმანის წყალობით და რუსული ტექსტის გავლენით ხშირად ისე უსუსურად გამოიყენება ქართული ენა, რომ მან შეიძლება მკითხველის სიბრალული გამოიწვიოს.

მაგალითად, დაკვირვებით წავიკითხოთ იგივე საქართველოს სსრ სსკ 109-ე მუხლის დისპოზიცია: „დამნაშავისაგან მატერიალურად, სამსახურებრივად, ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის თვითმკვლელობამდე ანდა თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობით, ან

¹² „ქართულ-რუსული ლექსიკონი“, სახელგამი, თბილისი, 1960, გვ. 103-104.

¹³ ქ. დათიაშვილი — „ქართულ-რუსული ლექსიკონი“, წიგნი 1, 1953, გვ. 518.

¹⁴ მ. ბ. კანკავა — „მოკლე ქართულ-რუსული ლექსიკონი“, გამ. „განათლება“, თბილისი, 1975, გვ. 87.

¹⁵ იქვე.

¹⁶ იქვე.

მისი პირადი ღირსების სისტემატურად დამცირებით“... (ტექსტი დაცულია. იგი კოდექსის ყველა გამოცემაში ასეთი რედაქციით არის წარმოდგენილი).

იურისტებმა იციან, რაშია საქმე ამ დისპოზიციაში, მაგრამ ფართო მკითხველს გაუჭირდება აზრის გამოტანა. საკმარისი იყო მის მთარგმნელს გახსენებოდა, რომ ჩვენს ენაში არის მშვენიერი ნაცვალსახელები და ამ ტექსტში გამოყენებინა ერთ-ერთი მათგანი, მაგალითად, ნაცვალსახელი „მასზე“, რომ წინადადება შედარებით გასაგები გამოვიდოდა: „დამნაშავისაგან, მასზე მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის, თვითშეკვლელობამდე ანდა თვითშეკვლელობის ცდამდე მიყვანა, დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობით ან მისი პირადი ღირსების სისტემატურად დამცირებით..“

თუ იმის შესაძლებლობაც გამოინახება (და შეიძლება გამოინახოს), რომ სიტყვა „დაზარალებულისადმი“ შეიცვალოს ზუსტი ქართული შესატყვისით, დისპოზიცია ჩამოყალიბდება გასაგები ქართული ენით.

ყურადღება უნდა მიექცეს იურიდიულ ლიტერატურაში უკვე ხანგრძლივი სტაჟის მქონე კარგ ქართულ სიტყვას — „ხელყოფა“, „ხელყოფილი“ (იხ. საქართველოს სსრ სსკ მერვე მუხლი). იქნებ ეს სიტყვა მოიქნას ისეთნაირად, რომ მან შეიძინოს იურიდიული ენის სპეციფიკურობა და გამოდგეს მოცემულ მუხლებში „დაზარალებულის“ ნაცვლად. სიცოცხლის ხელყოფა ხომ თავისთავად გულისხმობს მკვლელობას. დანაშაულის გზით ხელყოფილი შეიძლება გულისხმობდეს მოკლულსაც. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე ენერგიული გარჯაა საჭირო და ენათმეცნიერთა მხრივ კვალიფიკაციურ დახმარებას მოითხოვს.

ერთი რამ კი უდავოა, ისეთი ენის პატრონებს, როგორც ჩვენ ვართ, არ გვეკადრება კოდექსებში ასეთი ქართულით მეტყველება.

თ. ბეჟაშვილი,

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი, სიღნაღის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი.

პირველად რისუზლიკაში

სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებაში, მშენებლობებზე, საწარმოებში, დაწესებულებებსა თუ ორგანიზაციებში სამართლებრივი მუშაობის შემოწმების დროს მთელი სისრულით ჩანს, თუ რაოდენ დიდია სამეურნეო საქმიანობის ერთიან პროცესში იურისკონსულტის როლი.

ამ მასალის შეჯერება და ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „საქშახტმშენის“ წითელდროშოვანი № 7 ტრესტის იურიდიულ სამსახურს მშენებელთა შორის დამსახურებული ნდობა და ავტორიტეტი აქვს მოპოვებული.

დიდი ხანია, რაც მას სათავეში უდგას უფროსი იურისკონსულტი ანატოლი პეტროვი, რომელმაც სტრუქტურული ქვედანაყოფების იურისკონსულტებთან ა. მოდებაძესთან, შ. კასანოვთან, ნ. ბუაძესთან, ა. რაზბეჟინთან და სხვებთან ერთად შეძლო თავისი მუშაობის იმგვარი ორგანიზაცია, რომ იურიდიული სამსახური ტრესტის საქმიანობაში თავის კვალს ტოვებს. იურისკონსულტთა ღვაწლი კეთილნაყოფიერ, სტაბილურ ზემოქმედებას ახდენს საგეგმო, საფინანსო-სამეურნეო შედეგებზე.

იურიდიული სამსახური დიდ მუშაობას ეწევა რათა უზრუნველყოს ტრესტისათვის სასარგებლო პირობებში სახელშეკრულებო ურთიერთობათა დროული გაფორმება, შემდეგ კი ზრუნავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა უმკაცრესი დაცვისათვის, არ უშვებს ურჩი კონტრაპენტების მიმართ „ამნისტირების“ პრაქტიკას, რომელსაც ზოგან ვაწყდებით. აი ის, რაც თვალსაჩინოდ ასახავს უფროსი იურისკონსულტისა და მისი კოლეგების საქმიანობის მეტად მნიშვნელოვან მხარეს — ეკონომიკურ მხარეს.

ამ რთული და დაძაბული მუშაობის შედეგები კი თვალსაჩინოა. მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სახელშეკრულებო დისციპლინის დამრღვევთ გადახდევინეს თითქმის ორი მილიონი მანეთი, მაშინ, როცა ტრესტს პირგასამტებლოს სახით 40 ათასი მანეთიც არ გადაუხდია. თუ წარსულში ტრესტი რკინიგზას უხდიდა ჯარიმებს, ახლა, პირიქით, თვითონ ახდევინებს მას საგრძნობ საჯარიმო თანხებს.

ტრესტში ბევრი რამ კეთდება, რათა მინიმუმამდე შემცირდეს კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები. აქ ასე მუშაობენ სისტემატურად და არა შემთხვევიდან შემთხვევამდე. ყოველივე ეს დადებითად შეაფასა საქართველოს სსრ ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ტერიტორიულმა კომიტეტმა.

ტრესტის იურისკონსულტები ხშირად უმართავენ მუშა-მოსამსახურეებს ლექციებსა და საუბრებს სამართლებრივ თემებზე, ახორციელებენ ქმედითს ლონისძიებებს სოციალისტური საკუთრების საიმედოდ დაცვისათვის, დიდ დახმარებას უწევენ პროფკავშირულ კომიტეტებს, ამხანაგურ სასამართლოებს.

მაგრამ თვით ცხოვრებამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის და 1984 წლის თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებმა მშენებელთა წინაშე დასახეს ახალი ამოცანები. მისაღწევია ახალი მიჯნები. ამან კი მოითხოვა იურიდიული სამსახურის შემდგომი სრულყოფა და აქტივიზაცია, სამართლებრივი მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დაუცხრომელი ძიების აუცილებლობა.

შახტმშენებელთა მთელმა კოლექტივმა, თითოეულმა კომუნისტმა თავისი ყოველდღიური საქმიანობის საბრძოლო პროგრამად აქცია პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში ჩამოყალიბებული მითითებები და დასკვნები. პლენუმზე კი ხაზგასმით ითქვა, რომ საბჭოთა ადამიანებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა დაჩქარებული ტემპით განვითარდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. ეს იმას ნიშნავს, რომ განუხრელად უნდა შესრულდეს კანონიერება სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში, სრულად და ფართოდ იქნეს გამოყენებული სამართლებრივი საშუალებები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხის ამაღლების ამოცანათა გადაწყვეტის საქმეში. საჭიროა მთელი სისრულით ვიყენებდეთ კანონის ძალას ჯერ კიდევ არსებული ისეთი სახის დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც არის სახელმწიფოს მოტყუება, წამატება, სახალხო დოვლათის დატაცება, მფლანგველობა და უყაირათობა, დისციპლინის დარღვევა და სხვ. ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრისათვის სასიცოცხლო ნორმად იქცეს სოციალისტური კანონიერება და მართლწესრიგი. ამ წმიდათაწმიდა საქმის განხორციელებაში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ იურიდიულ სამსახურს, იურისკონსულტებს, რომლებიც, შეიძლება ითქვას, უწყებებში, საწარმოებში კანონის სრულყოფილებიანი წარმომადგენლები არიან.

ტრესტის ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციის (მმართველი — კ. უჩანეიშვილი, პარტიუროს მდივანი — ნ. ჯაკობია) ინიციატივით რესპუბლიკაში პირველად აქ ჩამოყალიბდა სამართლებრივი და საპრეტენზიო-სასარჩელო მუშაობის სასწავლო-მეთოდოლოგიური კაბინეტი, რომლის იდეაც ეკუთვნის კაბინეტის ხელმძღვანელს, უფროს იურისკონსულტს ა. პეტროვს.

კონკრეტულად რა საქმიანობას ეწევა კაბინეტი, რა შეიტანა მან ახალი იურიდიული სამსახურის მუშაობაში? კაბინეტი, უპირველეს ყოვლისა, ტრესტის 23 ქვედანაყოფში, რომლებიც რესპუბლიკის ბევრ რაიონში ფრიად სპეციფიკურ საქმიანობას ეწევიან, აშენებენ შახტებს, საწარმოო კორპუსებსა და საცხოვრებელ სახლებს, მეთოდიკურ და პრაქტიკულ ხელმძღვანელობას უწევს მთელ სამართლებრივ და საპრეტენზიო-სასარჩელო მუშაობას, გამოდის მთელი საქმიანობის კოორდინატორის როლში.

ტრესტის აპარატისა და მისი ქვედანაყოფების მუშაკებისათვის კაბინეტში არის დიდძალი იურიდიული და საცნობარო ლიტერატურა. აქ მოწყობილი მრავალი სტენდი თვალსაჩინოდ ასახავს იურიდიული სამსახურის მუშაობის შე-

დეგებს. სტენდები ამომწურავ ინფორმაციას აწვდიან მუშაკებს, თუ რა ვითარებაა სამშენებლო სამმართველოებში, მოძრავ-მექანიზებულ კოლონებში, „სპეცმახტმონტაჟის“ სამმართველოს სამონტაჟო უბნებზე კომბინატის სამრეწველო საწარმოებში, საწარმო-ტექნიკური კომპლექტაციის სამმართველოს ბაზებში.

სტენდი პროპაგანდას უწევს მოწინავე იურისკონსულტების მუშაობის გამოცდილებას. აქვე გამოფენილია მრავალგვარი ცნობები, რომლებიც აუცილებელია იურისტების, მშენებლების, მექანიზატორების, მომმარაგებლების პრაქტიკული საქმიანობისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მუშაობა, რომელსაც კაბინეტი ეწევა ოფიციალურ გამოცემებსა და პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული იურიდიული სიახლეებისა და კომენტარების სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის საქმეში. ეს საშუალებას აძლევს იურისკონსულტებს სისტემატურად იყვნენ იმ საქმის კურსში, თუ რა სიახლეებია შრომის, სამოქალაქო, საბინაო და სამეურნეო კანონმდებლობაში.

კაბინეტი სისტემატურად აწყობს სემინარებს, სადაც იწვევენ სხვა სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლებს. ტრესტის პრაქტიკოს მუშაკთათვის მზადდება სხვადასხვა ცნობარი.

დიდი ინტერესი გამოიწვია სემინარმა, რომელიც მიეძღვნა საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციით მომარაგების, ტვირთის რაოდენობრივად და ხარისხობრივად მიღების ორგანიზაციის, ასევე საპრეტენზიო-სასარჩელო მუშაობის წარმართვის თაობაზე სახელშეკრულებო ურთიერთობათა დადგენის საკითხებს. სემინარში მონაწილეობდნენ პასუხისმგებელი მუშაკები, ადგილკომის წევრები და ტრესტის ყველა ქვედანაყოფის მომარაგების განყოფილებათა მუშაკები, აგრეთვე რესპუბლიკის პროფკავშირისა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები.

სემინარის მონაწილეებმა განიხილეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების არსებითი პრობლემები, ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება, შეიმუშავეს რეკომენდაციები, წამოაყენეს საქმიანი წინადადებები. ხაზი გაესვა პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით მიღების შესახებ შექმნილი აქტის უაღრესად დიდ მნიშვნელობას. სწორედ ეს აქტია საარბიტრაჟო, პროცესის ძირითადი დოკუმენტი, რადგან მასშია მოცემული წუნდებული პროდუქციის რაოდენობა, დანაკლისი თუ ტვირთის გაფუჭების ხარისხი.

მრავალი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა პროდუქციის მომწოდებელთა მისამართით, განსაკუთრებით საქართველოს სსრ საშენ მასალათა სამინისტროს საწარმოებისა და დაწესებულებების მიმართ, რომლებიც ხშირად არღვევენ პროდუქციის მიწოდების ვადებს, სამშენებლო მოედნებზე მიაქვთ წუნდებული მასალა. ბევრი საყვედური გამოითქვა რკინიგზისა და ავტოტრანსპორტის მესვეურთა მიმართაც როგორც ტვირთის ვადების დარღვევის მოწოდების, ასევე გაწეული მომსახურების მოცულობის ხელოვნური გაზრდისათვის.

სპეციალურად ამ სემინარისათვის ტრესტის იურიდიულმა სამსახურმა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილებასთან ერთად შეიმუშავა საინსტრუქციო წერილი, მეთოდოლოგიური მითითებები და ამ მუშაობისათვის ყველა აუცილებელი დოკუმენტის ნიმუში.

სემინარმა, მისი ყველა მონაწილის აზრით, ხელი შეუწყო სოციალისტური საკუთრების დაცვისა და პროდუქციის მიწოდების დისციპლინის შემდგომი განმტკიცების საქმეს.

მეშახტეთა ქალაქის — ტყვარჩელის სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურ მოვლენად იქცა „ტყვარჩელშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველოს ბაზაზე მთელი ტრესტის სამდღიანი სემინარი, რომელიც შრომის კანონმდებლობისა და საკადრო მუშაობის საკვანძო საკითხებს მიეძღვნა.

სემინარში მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი მუშაკები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პროფკავშირის კომიტეტების წევრები, სამშენებლო სამმართველოების განყოფილებებისა და სამსახურების უფროსები, „სპეცშახტმონტაჟის“ სამმართველოს მესვეურნი, აგრეთვე შახტმშენებლთა ყველა ქვედანაყოფის კადრების ინსპექტორები. მისმა მონაწილეებმა გულდასმით განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების მასალები, კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას.

სემინარის მეცადინეობებს ხელმძღვანელობდა უფროსი იურისკონსულტი ა. პეტროვი. სემინარის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო როგორც საკავშირო, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლები. მსმენელები გაეცნენ იმ ცვლილებებსა და დამატებებს, რომლებიც საბჭოთა შრომის კანონმდებლობის საფუძვლებმა განიცადა მისი მიღებიდან, 1971 წლის 1 იანვრიდან დღემდე, ილაპარაკეს შრომის სამეურნეო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების საერთო ტენდენციებზე.

დეტალურად და კონკრეტული მაგალითების მოშველიებით განიხილეს ისეთი საკითხები, როგორც არის შრომის ხელშეკრულების შეცვლა და შეწყვეტა, სხვა სამუშაოზე გადაყვანის ცალკეული შემთხვევები, პროფესიათა შეთავსება და შენაცვლება, უწყვეტი შრომითი სტაჟის გამოანგარიშება, ხელფასებისა და პენსიების დანამატები, ბავშვიანი ოჯახებისადმი სახელმწიფოს დახმარება და სხვა მრავალი.

სემინარის შემაჯამებელ მეცადინეობაზე გამოვიდნენ „ტყვარჩელშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველოს უფროსი ა. ტვამბა, „სპეცშახტმონტაჟის“ სამმართველოს სამონტაჟოუბნის უფროსი ვ. ჯანაშია და სხვები. მათ მსმენელებს გააცნეს კადრებთან მუშაობის, შრომის კანონმდებლობის განუხრელი დაცვისთვის ბრძოლის საკუთარი გამოცდილება.

ცალკე უნდა შევეზოთ ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს. ცენტრალურ და რესპუბლიკურ პრესაში არაერთგზის იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ კადრებთან მომუშავე პრაქტიკოსი მუშაკებისათვის არა გვაქვს სპეციალური სახელმძღვანელოები, და რომ ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე დაუმსახურებლად არის მივიწყებული. ყოველივე ეს სრული სიმართლეა. საკმარისად არ არის კოდექსები, შრომის კანონმდებლობის კომენტარების შოვნა ხომ გადაუჭრელი პრობლემაა, ცოტაა საცნობარო ლიტერატურაც. ამიტომ არის მისასალმებელი ტრესტის იურიდიული სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა ამ ხარვეზის რამდენადმე გამოსწორებისათვის. აქ შექმნეს შრომის კანონმდებლობის მოკლე ცნობარი, რომელშიც შესულია შრომის კანონმდებლობის უკანასკნელი წლების მრავალი საკანონმდებლო აქტი, ცნობილი იურისტების კომენტარები, სსრ კავ-



შირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტის განმარტებანი და სხვა დოკუმენტები. ეს ცნობარი სამაგიდო წიგნია კადრების განყოფილებათა მუშაკებისათვის.

კაბინეტის „პორტფელში“ კი კვლავ მრავალი საინტერესო ღონისძიებაა გათვალისწინებული: ეს არის შეხვედრები სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებთან, მუშაობის ახალი ფორმების ძიება და დანერგვა და სხვ.

ჩვენი აზრით, შახტმშენებელთა კოლექტივმა მეტად სასარგებლო ინიციატივას ჩაუყარა საფუძველი. საჭიროა მხარი დაუჭიროთ მას და ფართოდ დაუნერგოთ სხვა უწყებებსა და საწარმოებში.

მ. ბარათელი.



სურათში: (მარცხნიდან მარჯვნივ) უფროსი იურისკონსულტი ა. პეტროვი, იურისკონსულტები ა. რაზბუეკინი, ღ. ასრატაშვილი, ბ. აღიევი და ღ. მკრტიჩიანი იურიდიული სამსახურის მუშაობის შედეგების ამსახველ სტენდებთან.

საქართველოს სსრ კროპუჩკატურის 1983 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების „სსრ კავშირის გენერალური პროკურორის № 38 82 წ. პრპანების — „საპა ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის კლენების გადაწყვეტილებებიდან და სასურსათო პროგრამიდან გამომდინარე პროკუჩკატურის ორგანოების ამოცანების შესახებ“ — განსახორციელებლად მასხარის რაიონის პროკუჩკატურის მიერ გაწეულ მუშაობაზე

კოლხეზის დადგენილებაში ნათქვამია, რომ მასხარის რაიონის პროკუჩკატურამ დასახა და განახორციელა კომპლექსური ღონისძიებანი კოლხეზის 1983 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებაში მითითებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის და სოფლის მეურნეობის შესახებ კანონმდებლობის შესრულებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერების უზრუნველსაყოფად.

საქმიანი კონტაქტებია დამყარებული მაკონტროლებელ ორგანოებთან. მოეწყო შემოწმებანი, თუ როგორ სრულდება კანონმდებლობა ბუნების დაცვის, მიწათსარგებლობის შესახებ, ახალი მოსავლის დაცვის, აგრეთვე ვაგონების მოცდენისათვის და უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე. დიდი ყურადღება ექცეოდა საგემო, სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებას, გამოცემული სამართლებრივი აქტების კანონიერების, კოლმეურნეობაში მართვის დემოკრატიული პრინციპების დაცვას. გაძლიერდა სხვა კანონმდებლობის დაცვისადმი ზედამხედველობა.

გამოვლენილი დარღვევების გამო რაიონის პროკუჩკატურა ახდენდა სათანადო რეაგირებას, პარტიის რაიკომს გეგმავდა მ ინფორმაცია, რასაბუჯოს აღმასკომში შეტანილია 14 წარდგინება. დააყენა თანამდებობის ზოგიერთი პირის დისციპლინური და მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხი და გააფრთხილა კანონის დარღვევის დაუშვებლობის შესახებ. მიღებულია ზომები მატერიალური ზარალის ანაზღაურებისათვის. ამ მიზნით სახალხო სასამართლოში შეტანილია 55 სასარჩელო განცხადება 29 575 მანეთის თანხაზე. პროკურორის ჩარევის შემდეგ ანაზღაურებულია 21 967 მანეთი.

გაუმჯობესდა ამ კატეგორიის საქმიანობის მოკვლევისა და გამოძიებისადმი ზედამხედველობა. შემცირდა ვადის დარღვევით გამოძიებული ასეთი საქმეების რიცხვი, ხოლო ზელახლო გამოძიებაში არც ერთი საქმე არ არის დაბრუნებული.

რაიონის პროკუჩკატურამ 5. დღონტის ბრალდების საქმის გამოძიების პროცესში ნატურით ამოიღო 134 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 38500 კგ. წონისა, რომელიც ჩაბარდა სახელმწიფოს.

გამოძიების პროცესშია სისხლის სამართლის საქმე შემოქმედის ჩაის ფაბრიკაში 9000 მანეთის სახელმწიფო ქონების მითვისების თაობაზე.

მნიშვნელოვანდ გაძლიერდა ზედამხედველობა სასამართლოში სისხლის სამართლის და საშოქალაქო სამართლის საქმეების განხილვისადმი. პროკუჩკატურის მიერ უზრუნველყოფილია

სახელმწიფო ბრალდება და დასკვნის მიცემა კატეგორიის საქმეებზე, აგრეთვე პროკურორის სარჩელებზე.

ამასთან ერთად კოლეგიამ აღნიშნა, რომ კოლეგიის 1988 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებაში მითითებული ყველა ნაკლი არ არის აღმოფხვრილი.

სოფლის მეურნეობის კანონმდებლობის განხორციელებისადმი ზედამხედველობას არა აქვს შემტევი ხასიათი. განხორციელებული არ არის სათანადო ღონისძიება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრების არაღანიშნულებისამებრ ხარჯვის აღსაკვეთად. სათანადო ბრძოლა არ წარმოებს სახელმწიფო გეგმის შესრულების ანგარიშებაში წამატებების და სხვა განზრახ დამახინჯებული მონაცემების წინააღმდეგ. პრაქტიკაში არ არის დანერგილი კანონმდებლობის დარღვევათა ფაქტობრივად აღმოფხვრის მიზნით საკონტროლო შემოწმებათა მოწყობა.

არის მასალების განხილვისა და სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების გაჭიანურების შემთხვევები (გამომძიებლებს წარმოებაში აქვთ 4 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ჰქონდათ 1981-1982 წლებში).

გამსვლელ სესიაზე საქმეების განხილვისას ყოველთვის არ არის უზრუნველყოფილი პროკურორის მონაწილეობა. კოლეგიამ ცნობად მიიღო, რომ მანარაძის რაიონის პროკურატურამ კოლეგიის 1988 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების შესასრულებლად განახორციელა ღონისძიებანი ამ დარგში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მანარაძის რაიონის პროკურორს ო. ი. დანელიას დაევალა გააძლიეროს ზედამხედველობა წამატებების, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრების არაღანიშნულებისამებრ ხარჯვის აღსაკვეთად, განახორციელოს აგრეთვე სხვა ღონისძიებანი, რომლებიც გამომდინარეობს სსრ კავშირის სასურსათო პროგრამიდან. პროკურატურამ უნდა გააძლიეროს ზედამხედველობა გამოძიებისადმი, უზრუნველყოს ძველ, გაჭიანურებულ საქმეებზე გამოძიების დამთავრება, პროკურორის მონაწილეობა სასამართლოში კატეგორიის საქმეებზე და სასამართლოს გამსვლელ სესიებზე.

— — —

ჩვენი პროფესიის აღაშენებელი

რესპუბლიკის სამართალდაცვითს ორგანოებში, იურიდიული პროფილის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებში მამაკაცთა მხარდამხარ თავდადებულად შრომობენ ჩვენი სახელოვანი იურისტი ქალები, რომლებიც ღირსეულად და კომპეტენტურად უძღვებიან მინდობილ საქმეს, უძღვებიან იმგვარად, როგორც ეს მათ შეეგნის: ერთგულად, ბეჯითად, მთელ ძალისხმევას და გულისყურს ახმარენ საყვარელ საქმეს. რესპუბლიკის იურიდიული საზოგადოებრიობა (და არამართო რესპუბლიკისა) კარგად იცნობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს მზია ლეკვეიშვილს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრს, კანონპროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის სამმართველოს უფროსს ლეილა ნიკურაძეს და რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის წევრს, სამოქალაქო განყოფილების უფროსს მანანა ქურდაძეს. ამ სამ შესანიშნავ მანდილოსანს ეძღვნება ჩანახატები, რომლებსაც მკითხველებს ვთავაზობთ.

მზია ლეკვეიშვილი



მოკლე ბიოგრაფიული ცნობა: 1945 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1950 წელს მიიღო იურისტის კვალიფიკაცია და ჩაირიცხა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის დასწრებული განყოფილების ასპირანტად. 1953 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1954-1955 წლებში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სკოლის უფროსი მასწავლებელია. 1955-1958 წლებში მუშაობს გაზეთ „კომუნისტის“ მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის განყოფილების გამგედ, შემდეგ კი სათავეში უდგება ურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციას. 1980 წლიდან მთლიანად გადადის სამეცნიერო სამუშაოზე: თანამშემდგვრულად არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტი (შეთავსებით ქართულ

ლი საბჭოთა ენციკლოპედიის უფროსი მეცნიერი რედაქტორი), იურიდიული ფაკულტეტის დეკანი (1975-1979 წ. წ.), პარტიის წევრია 1954 წლიდან. ორჯერ იყო არჩეული უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის წევრად.

მზია ლეკვეიშვილი ცნობილი იურისტის შალვა ლეკვეიშვილის ოჯახში დაიბადა. მამამისს, ერთდირებულ და მრავალმხრივ განათლებულ იურისტს, ხანგრძლივი დროის მანძილზე ხელმძღვანელი თანამდებობანი ეკავა რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის და პროკურატურის

ორგანოებში, 1949-1954 წლებში არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად, თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1954 წლიდან გარდაცვალებამდე ადვოკატურაში მოღვაწეობდა. იგი რამდენიმე წიგნისა და მეცნიერული სტატიის ავტორი იყო.

ეტყობა, ამანაც განაპირობა ის, რომ მზიას აღრევე ადემრა იურისტის პროფესიისა და მეცნიერული საქმიანობის სიყვარული. ეს ინტერესი მას არასოდეს განუღებია.

ამ სტრუქტურის ავტორს ახლაც კარგად ახსოვს, 1945 წლის სექტემბერში როგორ გამოჩნდა ფაქულტეტზე მოხდენილი გარეგნობის ქალიშვილი, რომელმაც ყველა, მათ შორის უფროსკურსელებიც სასიამოვნოდ გააოცა თავისი განათლებით, მაღალი კულტურით, გონებამახვილობით, გამჭირაობით. იგი მაშინვე აქტიურად ჩაება ფაქულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში და სულ მალე თვითონ გახდა ბევრი საინტერესო წამოწყების მოთავე.

იმ პერიოდში ფაქულტეტის დეკანად მუშაობდა პროფესორი თინათინ წერეთელი. მის ფსიხელ თვალს არ გამოჰპარვია ნიჭიერი, შემოქმედებითად, ორიგინალურად მოაზროვნე მზია ლეკვეიშვილი, რომელიც მოგვიანებით, სამოციანი წლების დამდეგს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ახლად გახსნილ ინსტიტუტში მიიწვია სამუშაოდ. აქ ჩამოყალიბდა მზია ლეკვეიშვილი, როგორც მეცნიერი, სწავლული იურისტი, რთმელსაც თავისი მეცნიერული ინტერესები და საკუთარი ხელწერა აქვს. ამავე პერიოდში იწყება მისი პედაგოგიური მოღვაწეობაც უნივერსიტეტის კედლებში, მზია ლეკვეიშვილის ლექციები ყოველთვის გამოირჩევა ფაქტობრივი მასალის სიუხვით, მეტყველების კულტურით, მაღალი პროფესიულობით.

მზია ლეკვეიშვილი ჩინებული ოჯახის პატრონი, შესანიშნავი დედა და მეუღლეა. ქალიშვილი — ელენე ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატია, მეუღლე საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი ი. ჩიჭოვანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე, ჩვენი კოლეგა და მეგობარია.

და ბოლოს, მზიას პორტრეტი სრული არ იქნება, თუ ორიოდ სიტყვით არ აღვნიშნავთ იმ დამსახურებას, რომელიც მას მიუძღვის ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ წინაშე, რომლის ფაქტობრივი რედაქტორიც ის იყო მაშინ, როდესაც ჟურნალი პირველ ნაბიჯებს დგამდა.

ასეთად იცნობენ ქართველი ინტელიგენცია, მთელი ჩვენი ხალხი მზია ლეკვეიშვილს.

ლეილა ნიკურაძე

მოკლე ბიოგრაფიული ცნობა: 1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაქულტეტი და მიიღო იურისტის კვალიფიკაცია. 1953-1954 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში მთარგმნელად. 1955-1968 წლებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამშრომელია, 1965-1971 წლებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიულ კომისიაში უჭირავს რევიზორ-კონსულტანტის და უფროსი კონსულტანტის თანამდებობა. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატის შემდეგ არის კანონპროექტის მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის სამმართველოს უფროსი კონსულტანტი, ხოლო 1976 წლიდან — სამმართველოს უფროსი და სამინისტროს კოლეგიის წევრი. მას მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის წოდება. 1980 წლიდან არის სკკპ წევრი.



ლეილა ნიკურაძე იურისტის ოჯახში აღიზარდა. დედა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს განყოფილების უფროსად მუშაობდა. ლეილას სამუშაო ოთახში როცა უნდა შეხვიდეთ, სამმართველოს უფროსი ყოველთვის თავადღებლად შრომობს, გამუდმებით რაღაცას ჩაჰკირკიტებს. საქმეში ჩახედულ კაცს ეს არც გაუკვირდება. სამუშაო, წასაკითხავი რა შესას-

წორებული აქ, როგორც იტყვიან, გამოუღვევლია. მარტო 1976 წლიდან სამმართველომ თავი მოუყარა და გამოსცა რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის კრებული რუსულ და ქართულ ენებზე, რომელშიც მოზრდილი 38 ტომი შეადგინა. მათი სავრთო მოცულობა 1.500 თაბახია. ამას გარდა, ბოლო წლებში მომზადდა და დაიბეჭდა: ნორმატიული აქტების კრებულები — კანონმდებლობა ქალთა უფლებების შესახებ; სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოები; არასრულწლოვანი და კანონი; შრომის, საოჯახო და საქორწინო, საბინაო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსები. ჩაბარებულია გამოსაცემად: სისხლის სამართლის, შრომა-გასწორების, მიწის, ტყის, წყლის, წიაღის კოდექსები, ნორმატიული აქტების კრებულთა სუსურსათო პროგრამის შესახებ. დასაბეჭდად მომზადებულია სისხლის სამართლი საპროცესო და სამოქალაქო სამართლის კოდექსი. სამმართველო პასუხისმგებელია აგრეთვე საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებულის გამოცემისათვის, რომლის პერიოდულობაც წელიწადში 6 ნომერს შეადგენს. ყველა ამ მასალას ატყვია გამოცდილი იურისტისა და რედაქტორის ხელი.

სამმართველოს სამინისტროს ლაბორატორიას უწოდებენ. მართლაც, აქ რესპუბლიკის სახელმწიფო და მმართველობის უმაღლესი ორგანოების დავალებით მუშავდება მომავალი კანონებისა თუ დადგენილებების მონახაზები, ეწყობა საჭირო კონსულტაციები სწავლულ იურისტებთან, დგინდება სამართლებრივი ნორმების საბოლოო ვარიანტები.

განათლებულ, პრისციპულ, კრისტალურ კომუნისტად იცნობენ ლეილა ნიკურაძეს სამინისტროშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ბუნებით კეთილი, ჰუმანური, იშვიათად გაფიცვდება, მაგრამ ვაი იმას, ვისაც ამ დროს მისი მრისხანება დაატყდება თავს. ეს ყველაზე მეტად მაშინ იჩენს ხოლმე თავს, როდესაც კოლეგიაზე ვინმეს სერიოზული გადაცდომისა თუ უსინდისობის საკითხი განიხილება.

ლეილა ნიკურაძემ ორი ქალიშვილი აღუზარდა სამშობლოს. ნინო მომავალი ინჟინერ-ქიმიკოსია, თავისი ოჯახი შექმნა, ხოლო ქეთინო მალე ჩადგება მშრომელთა ჯანმრთელობის სამსახურში როგორც ექიმი ჰიგიენისტი. მეუღლე დ. ლორია, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგეა.

...დილიდან გვიან საღამომდე თავუდლებლივ მუშაობს ლეილა ნიკურაძე. უამისოდ შეუძლებელია, კეთილსინდისიერად შეასრულოს ის საქმე, რომელსაც ამდენი ხანია ასე გატაცებით ემსახურება.

მანანა ქურდაძე



მოკლე ბიოგრაფიული ცნობა: 1960-1966 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ გაიგზავნა ქ. თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის პროკურატურის სტაჟიორად. 1969-1970 წლებში საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვისადმი შედამხედველობის განყოფილების პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი, მერე კი იმავე განყოფილების პროკურორია. 1970 წელს აირჩიეს თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად, თავმჯდომარეობდა კოლეგიას. 1990 წლიდან საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი და კოლეგიის წევრია.

მანანა ქურდაძე, იურისტთა შემდეგი თაობის წარმომადგენელი, იურისტის ოჯახში არ გაზრდილა. მისი მშობლები პედაგოგები იყვნენ და ბავშვობიდანვე შთაუწერდნენ გოგონას სამართლიანობის, მოვალეობის პატივისცემის გრძობას. ალბათ, ამითაც უნდა აიხსნას, რომ წარსულშიც და დღე-

საც მანანა ამ სულისკვეთებით შრომობს, ემსახურება რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.

1959 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პროკურატურის ორგანოებში შეიქმნა კოლეგიები. მანანა ქურდაძე პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქალია, რომელიც საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის შემადგენლობაში შედის. თავისთავად მარტო ეს ფაქტიც მრავლისმეტყველია.

ამ ცოტა ხნის წინათ მანანამ მორიგი საკლასო ჩინი მიიღო, გახდა იუსტიციის უფროსი მრჩეველი. აი ზოგიერთი ამონაწერი ამასთან დაკავშირებით შედგენილი საატესტაციო ფურცლიდან: „მანანა ქურდაძე გამოცდილი, კვალიფიციური იურისტი, მომთხოვნი და პრინციპული ხელმძღვანელი. აქვს კარგი ორგანიზატორული თვისებები, უნარიანად ხელმძღვანელობს განყოფილებას, დიდ ყურადღებას აქცევს რაიონებისა და ქალაქის პროკურატურის საქმიანობას, უწევს მათ პრაქტიკულ დახმარებას სამოქალაქო საქმის წარმოებისადმი სპროკურორო ზედამხედველობის გაუმჯობესებაში.“

მ. ქურდაძე სისტემატურად იმაღლებს თავის იდეურ-პოლიტიკურ და პროფესიულ დონეს, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ავტორიტეტი აქვს მოპოვებული რესპუბლიკის პროკურატურის კოლექტივში“, ნათქვამია მოკლედ, სხარტად, ამომწურავად.

სამსახურებრივი მოვალეობის სამაგალითო შესრულებისა და მიღწეული წარმატებებისათვის. მ. ქურდაძე რამდენჯერმე არის წახალისებული სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და საქართველოს სსრ პროკურორის ბრძანებით, 1982 წელს კი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოვდა.

მანანა ქურდაძე ასევე სამაგალითო დედა და მეუღლეა. ქმარი — ვ. გურჩიანი, ბიოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი, ემსახურება ჩვენი სოფლის მეურნეობის აღმავლობას, ქალი-შვილი კი ემზადება სკოლაში შესასვლელად.

ვუსურვოთ საქართველოს, რომ ბევრი ჰყოლოდეს ასეთი კარგი იურისტი ქალები, სათნო დედები და ღირსეული მეუღლეები. რედაქცია ავტორთა აქტივისა და მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით გაზაფხულის დღესასწაულს — 8 მარტს ულოცავს მზიას, ლეილას, მანანას!

ო. კაცინბაძე,

საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი.

ორგანიზებული დანაშაულის სამხარეო

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მწერლების კლავს პოლკენისა და ხორსტ სცეპონიკის წიგნი „ვინც არ ღუმს, უნდა მოკვდეს“, მოგვითხრობს ფარული ტერორისტული ორგანიზაციის, მაფიის (კოზა ნოსტრას) შესახებ, რომლის ქსელი დიდი ხანია მოედო არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატებს, არამედ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებსაც. წიგნში ნაჩვენებია მაფიის მჭიდრო კავშირი ბურჟუაზიულ-პოლიტიკურ პარტიებთან, სახელმწიფო მოღვაწეებთან, პოლიციასთან, რომ ორგანიზებულ დანაშაულებასა და კაპიტალს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. დღეს მაფია ბიზნესის ნაირსახეობაა და ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოადგენს უზარმაზარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალას. ავტორები დამაჯერებლად გვინახავენ მანიკერებს კაპიტალისტური სისტემისა, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზებული დანაშაულობების წრდას.

წიგნში წარმოდგენილი მასალა უთუოდ დაინტერესებს ჩვენს მკითხველებს. ვებედავთ რამდენიმე ნაწყვეტს ამ წიგნიდან, რომელიც თარგმნა ჟურნალისტმა ჯუმბერ ვაჩიბერიძემ.

ალ კაპონესი ალყაშია

1920 წლის 16 იანვარს ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალაში შევიდა ქვეყნის კონსტიტუციის მეთვრამეტე შესწორება, რომელიც კონგრესმა ხმის უმრავლესობით მიიღო. მის პირველ ნაწილში ნათქვამი იყო: „ამ მუხლის რატიფიკაციის ერთი წლის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში და მთელ მის ტერიტორიაზე, სადაც მისი ხელისუფლება ვრცელდება, აკრძალულია მონმარებისათვის ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება, გაყიდვა ან გადაზიდვა, აგრეთვე შემოზიდვა ან გატანა“.

1920 წლის 16 იანვარს ვირჯინიის შტატის ქალაქ ნორფოლკში საფლავში სიმბოლურად ჩაუშვეს ჯონის ქერის მარცვლის კუბო, რომელიც ალკოჰოლიან სასმელებს განასახიერებდა. ცერემონიის დროს ევანგელისტმა ბილი სანდმა აღავლინა ლოცვა. სანდმა ხელები პათეტიკურად აღაპყრო და წარმოთქვა: „მშვიდობით, ჯონ! შენ ჰეშმარიტი მტერი იყავი ღმერთისა და მეგობარი ეშმაკისა! შე შენ მთელი არსებით მძულხარ!“

1920 წლის 16 იანვარს შეერთებულ შტა-

ტებში შემოდებულ იქნა „მშრალი კანონი“. ლეგალურად არ შეიძლებოდა არც ვისკის და არც ქერის ღუმის შენახვა. მაგრამ „ღვთის მიერ ამოჩენულ ქვეყანაში“ ყველა მოქალაქეს სულის სიღრმემდე როდი ეჯავრებოდა ალკოჰოლი. პირიქით, ადამიანებმა, რომლებიც წინათ ალკოჰოლს არ ეტანებოდნენ, აკრძალვის შემდეგ სმა დაიწყეს. სასმელებზე მოთხოვნილება უწინდელთან შედარებით კიდევ უფრო გაიზარდა ალკოჰოლის ინდუსტრიაში გამოჩნდა ახალი ტენდენციები: მუნშაინერი, ბუტლეგერი, სპიკიზი. მუნშაინერი — იატაკქვეშეთის არყის გამოშვებელი — ღამლამობით მთვარის შუქზე მალულად ამზადებდა ვისკის. ბუტლეგერ* — კონტრაბანდისტს — შემოქონდა აკრძალული შხამი ქვეყანაში ოკეანის ან კანადის საზღვრის გავლით. სპიკიზი* — არალეგალურ ბუნავში — ჩურჩულვით, მრავლისმეტყველი თვალის პაჭუნით უკვეთავდნენ ჩაის და ჩაის ფინჯანით სვამდნენ მაგარ სასმელს. ალკოჰოლიანი სასმელების არალეგალური ვაჭრობით ფანტასტიკური მოგების მიღება შეიძლებოდა. ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ 15 დოლარად შეძენილ ერთ ბოთლ ვისკის 70-80 დოლარი მოგება მოჰქონდა. პო-

* Moonshiner (ინგლ.) — მთვარის შუქი.
* Bootlegger (ინგლ.) — სპირტიანი სასმელების არალეგალური ვაჭრობა.
* Spikakeasy (ინგლ.) — ჩურჩულვით.

ლიციასთან ბრძოლაში საჭირო ხდებოდა ყოველგვარი ხერხის გამოყენება. უპირველეს ყოვლისა აუცილებელი იყო კარგად აწყობილი ორგანიზაციის შექმნა. ამრიგად, ალკოპოლიანი სასმელების ვაჭრობა სოკოსავით მომრავლებული განგსტერი ბანდების მოქმედების სფეროდ იქცა. ისინი ალკოპოლის ვაჭრობას მრავალ პროფესიას უთავსებდნენ.

ამ საქმისათვის საჭირო იყო მეზღვაური, რომელიც შემოიტანდა ვისკის ზღვის ან ოკეანის გავლით. ბანდა დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ მიიღებდა რამდენიმე ათასი დოლარის საქონლის ღირებულებას იგი არ დაბრუნდებოდა ხელცარიელი, შემდეგ კი არ მოჰყვებოდა რაიმე ამბავს თავდასმის შესახებ, რომლის დროსაც მას მთლიანად წაართვეს ფული. ასევე აუცილებელი იყო სატვირთო ავტომანქანის მფლობელი, რომელიც ეჭმითანილი არ იქნებოდა პოლიციისაგან და ამავე დროს შეძლებდა მოესყიდა პოლიციელი, გაეღო მისთვის რამდენიც კი საჭირო იყო, არც ძალიან ბევრი, მაგრამ არცთუ მცირე. და, ბოლოს, საქონლის გასაყიდად საჭირო იყო ფართო ქსელის აპარატის შექმნა.

ჯერ კიდევ 1920 წელს ჩაებნენ განგსტერები დიდ ბიზნესში. ჩიკაგო დროებით ალკოპოლის კონტრბანდის სატახტო ქალაქად იქცა. ამ ბიზნესით დასაქმებული ბანდების რიცხვში შედიოდა აგრეთვე „შავი ხელი“. მას დიდი ჯიმის-კოლონიის სახით დიდხანს ჰყავდა ფრთხილი და გამოცდილი ბელადი. 1915 წელს ნიუ-იორკიდან ჩიკაგოში სხვა მაფიოზი ჯონი ტორიო გადასახლდა და მალე კოლონიის ადიუტანტის თანამდებობა დაიკავა. ნიუ-იორკში 1911 წლიდან მან სასტიკი კონტროლი დაუწესა ნავსადგურს, რისთვისაც მეტსახელი „მრისხანე ჯონი“ შეარქვეს.

ოციან წლებში ჩიკაგოში უკვე 130 ათასი ოტალიელი ცხოვრობდა, „შავი ხელის“ ძალაუფლების შემდგომი გაფართოების საიმედო წყარო. „მშრალი კანონის“, სპირტიანი სასმელების დამზადების და გაყიდვის აკრძალვის ძალაში შესვლის მომენტისათვის, კოლონიის კონტროლს ექვემდებარებოდა უკვე ჩიკაგოს ჩრდილოეთი ნაწილი. სწორედ ამ წლებში გამოიძახა ტორიომ ნიუ-იორკიდან ახალგაზრდა ალ (ალფონსო) კაპონე, რომელიც მას სამსახურს უწყევდა ნიუ-იორკში.

კაპონე, არ ყოფილა სიცილიელი. იგი ნეაპოლში დაიბადა 1899 წელს. შემდგომში მშობლებთან ერთად ემიგრაციაში წავიდა ამერიკაში. ალფონსო გაიზარდა ნიუ-იორკში, „მცირე იტალიაში“, იტალიური გეტოს ჯურღმუ-

ლებში, სადაც თავშესაფარი ჰოვს ლატაკმა სიცილიელმა ემიგრანტებმა. დანაშაულისათვის აქ განსაკუთრებული ნაყოფიერი ნიადაგი იყო. მოზარდი კაპონე შედიოდა ახალგაზრდულ ბანდაში, რომლის წევრები ბაძებდნენ უფროსებს და ბოსტნეულის დუქნებს ქურდავდნენ. ერთ-ერთი ჩხუბის დროს მას მარცხენა ღოვანზე დანით ღრმა ჭრილობა მიაყენეს. ამის შემდეგ ალფონსო ატარებდა მეტსახელს „სახენაიარევი“. ახალგაზრდა მაფიოზი მიიღეს მრისხანე ჯონის ბანდაში. ამ დროიდან ტორიო კაპონეს კერპი გახდა, თავის მხრივ ტორიო ახალგაზრდა მაფიოზის ნიჭიერებაში დარწმუნდა.

**სოცვა-ქალაქა წინიდა
ვალენტინის დღეს**

1920 წელს კოლონიო მოკლეს. მისი საქმეები მექვიდრებით ჩაიბარა ჯონი ტორიომ. ამ დროისათვის ჩიკაგოში მაფიის შემოსავალი კვირაში დაახლოებით 100 ათას დოლარს შეადგენდა. კოლონიოს სიკვდილით ბრძოლა მეტოქე ბანდებს შორის არ დამთავრებულა. ძირითადი მოწინააღმდეგე დაიონ ო' ბენიონის ბანდა იყო, რომელზეც უმთავრესად ირლანდიელი ემიგრანტებისაგან შედგებოდა. ტორიომ და მისმა ადიუტანტმა კაპონემ გადაწყვიტეს მეტოქისათვის გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინათ, მკვლელობებში დახელოვნებულმა რამდენიმე მაფიოზმა — ტრიგერმენმა, რომლებსაც ეს სახელი იმიტომ უწოდეს, რომ მუდმივად პისტოლეტის სასხლეტზე ეჭირათ თითი, იგივე ტორპედოსებმა, როგორც მათ მეორენაირად ეძახდნენ, განსაკუთრებული დავალება მიიღეს. 1924 წელს ჩიკაგოს „ლუდის მეფე“ დაიონ ო' ბენიონი მოკლეს რამდენიმე ზუსტი გასროლით, რომელიც მასში ვაისმა, როცა იგი იასამნის თაიგულით საყვილივ მალაზიიდან გამოდიოდა.

ო' ბენიონის ბანდამ შურიძიება განიზრახა, მოკლულის მექვიდრეს საიმ ვაისს საკუთარი ხელით უნდოდა მოეთავებინა ტორიო. თავის ამ აქციაში მან გამოიყენა განგსტერებისათვის ახალი იარაღი — ავტომატი. ვაისმა საკუთარი ავტომობილიდან ტყვია დაუშინა ტორიოს ავტომობილს. ჩიკაგოს მაფიის დონის მძლავრი ადგილზე გარდაიცვალა, მაგრამ თვით მრისხანე ჯონმა თავი დააღწია, ქუდში მსოლოდ ტყვიის ორი ნახვრეტი აღმოაჩნდა. რამდენიმე დღის შემდეგ ერთ-ერთი სახლის სადარბაზოში ო' ბენიონის ბანდის ტრიგერმენები კვლავ ჩაუსაფრდნენ მოწინააღმდეგეებს. ამჯერად ისინი უფრო ზუსტად ისროდნენ: ორ-მოდდაათი ტყვიიდან სამმა მიაღწია მიზანს.



ჩიკაგოს მაფიის მრისხანე მეთაური ერთ თვეს ებრძოდა სიკვდილს. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ ტორიომ გადაწვევითა საქმეს ჩამოშორებოდა. მას საკმარისი ფული ჰქონდა უზრუნველი ცხოვრებისთვის. შემდგომ იგი კიდევ დიდხანს ეხმარებოდა თავისი რჩევა-დარიგებით მაფიოზებს. ჩიკაგოს მაფიოზების ბოსის ტანტი თავისუფალი აღმოჩნდა.

გადაღობის წინ ტორიომ თავი მოუყარა ყველა კაპოს. იმ დროისათვის ჩიკაგოს მაფიოზებმა აღადგინეს ძველი სიცილიური ტრადიციები: გარკვეულ იერარქიას სათავეში ედგა დონი, რომელსაც ექვემდებარებოდნენ კაპოები-ლეიტენანტები, როგორც მათ ამერიკის გაზეთები უწოდებდნენ. ტორიომ სენსაციური წინადადება წამოაყენა: მისი მემკვიდრე უნდა იყო კაპონე. მართალია, მაფიის ბანდებში ბევრნი იყვნენ არასიცილიელები და არაიტალიელები, მაგრამ მეთაურის ადგილს აქამდე აუცილებლად იკავებდნენ ხმელთაშუა ზღვის კუნძულის წარმომადგენლები. ტორიომ აღწერა თავისი პროტექტეს დიდი ღირსებები. წინდახედულება, ორგანიზატორული ტალანტი. კაპონებმა მისი წინადადება მიიღეს, მაფიის ისტორიაში ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც არასიცილიელმა დონის წოდება მიიღო.

სახენაიარევმა ნეაპოლელმა კაპონემ მაფიის ძმობის იმედები გააშართლა. მაფიის ტანტოვ ცვლილებათა შესახებ ამერიკის საზოგადოებრივმა შეიქმნა მიმხედარიყო მიჩიგანის ტბისპირა ქალაქის პოლიციის ანგარიშებით. განგსტერების ომმა აქამდე არნახული მასშტაბი მიიღო. მარტო 1924-1929 წლებში ჩიკაგოში მოკლეს ხუთასზე მეტი განგსტერი. კაპონემ უღმობლად გაანადგურა ო' ბენიონის ბანდა, დოუერტისა და ბილი მორანის ბანდები.

ავტორმატებთან ერთად გამოიყენეს ტყვიამფრქვევეები და ხელყუმბარები. განგსტერების პრაქტიკაში დაინერგა ავტომობილებზე ასაფეთქებელი მოწყობილობის დადგმა, რომელიც სტარტერის ჩართვის შემდეგ იწყებდა მოქმედებას. ამ სერიის მკვლელობების დასაწყისად ითვლება ხოცვა-ჟლეტა, რომელიც ამერიკის კრიმინალისტის ისტორიაში წმინდა ვალენტინის დღის სახელით არის შესული. ალ. კაპონემ ოპერაცია დანიშნა 1920 წლის 14 თებერვალს. ეს დღე შემთხვევით წმინდა ვალენტინის საეკლესიო დღესასწაულს დაემთხვა. დანიშნული საათს პოლიციის ფორმაში გამოწყობილი კაპონეს ბანდის წევრები შეიჭრნენ გარაჟში, სადაც მორანის ბანდას კონტრაბან-

დული ღვინის საწყობი ჰქონდა მოწყობილი. მოულოდნელად შეპყრობილმა მორანის ხალხმა ირწმუნა, რომ ისინი ნამდვილად პოლიციელები იყვნენ, ხელები მალდა ასწიეს და მორჩილად ჩამწკრივდნენ კედელთან, მაგრამ მოსალოდნელი ჩხრეკის ნაცვლად გაისმა სროლის ხმა. მოკლეს შვიდი კაცი, მათ შორის ბანდის მეთაურიც ხოჭო-მორანი. სროლის ხმაზე გარაჟის წინ გამკვლელები მოგროვდნენ. ისინი გაკვირვებულნი დარჩნენ, როდესაც ახალთახალ ფორმაში გამოწყობილმა კანონის დამცველებმა, კაპონეს ვაგებატონებმა, მკვირცხლად დატოვეს სისხლიანი სასაკალო.

რეპატიის გამორჩენა

ალ. კაპონეს „ნიჭი“ არ შემოიფარგლა მართოდენ მკვლელობათა ორგანიზაციით. მას განსაკუთრებული ალღო აღმოაჩნდა ბიზნესშიც, მან გამოახანა იმის საშუალება, რომ სპირტიანი სასმელების კონტრაბანდიდან მიღებული მოგება სარფიანად დაეხანდებინა. კაპონე გადაიქცა ფართო მასშტაბით განხორციელებული რეკეტის ჯემმარტ გამომგონებლად. თავდაპირველად სიტყვა „რეკეტს“ არ ჰქონდა ის მნიშვნელობა, რომელიც შემდეგში შეიძინა. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, იგი წარმოიშვა ინგლისური „რეკეტიდან“ (რეკეტა) — ჩოგანი, რომლის დამზადების მონაპოვია მიიღეს ჩიკაგოში 1897 წელს. სხვა ვერსიით, ეს ცნება წარმოიშვა გასული საუკუნის დასასრულს, როცა ზოგიერთ კლუბს ნიუ-იორკში წესად ჰქონდა მეჯლისების გამართვა რომელსაც რეკეტს უწოდებდნენ. მეჯლისის ბილეთების გაყიდვა ამ კლუბების შემოსავლის ძირითადი წყარო იყო, კლუბების ადმინისტრაციას ჩვეულებრივ, ცოტაოდენი „ხელის გაღება“ უხდებოდა ვაჭრობისას, როცა ხალხს ბილეთების ყიდვას აიძულებდნენ.

კაპონემ მაფიის ყურადღება მიაპყრო ფართო მასშტაბის რეკეტის ორგანიზაციის შესაძლებლობებს და პირველად შემოიღო იგი ჩიკაგოში. კაპონემ თავის საქმიანობაში გამოიყენა თავის დროზე „შავი ხელის“ მიერ დაგროვილი გამოცდილება: ახალ ორღვანში ბანანის ბაჟი და სენტ-ლუისში ხორცის ვაჭრობა. რეკეტერები იმ წლებში შემდეგნაირად მოქმედებდნენ: მაგალითად, ჭაბუკები ბანდიდან შემოივლიდნენ ჩიკაგოს რამდენიმე ასეულ სამრეცხაოს და მეპატრონეებს გამოუცხადებდნენ, რომ მხოლოდ ათ დოლარს აიღებდნენ თვეში მათი „დაცვის გასამრჯელოდ“. თუ პატ-

* Trigger (ინგლ.) — სასხლეტი.


როს არ სურდა ფულის გადახდა, მაშინ ის კარგავდა დამცველებს, ეს კი ნიშნავდა დამსხვრეულ ვიტრინებს, გოგირდმუყავით დასვრილ კარებებს, მოგლეჯილ ფირნიშებს, მუშტრის გაფუჭებულ თეთრეულს. მალე ყველამ დაიწყო ფულის გადახდა.

ამ მეთოდის გამოყენება „შვეულად“ შეიძლებოდა ვაჭრობისა და ხელოსნობის სხვადასხვა სფეროში და „თარაზულად“ რომელიმე ერთ დარგში. ასე აღმოაჩინა კაპონემ მაფიის შემოსავლის ახალი წყაროები. თავდაპირველად მისმა ბანდამ საროსკიპოების „დაცვას“ მოჰკიდა ხელი და სულ მალე ეს სისტემა სრულყო. ძირითადი ბიზნესი იყო: 50 პროცენტი — მაფიას, 50 პროცენტი — მეძავეებს. მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ აქედან მაფიის მოგებების ამოღების შესაძლებლობები მთლიანად ამოიწურა: მეძავეებს ექსპლოატაციას უწევდნენ როგორც მისა ქალებს, და პოლიცია სავსებით სწორად უწოდებდა მათ „თეთრ მონებს“. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი მეძავის ჩვენება. „კვირაში მე 556 დოლარს ვაგროვებ, აქედან ნახევარი სახლის დიასახლისს მიაქვს. მაშასადამე, მრჩება 278 დოლარი. 25 დოლარი, გინდა არ გინდა, კაზერსს უნდა მივცე, ჩემს შუამავალს ამ სახლში, 36 დოლარიც — პეტრუჩიოს, რომელმაც აქ მომაწყო. 15 დოლარი — სალაფაცისათვის, 5 დოლარს ვიხდი სამედიცინო შემოწმებისათვის, 25 დოლარს ჩვენ გვძალავენ რომელიღაც „პოლიტიკური ფონდისათვის“, 10 დოლარს — სპორტული დღესასწაულის ბილეთებისთვის, 10 დოლარს — შერიფის პიკნიკისათვის, 50 დოლარი მიდის მორიგ სამეჯლისო კაბაზე, რომელსაც მუდმივად თავს ვგახვევს ერთ-ერთი ბანდა. დიასახლისმა გვითხრა, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა ვიყიდოთ ისინი, თორემ ბანდა სახლს ააფეთქებს. მე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ყოველ ორ დღეში უნდა გავიკეთო თმის ვარცხნილობა — ეს უზარმაზარ სიაშოვნებას ჰკვირის რომელიღაც ადგილობრივ პოლიტიკანს, ხოლო მე ეს კვირაში 15 დოლარი მიჯდება. მიუმატეთ ამას კიდევ დაახლოებით 4 დოლარი ტრანსპორტით მგზავრობისათვის, ოთახი მიჯდება 10 დოლარი. ერთხელ ჩვენ შევიტყვეთ, რომ რამდენიმე პოლიციელი ამირებდა სახლის გაჩრქვას. ეს თითოეულს ხუთი დოლარი დაგვიჯდა. ესეც გამოიქვითეთ. ამგვარად, ჩემი ყოველკვირეული ხარჯი შეადგენს 221 დოლარს და 30 ცენტს. მაშასადამე, მე მრჩება 55 დოლარი და 70 ცენტი. ამას, რა თქმა უნდა, ვაძლევ რაიმონდს, ჩემს სუტენერს, რომელსაც ჩვეულებრივ კვი-

რის ბოლოს ვხვდები, მაშინ ჩვენ სადმე მივდივართ და გავილეშებით სოლმე“.

საკითხავია, ეს დანაშაულებანი, — მკვლელობა, სპირტიანი სასმელების არალეგალური ვაჭრობა, გამოძაღვა, მეძავეების ექსპლოატაცია რატომ რჩება დაუსჯელი? უნდა ითქვას, რომ ალ კაპონემ მისი წინამორბედების აწყობილი სისტემა ისე სრულყო, რომ გიგანტური მოგებიდან მას შეეძლო მოეყვინა არა მარტო მთელი პოლიცია, არამედ საერთოდ ქალაქის პოლიტიკური მოღვაწეების უმრავლესობაც კი. ჩიკაგოელთა განსაცვიფრებლად ტორიოს სასამართლო პროცესზე, სადაც იგი, რასაკვირველია, გაამართლეს, დამცველად გამოვიდა ჩიკაგოს დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ანლო მეგობარი. მოგვიანებით გამოირკვა, რომ ალ. კაპონემ წესად შემოიღო ასეთი თანამშრომლობის გაფართოება. ამას ადასტურებს რამდენიმე ყურადსაღები დოკუმენტი, რომლებიც ხელში ჩაუვარდა ხელისუფლებას, როცა მზილებულ იქნა მაფიასთან ამერიკული მართლმსაჯულების სკანდალური კავშირის. მათ შორის იყო ჩიკაგოელი მოსამართლის ჯონსონის წერილი ალ კაპონეს ბანდის ერთ-ერთი კაპოს — მაქს ვოლპესადმი. „ტირფასო მაქს! მადლობა იმ დახმარებისათვის, რომელიც არჩევნების დღეს გამიწიეთ. თქვენ კარგად გაისარჯეთ. უთქვენოდ ვერ შევძლებდი ღირსეულად დამელწია თავი ვაჭირვებული მდგომარეობიდან, შე ძველო! არასოდეს დაგივიწყებ ამას. იმედია მალე შეხვდებით ერთმანეთს“.

ალ. კაპონეს გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ, როგორც ამტკიცებენ, მას საკონსულტაციოდაც კი მიმართეს 1928 წლის პრეზიდენტის არჩევნების დროს. შიშობდნენ, მაფია არ ჩარეულიყო წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში. ყოველ შემთხვევაში, ჩიკაგოს სისხლის სამართლის პოლიციის შეფს ფრენკ ჯ. ლოტშესა (რომლის ამოცანას შეადგენდა დანაშაულებასთან ბრძოლა) და „დიდ კაპონეს“ შორის გაიმართა კერძო, მეგობრული საუბარი. კაპონემ აღუთქვა ლოტშეს, რომ განზე დადგებოდა პრეზიდენტის არჩევნებისაგან. თუ რა შესთავაზა სამაგიეროდ ლოტშემ, ამის შემდეგ ისტორია დუმს. მაგრამ იმ წლებში პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეებაზე მაფიის უარს ვაძლევს რელი არ ჰქონდა და სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ ამერიკის უმაღლესი სახელმწიფოებრივი თანამდებობის პრეტენდენტები სავითოდ არ სარგებლობდნენ განუსტყველების დახმარებით. პრესის ერთსულოვანი აზრით, მაფია ფართოდ გაშლილ ორგანიზებულ დანაშაულობათა მხოლოდ ნაწილი იყო.



მაფიოზის მთავალი დუხს

კაპონეს მტკიცედ ჰყავდა თავის ხელში აგრეთვე „მშრალი კანონის“ სამსახურის აგენტები, რომელთა ამოცანა იყო გაეწიათ კონტროლი ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეთერთმეტე შესწორების დაცვისადმი. აგენტი, რომელსაც გაწეული შრომისათვის სახელმწიფო კვირაში 44 დოლარს უხდიდა, თუ თავის მოვალეობას არ შეასრულებდა, სხვა დანატრერესებული მხრიდან ორ-სამჯერ მეტს იღებდა, უნდა ითქვას, რომ მრავალი მათგანი ასევე იცეკოდა.

და თუ მაშინ ალ კაპონეს სრულიად არ ეშინოდა პოლიციისა, მას საფუძველი ჰქონდა შორს მდგარიყო თავისი ნიუიორკელი მეგობრებისაგან. ამერიკაში ოციანი წლების შუა ხანებში მაფია ჯერ კიდევ არ იყო ყოვლისმომცველი, ერთიანი ორგანიზაცია. მაფიის ადგილობრივი ბანდები — „ოჯახები“ ერთმანეთთან არ იყვნენ მჭიდროდ დაკავშირებული, და, დაივიწყეს რა ეროვნულობა, რომელიც მათ აერთიანებდათ. გააფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს გავლენის სფეროსათვის, ნიუიორკის მაფიის ერთ მეთაურთაგანს ერქვა ჯუზეპე აიელო.

აიელოს სამინლად სძულდა სახენიაარევი ალ კაპონე კინაიდან ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ მაფიის „ოჯახს“ სათავეში ედგა არა სიცილიელი, რომელიც მბრძანებლობდა სიცილიელებზე. თავდაპირველად აიელოს ამ სიძულვილმა ალ კაპონეს მიმართ თავი იჩინა არაპირდაპირ მოქმედებაში. ჩიკაგოს ახლოს, ქალაქ სისეროში, აიელოს მაფიის წევრმა არამზადებმა მოკლეს კომერსანტი ანტონიო ლომბარდი, რომელიც ალ კაპონეს კაპო იყო. შემდეგი თავდასხმა — ალ კაპონეს გულითად მეგობარზე და თანამებრძოლზე პასკუალე დოლარდოზე აიელომ მოაწყო მაფიის ტრადიციული სტილით. ჯუზეპე აიელოს არამზადები დოლარდოს თავის მშვენივრად მოწყობილ ჩიკაგოს ბინაში ეწვივნენ, გაეცნენ როგორც ნიუიორკელი ერთ-ერთი საერთო ნაცნობის საქმიანი პარტნიორები. მათ ყვავილები და საჩუქრებიც კი მიართვეს დოლარდოს ცოლს, რომელმაც მათ სუფრა გაუშალა, ღვინო დაუდგა და სამზარეულოში გავიდა, რათა ქმრისთვის ხელი არ შეეშალა „საქმიან საუბარში“. დოლარდოს ცოლი სამზარეულოში ფუსფუსებდა, როცა უეცრად სოლის ხმა გაისმა. იგი ოთახში შევიარდა. თავგანხრებული მისი ქმარი იატაკზე სისხლიან გუბეში ცურავდა. ნიუიორკელი „ნაცნობები“ გაუჩინარდნენ.

ცხელ გულზე დოლარდოს ცოლმა პოლიციელებს აუწერა ერთ-ერთი მკვლელის ნიშნები, მაგრამ მოგვიანებით მან უარყო თავისი ჩვენება და განაცხადა, არაფერი არ ვიცო. მაფიოზის ცოლები ასევე ვალდებული არიან დაიყვან მღუმარების კანონი.

ჯუზეპე აიელო არ დასჯერდა ამ „გაფთხილებებს“. იგი შეეცადა შინიდან გაეხრწნა ალ კაპონეს ბანდა. ნიუ-იორკის მაფიის ბოსმა დიდი გასამრჯელოთი მოესყიდა ალ კაპონეს ორი სანდო კაცი — ჯოვანი სკალიჩე და ალბერტო ანსელიმო. ორივენი ძმებთან, ჯენებთან ერთად მუშაობდნენ მაფიის ბუტლეგერების განყოფილებაში და, უნდა ითქვას, რომ დიდი წარმატებითაც. ძმები ჯენები მუპატრონეები იყვნენ, გარეგნულად შეუმჩნეველი და სავსებით ლეგალური ფორმისა, რომელიც სინამდვილეში მათი სპირტიანი სასმელების ბიზნესის საფარველი იყო. მაფიოზი ძმები პრაქტიკულად მბრძანებლობდნენ ქალაქის ყველა რაიონის პოლიციას. ყოველკვირა პოლიციის მსახურნი ძმები ჯენების ფირმის საღაროს რიგში მწკრივდებოდნენ. ქრთამს აქ სიის მიხედვით აძლევენ, რომელიც სპეციალურ შიკრიკს მოჰქონდა მაქსველ-სტრიტზე მდებარე პოლიციის სამმართველოდან.

ორი დეტექტივი, რომლებიც ამ სიაში არ შედიოდნენ, შეეცადა დაეშალათ ძმები ჯენების ფირმა. ეს მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა: ისინი დაილუბნენ ანსელიმოს და სკალიჩეს ხელით. სასამართლო პროცესზე ჩიკაგოში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მკვლელები გაამართლეს. მაგრამ სასამართლოზე საქმის განხილვის მსვლელობაში ამოტივტივდა მონაცემები პოლიციის კორუფციის შესახებ „ჯენა-ლენდში“, „ძმები ჯენების სამემკვიდრეოში“, როგორც უწოდა ხალხმა ქალაქის ამ რაიონს, ამიტომ ხელისუფლება იძულებული გახდა მიეღო „სასტიკი ზომები“, კორუფციაში მნიღებელი პოლიციელები... სხვა უბნებში გადაიყვანეს.

სკალიჩეს და ანსელიმოს მალე ჯუზეპე ჯუნტასიც შეუერთდა, რომელიც მათ წარადგინეს ჩიკაგოს მაფიის ხელმძღვანელ თანამდებობაზე. ალ კაპონემ თავის ორგანიზაციას „ჯი-2“-ს დაავალა ჯუნტასის შემოწმება. ეს ორგანიზაცია, რომელიც კაპონეს უახლესი გამომწვევი იყო ეწეოდა საჯამუშო და კონტრ-საჯამუშო ინფორმაციის სამსახურს. ჩიკაგოს ყველა პარკიმახერმა და ბარმენმა, სასტუმროს მომსახურემ, შევიცარმა და ფხესანგლის მწმენდავმა, ქალაქის სამმართველოს მოსამსახურემ, პოლიციელმა და ტაქსის მძღოლმა



იცოდნენ ტელეფონის ნომერი იმ შემთხვევისათვის, თუ რაიმე საინტერესო ექნებოდათ შესატყობინებელი „დიდი კაპონესათვის“. მალე „ჯი-2-მა“ დაადგინა, რომ ჯუზეპე ჯუნტასი იყო ჯუზეპე აიელოს „ტორაედოსი“ — სასიკვდილო განაჩენების აღმსრულებელი, რომელსაც დავალებული ჰქონდა, თუ მოახერხებდა, ბოლო მოეღო ალ კაპონესათვის, ხელში ჩაეგდო ჩიკაგოს მაფია და გამხდარიყო აიელოს ნიუიორკის ბანდის „ვიცე-მეფე“. ამაში მას სკალიჩე და ანსელიმო უნდა დახმარებოდნენ.

სისხლიანი საღიმი

ალ კაპონემ საზეიმო საღილზე ყველა მაფიოზი მიიწვია. საბაბად გამოიყენა ჯუნტასის დანიშვნა კაპოს თანამდებობაზე მაფიოზებმა თავი მოიყარეს რესტორნის საბანკეტო დარბაზში. მათ კაპონემ წინასწარ მისცა ინსტრუქტაჟი, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. „დიდი კაპონე“ პირადად იღებდა სტუმრებს, ყველას თავაზიანად უღიმოდა, თითოეულისათვის პოულობდა მეღობრულ სიტყვას, მაგრამ ართმევდა ხელს, განსაკუთრებით თავაზიანი და ალერსიანი იყო სკალიჩესთან, ანსელიმოსა და ჯუნტასთან. შემოიტანეს ტრადიციული სპაგეტინი კერძი, სურნელოვანი პიცუ, მუცლიანი ბოთლები, რომლებშიც კიანტი ესხა.

როგორც საბაბო სტუმარმა. ჯუნტასმა მაგიდის თავში დაიკავა ადგილი, სკალიჩე და ანსელიმო, რომლებმაც „დაიმსახურეს“ დაწინაურება, მას ორივე მხრიდან მოუსხდნენ

კაპონე წამოგდა, ხელში ჩამაპანურის სირჩა ეჭირა. ყველა დაძაბული ელოდა სადღეგრძელოს, მაგრამ უეცრად ტუჩებზე ღიმილი შეაშრა, სახე საშინლად დაედრიჯა და მკვდრის ფერი დაედო, მარცხენა ლოყის იარა სისხლით აევსო. „მოლაღატეები! ნებვები! აყროლებული ძაღლები! — შეშვარავად დაიყვირა მან და გაშტერებულ ჯუნტასს სირჩა სახეში სისხლიშა. მეორე ხელით კაპონემ მაგიდის ქვემოდან ბეისბოლის მძიმე საცმელა გამოიღო. ბანკეტის მონაწილეებმა პისტოლეტები დააძრეს და სამ მოლაღატეს დაუმიზნეს. კაპონემ ნელა შემოუარა მაგიდას და სკალიჩეს უკან შეჩერდა. მერე მძიმე საცმელა რამდენჯერმე ჩაარტყა მას თავში ასევე გაუსწორდა კაპონე ჯუნტასს და ანსელიმოს.

ამის შემდეგ „ჩიკაგოს მეფემ“ იატაკზე ისროლა ბეისბოლის გასისხლიანებული საცემელი, თავის ხელქვეითებს ანიშნა, გვაძები გაეტანათ, თვითონ კი სწრაფად გავიდა დარბაზიდან ანსელიმო და ჯუნტასი ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. ისინი მაფიოზებმა მოათავეს.

მეორე დღეს ჩიკაგოს მახლობლად გზისპირა გზატკეცილის თხრილში პოლიციამ სამი გვამი იპოვა. მკვლელების სახელი ყველამ იცოდა, მაგრამ მათ წინააღმდეგ არავითარი სამხილი არ იყო.

ამ მკვლელობის შემდეგ რამდენიმე კვირა გავიდა. შერთებული შტატების სხვადასხვა მხრის მაფიის დონები მიიწვიეს, ჩასულიყვნენ ატლანტიკ-სიტიში, სადა ცვანგსტერებმა კონფერენციის გამართვა განიზრახეს. შერთებული შტატების მაფიის ყველა ბანდამ ნიუიორიკიდან, დეტროიტიდან, ჩიკაგოდან, კლივლენდიდან, ფილანდელფიიდან, ბომსტონიდან, სენტ-ლუისიდან და ახალი ორლეანიდან გაგზავნა იქ თავისი წარმომადგენელი. ჩიკაგოს მაფიის მეთაურს ალ კაპონეს სურდა ხორცი შეესხა თავისი წინამორბედის ჯონი ტორიოს იდეებისათვის: დაენაწილებინა გავლენის სფეროები და შეთანხმებულიყო ურთიერთდახმარებისა და მუდმივი თანამშრომლობის თაობაზე, სამუდამოდ ბოლო მოეღო მაფიოზების ერთმანეთს შორის ბრძოლისათვის. ამ საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობა დონებს დამაჯერებლად აჩვენა აიელოს ინტრიგის მარცხმა და სამი მაფიოზის მკვლელობამ, რომელიც მას მოჰყვა. ამავე დროს, ნიუ-იორკის მაფიამ საქმით დაამტკიცა, თუ როდენ სასარგებლო შეიძლება ყოფილიყო ცალკეული განგსტერული ბანდების შეთანხმებული მოქმედება.

ნიუ-იორკის მაფიის დამაარსებლად მიაჩნიათ იგნაციო საიტი, მეტსახელად ლუპომგელი. 1899 წელს იგი მკვლელობის ჩადენისათვისა იძულებული გახდა გაქცეულიყო სიცილიიდან...

თავის სიძესთან ჯუზეპე მორელოსთან ერთად მან ნიუ-იორკში სიცილიელებისაგან ჩამოაყალიბა მაფიის პირველი ბანდა. ისტ-ჰარლემის კვარტალში, 125 ქუჩაზე ყოფილი საჯიჯინიბო ბანდამ შტაბ-ბინად გადააკეთა, როგორც მოგვიანებით ერთმა პოლიციელმა განაცხადა.



საქრებულო

ლადო მესხიშვილი სამსჯავროს წინაშე

1901 წლის 2 აგვისტოს დიდი ქართველი მსახიობი და რეჟისორი ლადო მესხიშვილი თელავში ჩავიდა. განზრახული ჰქონდა თელავის საზოგადოებისათვის კონცერტი და თეატრალური სანახაობა გაემართა. ეს იმდროინდელ დუნჭირ ცხოვრებაში ერთობ დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ჯერ იყო და, ძლივს მოახერხა კლუბის დაქირავება. შემდეგ მეფის რუსეთის აკადემიის შემოტყეობები უნდა მოეგერიებინა. მექრთამეები და პროვოკატორები ჯერ კლუბის ახლომასლო დაძრწოდნენ, მერე კი შიგაც შეაღწიეს.

ლადო მესხიშვილი, მიუხედავად დიდი სიფრთხილისა, მაინც ვერ გადაურჩა ადგილობრივ პოლიციის მოხელეებთან შეხლა-შემოხლას. საქმე იქამდე მივიდა, რომ მის წინააღმდეგ სისსლის სამართლის საქმეც კი შეითიხნეს და განსახილველად თელავის მომრიგებულ მოსამართლეს გადასცეს.

ლადო მესხიშვილის კონცერტსა და თეატრალურ სანახაობას დიდი წარმატება ხვდა წილად. 1901 წლის 3 სექტემბერს კი იგი სამსჯავროს წინაშე წარდგა.

მომრიგებელმა მოსამართლემ ლეგიზევიჩმა ლადო მესხიშვილს ბრალდება წაუკითხა, ბრალდება ორი ეპიზოდისაგან შედგებოდა: ა) საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მყუდროების დარღვევა და ბ) სამაზრო სამმართველოს მაგიდის უფროსის მიხეილ იაგოროვის მოქმედებით შეურაცხყოფა.

მომრიგებელმა მოსამართლემ, როგორც წესი, მხარეებს მოუწოდა შერიგებისათვის, მაგრამ ამას წინა აღუდგა მიხეილ იაგოროვი, რომელიც პოლიციის წარმომადგენელთან, ბოქაულის თანაშემწე კანკოვთან ერთად შეეცადა მოსამართლე დაერწმუნებინა იმაში, რომ ლადო მესხიშვილმა მას, იაგოროვს, შეურაცხყოფა მიაყენა საზოგადოების თავშეყრის ადგილას — დარბაზში. მოსამართლემ კი თვით „დაზარალებული“ იაგოროვის ჩვენებიდან გამოარკვია, რომ ლ. მესხიშვილისა და იაგოროვის შელაპარაკება მოხდა დილის 8 საათზე, კონცერტი კი, რომელსაც მიხეილ იაგოროვი არ დასწრებია, დამთავრდა ღამის 12 საათსა და 30 წუთზე. ამით, რასაკვირველია, თავისთავად გაბათილდა იაგოროვისა და კანკოვის ვერსია მიმართული ლ. მესხიშვილისადმი.

იმის გამო, რომ მხარეები ვერ მორიდდნენ, მოსამართლე შეუდგა საქმის განხილვას. სამართლომ მოუსმინა მხარეებსა და მოწმეებს (მოწმეებს შორის იყო ვასილ ბარნოვი, იმხანად თელავის სასწავლებლის ინსპექტორი, შემდეგ დიდი ქართველი მწერალი).

ლადო მესხიშვილი: 2 აგვისტოს გაემართე კონცერტი თელავის კლუბის დარბაზში, რომელიც დაქირავებული მქონდა მართო კონცერტისათვის. მისი გათავების შემდეგ მე კლუბის საბუფეთი ოთახში ვიყავი, რომ შემოვიდა ბ-ნი იაგოროვი. იგი მოვიდა ჩემთან და ასე დაიწყო: „ჩვენ თუ ასე გვეცოდნოდა, არ მოგვემდით ნებას კონცერტის გამართვისას“. როდესაც მე ჩავეკითხე — ვინ თქვენ, ან მაგით რა გინდა სთქვათ-მეთქი? მართლაც ვერ მივსვდი, რას ნიშნავდა სიტყვა „ჩვენ“, ბ-ნი იაგოროვი მაზრის უფროსობას იჩემებდა, თუ მაზრის უფროსს და თავის თავს ანაბატოლად სთვლიდა, მაინც იაგოროვმა მითხრა: „კონცერტით აღებული ფული თქვენს ჯიბეს არ მოხვდება, იმით ვილაც ოხერი ქართველების კნიაუნები და კნეინები შეიკარავენ ტანისამოსსაო“, ხოლო ეს უკანასკნელი მეტად უზნეო სიტყვებით გამოხატა. მე ვუთხარი, მაგის პასუხად ახლა არას გეტყვი, რადგანაც პატივს ვსდებ აქ შეყრილ საზოგადოებას, მაგრამ ვთხოვ — კი თვალით აღარ დამენახოთ. იაგოროვი მეორე ოთახში გავიდა. მე საშინლად აღლევებული ვიყავი. ეროვნული გრძნობის შელახვა ცეცხლად მომეკიდება, მაგრამ მაინც ვცადე, რაც კი შემეძლო თავი შევიმაგრე. გადავწყვიტე მეორე დღეს მაზრის უფროსისათვის მომესხენებინა. ავიღე ქუდი და შინ წავიდი. კიბზე რომ ჩავდიოდი, მომეწივნენ ყმაწვილები, წამართვეს ქუდი, ამწიეს და ჩემდაუნებურად კლუბის დარბაზში შემიყვანეს. მე კლუბის მამასახლისს გამოვუცხადე და ვთხოვე გაეყვანათ იაგოროვი, ან ნება მოეცათ ჩემთვის, შინ წავსულიყავი. დამსვენეს ვანშამზე, თუმცა მღელვარება ვერ შევიოკე; მაინც ვტვლილობდი, ყმაწვილებისათვის ღზინი არ შემეშალა. რა თქმა უნდა, იმისთანა მღვთმართობაში

მყოფი ვერცა ვჭამდი და არც რა დამიღვინა. გვერდს მომიჯდა თავ. ი. ლ. ჯანდიერი და მე-
კითხებოდა მიზეზს უგახშობობისას. მე თავ. ჯანდიერს ვუამბე. ის ადგა, „იმას პოლიშს მოვაბ-
ღვივნებო“, და იაგოროვის საძებნელად წავიდა. მცირე ხნის შემდეგ ტალანიდან გავიგონე ია-
გოროვის ლაპარაკი; იგი უარს ამბობდა ნათქვამზე. მე მივედი, ჩავეკითხე, შენ არ- მითხარი
ესა და ეს-მეთქი? იმან ხელის გამოქანებით წამოიძახა: „სცროუბ, თხერბ“ო. მეც ხელი შევაშველე
და იქნება პირსახეშიაც მოვარტყი არ ვიცი.

მ. ი. ხ. ი. ა. გ. ო. ო. ვ. ი. — ყველაფერი ტყუილია. მე მიველ კლუბში, ბილეთი მქონდა,
კონცერტს ვეღარ მივუსწარი და ქალაქის სათამაშოდ დავჯექი. ჯანდიერმა წამიყვანა და მა-
გან მე გამარტყა სრულიად უმიზეზოდ.

მ. ო. ს. ა. მ. ა. რ. თ. ლ. ე. — უმიზეზოდ როგორ და რისთვის დაგვიწყებდა ცემას, იქნება სხვა რამ
ჯავრი სჭირდა, ან იქნება წინათ უკმაყოფილება გქონდათ რამე ერთმანეთში?

მ. ი. ხ. ი. ა. გ. ო. ო. ვ. ი. — არავითარი უკმაყოფილება არა გვქონია. პირიქით, ძალიან თა-
ვაზიანად შექცეულა ყოველთვის მესხიშვილი და არც ამ შემთხვევაში მიმიცია მისთვის მიზეზი,
მოვიდა და დამარტყა.

მ. ო. წ. მ. ე. ო. — მე ვადასტურებ მესხიშვილის ჩვენებას. იაგოროვი მეტად
მთვრალი მოვიდა კლუბში და სთხოვა ხუთი მანეთი მესხიშვილს „ბაკარას“ სათამაშოდ და მერე
ჩაჯდა თამაშობაში. რაც შეეხება იაგოროვის ნალაპარაკებს, მე უხერხულად მიმაჩნია ხალხის
წინაშე ვთქვა.

მ. ო. ს. ა. მ. ა. რ. თ. ლ. ე. — გთხოვ სწორედ ის სიტყვები გაიმეოროთ, რომლებიც იაგოროვმა
სთქვა.

ჯანდიერმა გადახედა დარბაზს და მოსამართლეს სთხოვა: დახურულ კარებში მოესმინათ
მისთვის. მოსამართლემ დააკმაყოფილა მოწმე ჯანდიერის თხოვნა, რადგან პირველ რიგში მის-
თვის იყო საჭირო იაგოროვის სიტყვების მოსმენა. ჯანდიერმა გაიმეორა იაგოროვის ნათქვამი
სიტყვები მესხიშვილის მიმართ, რამაც თვით მოსამართლე აღაშფოთა.

მ. ი. ხ. ი. ა. გ. ო. ო. ვ. ი. — მე არაფერი მახსოვს იმის მეტი, რომ თავ. ი. ლ. ჯანდიერმა ხე-
ლიწინელგაყრილი გამიყვანა ტალანში და მესხიშვილმა დამკრა.

ლ. მ. ე. ს. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. — იაგოროვისაგან ასეთი საქციელი და ლაპარაკი პირველი არ არის.
მაგისმა უნამ შეურაცხყოფილად მოიხსენია გარდაცვლილი გენერალ-ლეიტენანტი თავ. ნ. ჭავ-
ჭავაძე, სწორედ იმ დღეს, როცა მისი ცხედარი თელავში მოასვენეს.

იაგოროვს ჩვეულებად განდობია შეურაცხყოფა ჩვენი ხალხისა. თუ ხელის გამოლებით პა-
სუხის მიცემა მდომებოდა, მაშინვე მივცემდი პასუხს, როცა მან შეურაცხყო ჩემში ეროვნული
გრძნობა და მაშინაც იმიტომ მივდიოდი, მინდოდა ავცდენილიყავი მაგისთანა უსიამოვნებას.
არ მინდოდა საქმე მქონოდა მთვრალთან, მაგრამ ხელის გამოქანება და განსაკუთრებით
„თხერბოს“ დაძახება ვეღარ მოვითმინე და, მეც ხელი ვკარი.

მ. ო. წ. მ. ე. ო. ვ. ბ. ა. რ. ო. ვ. ი. — მე ამ შემთხვევას არ დავსწრებოვარ და არც არა გამიგია
ამის თაობაზე.

მხარეთა შეთანხმებით სხვა მოწმეთა დაკითხვა აღარ გახდა საჭირო და მოსამართლემ ვა-
ათავისუფლა ისინი.

მოსამართლე ა. ლევიშვიტიმ კარგად აწონ-დაწონა საქმის ყველა გარემოება, დადასტე-
რებულად მიიჩნია, რომ საქმეზე „დაზარალებული“ მ. ი. ხ. ი. ა. გ. ო. ო. ვ. ი. ეწეოდა გამოძალვას,
ქრთამს თხოულობდა, მთვრალი იყო, თვითონ ტყებდა ღებოს და სხვა.

კრიტიკა & გიგლიოზობრაჟი

ნაშრომი დამნაშავეობის კომპლექსური შესწავლის შესახებ*

ნაშრომი წარმოადგენს კრიმინოლოგთა და სოციალური გეოგრაფიის სპეციალისტთა თანამშრომლობის შედეგს.

ავტორები სწორად აღნიშნავენ, რომ დამნაშავეობის ანალიზი შეხამებული უნდა იქნეს დამნაშავეობის ტერიტორიული სხვაობების ანალიზთან. ეს საშუალებას გვაძლევს დამნაშავეობისა და მისი მიზეზების შესწავლის დროს განვსაზღვროთ ზოგადისა და კერძოს ურთიერთკავშირის ახალი პრობლემები.

გამოკვლევას საფუძვლად უდევს ის სწორი მეთოდოლოგიური წინამძღვარი, რომ დამნაშავეობის რაოდენობრივ და თვისებრივ მაჩვენებლებსა და სხვადასხვა რეგიონში არაერთგვაროვნად მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, სოციალურ-კულტურულ და ისტორიულ პროცესებს შორის არ არის პირდაპირი მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირი. ამ კავშირს აქვს რთული ხასიათი და გაშუალებულია მთელი რიგი მოვლენებით, სხვადასხვა პროცესის ურთიერთშემოქმედებით.

დამაჩვენებლად არის დასაბუთებული საქართველოში დამნაშავეობის, როგორც შედარებით დამოუკიდებელი და სპეციფიკური სოციალური მოვლენის, განხილვის შესაძლებლობა. დამნაშავეობა საზოგადოებრივ-ისტორიული პირობების სპეციფიკური პროდუქტია. ასეთი მიდგომით რომ შევსწავლოთ იგი, ავტორებმა რეგიონების გამოყოფის კრიტერიუმად აირჩიეს არა დამნაშავეობის მახასიათებლები, არამედ ეკონომიკური, სოციალურ-დემოგრაფიული, კულტურულ-ისტორიული პროცესების ის კომპლექსი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დამნაშავეობის რეგიონულ რაოდენობრივ და თვისებრივ თავისებურებებზე.

გარკვეული ყურადღება ეთმობა აგრეთვე ეკონომიკის სტრუქტურაში არსებულ განსხვავებათა მიზეზებს, მოსახლეობის განლაგე-

ბის თავისებურებებს. კერძოდ, ნათქვამია, რომ დისპროპორციები სხვადასხვა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში გავლენას ახდენს კულტურისა და ყოფა-ცხოვრების დონეზე, საზოგადოებრივ და ჯგუფურ ფსიქოლოგიაზე. არსებითად არის მიჩნეული აგრეთვე ძველი ადგილობრივი წეს-ჩვეულებების გავრცელებულობისა და სიცოცხლისუნარიანობის გათვალისწინება. თუმცა ბევრმა ამ წეს-ჩვეულებებიდან დაკარგა თავისი პირვანდელი ხასიათი, ისინი ავტორების აზრით, ნეგატიურად მოქმედებს პიროვნების ფორმირებაზე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ხელს უწყობს ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების, მათ შორის დამნაშავეობის წარმოშობას.

საქართველოს სსრ სხვადასხვა რეგიონი ერთმანეთისაგან განსხვავდება მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურით, განათლების დონით, ურბანიზაციისა და მიგრაციის ინტენსიურობით. ავტორთა აზრით, ეს არის განსხვავებების მიზეზი დამნაშავეობის მაჩვენებლებში.

ავტორთა მიდგომის განმასხვავებელი ნიშანია სწორედ რეგიონული პრინციპის რეალიზაცია მისი სოციალურ-გეოგრაფიული გავლებით. რეგიონი ამ თვალსაზრისით შეიძლება არ დაემთხვეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს. ამიტომაც დამნაშავეობის ტერიტორიული განსხვავებანი ძირითადად განაწილებულია არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ჩარჩოების მიღმა. ავტორები თვლიან, რომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მმართველობის ორგანიზება შეიძლება გადაწყვიტონ ადმინისტრაციული და ეკონომიკური ამოცანები, მაგრამ დამნაშავეობასთან ბრძოლაში წარმატებას უფრო ფართო რეგიონული მიდგომა უზრუნველყოფს. ერთგვარ კრიმინოლოგიურ-ტერიტორიულ ერთობლიობად — „დამნაშავეობის რეგიონებად“ — ავტორები გამოყოფენ რესპუბლიკის 20 ქა-

* А. А. Габнани и Р. Г. Гачечиладзе «Некоторые вопросы географии преступности», Тбилиси, издательство Тбилисского университета, 1982 г., 143 с

ლაქსა და ეთნიკურ-კულტურულ წარმონაქმნს, რომლებიც ყოველთვის არ ემთხვევა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დყოფას (თუმცა საზღვრების შეუცვლელად მოცივავს ადმინისტრაციულ რაიონებს, როგორც რანგით უფრო დაბალ ერთეულებს). ამ რეგიონებში ისტორიულად ჩამოყალიბდა ერთმანეთის მსგავსი ეთნიკური სტრუქტურა, მოსახლეობის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული პირობები. ამან ავტორებს საშუალება მისცა გამოეყოთ დამნაშავეობაზე მოქმედი ზოგადი სოციალური ხასიათის ფაქტორები და შექმნათ რეგიონების კრიმინოლოგიური ტიპოლოგია. გამოკვლევის შედეგად ავტორებმა დაადგინეს დამნაშავეობის არსებითი განსხვავებანი სხვადასხვა ტიპის რეგიონებში, რასაც აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა იმისათვის, რათა დამნაშავეობის პროფილაქტიკის და მის წინააღმდეგ ბრძოლის დროს გამოვიყენოთ დიფერენცირებული მიდგომის პრინციპი, რაც ადგილობრივი პირობებისა და თავისებურებების მაქსიმალური გათვალისწინების საშუალებას მოგვცემს.

მკვლევართა აზრით, რეგიონებში არსებული პირობების მრავალგვარობისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის არცთუ შეუზღუდავი რესურსების გამო, უფრო აქტუალურია მოხდეს ძალების კონცენტრაცია კრიმინოგენური თვალსაზრისით ყველაზე არასახარბიელო რეგიონებში, განხორციელდეს მკაფიო, მიზანსწრაფული რეგიონული პოლიტიკა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. გარდა ამისა, ეს საშუალებას იძლევა გამოიყოს დამნაშავეობის შემდგომი შესწავლის პოლიგონი, ზოლო პერსპექტივები გამოყენებულ იქნეს ასეთი კვლევების შედეგები დამნაშავეობის მოდელირებისა და პროგნოზირებისათვის.

ავტორებმა დამაჯერებლად, უაღრესად მდიდარ ემპირიულ მასალზე დაყრდნობით (რომელიც მიღებულია 70-იანი წლების შუა ხანებში სამი წლის სტატისტიკური ბარათების სრული შესწავლით) დაამტკიცეს, რომ გამოყოფილ რეგიონებში სერიოზული განსხვავებინა დამნაშავეობის სტრუქტურასა და ღონეებში.

რეგიონების გამოყოფის ერთ-ერთ პრინციპად მიჩნეულ იქნა დამნაშავეობის ცალკე შესწავლა სოფლად და ქალაქად. ავტორებმა გამოყვეს 12 „სასოფლო“ რეგიონი, მათ შორის სამი ავტონომიური ერთეულია, ხოლო დანარჩენი ემთხვევა მთლიანად

ან ნაწილობრივ საქართველოს ერთ ან რამდენიმე ისტორიულ პროვინციას. ხუთი რეგიონი ემთხვევა საქართველოს სსრ ეკონომიკურ რაიონებს (სულ 8 ეკონომიკური რაიონია). გამოყოფილია აგრეთვე 8 ქალაქ-რეგიონი.

დამნაშავეობა ამ რეგიონებში გაანალიზებულია ნასამართლობის სტატისტიკური მასალების საფუძველზე.

ავტორებმა შეისწავლეს დამნაშავეობის სტრუქტურა თითოეულ რეგიონში, რამაც მათ საშუალება მისცა მოეხდინათ რეგიონების რაჩეირება მათში წარმოდგენილი დანაშაულის სახეების (რაც შეესაბამება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის თავებს) გავრცელების მიხედვით. დამნაშავეობის რეგიონული ღონეები შედარებულია საშუალო რესპუბლიკურთან.

დამნაშავეობის სტრუქტურით რეგიონები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. როგორც შრომაშია ნათქვამი, ერთადერთი უნივერსალური მსგავსება ის არის, რომ ყველა რეგიონში ხვედრითი წილით პირველ ადგილზეა დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ.

ავტორებმა გამოყვეს რეგიონის სამი ტიპი: საქალაქო რეგიონი, სადაც ამ სახის დანაშაულის გარდა ყველაზე უფრო გავრცელებულია დანაშაული მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ და თანამდებობრივი დანაშაული; სასოფლო რეგიონი, სადაც ჭარბობს დანაშაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ, აგრეთვე დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ, რაც დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებისათვის (ასეთია 8 რეგიონი) და შერეული (სასოფლო-საქალაქო) რეგიონი, სადაც არ ჭარბობს არც ერთი სახის დანაშაული (ესენია დასავლეთ, სამხრეთ საქართველოს რეგიონები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სულ 6 რეგიონი).

ავტორებს ეს რეგიონები გაუანალიზებიათ აგრეთვე დამნაშავეობის ღონეების მიხედვით (რაც განსაზღვრულია ნასამართლობის კოდეციენტის საფუძველზე) და რეგიონები დაუჯგუფებიათ ამ მაჩვენებლების შესაბამისად.

საუურადღებოა აგრეთვე სხვა მაჩვენებლების ანალიზი, რაც ახასიათებს დანაშაულის ჩამდენ პირებს: სქესი, ასაკი, დასაქმება, ქალების, ხვედრითი წილი, წარსულში ნასამართლვე პირთა ხვედრითი წილი, მოზარდთა, და-

უსაქმებელ და სწავლას ჩამოშორებულ პირთა ხვედრითი წილი.

ავტორებს გამოაქვთ საერთო დასკვნა, რომ განსხვავებანი რეგიონებს შორის არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, საბოლოო ანგარიშით, განსაზღვრავენ არსებით განსხვავებებს დამნაშავეობის მდგომარეობასა, სტრუქტურასა და დინამიკაში.

გამოკვლევაში დამაჩერებლად არის დასაბუთებული, რომ რეგიონული მიდგომა დამნაშავეობის შესწავლისადმი საშუალებას იძლევა დადგინდეს ისეთი ტენდენციები, რომელთა აღმოჩენა სხვა ხერხებით შეუძლებელია და უფრო მკაფიოს ხდის იმ ფაქტორების დადგენის გზებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ დამნაშავეობაზე და მის სპეციფიკურ რეგიონულ თავისებურებებზე.

ამრიგად, ავტორების მიერ კიდევ ერთხელ არის ნაჩვენები ამ მიდგომის ღირსება დამნაშავეობის შესწავლის დროს, რაც მათ უეჭველ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

ამავე დროს შრომის ყველა დებულება არ არის უდავო. ავტორებს უნდა აღენიშნათ, რომ გამორიცხული არ არის სხვა მიდგომაც დამნაშავეობის ტერიტორიული ანალიზის დროს, როდესაც რეგიონების გამოყოფისა და ტიპოლოგიის კრიტერიუმად გვევლინება თვით დამნაშავეობის მახასიათებლები და მხოლოდ შემდეგ ანალიზდება სოციალურ-ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და სხვა

პროცესების თავისებურებანი, რომლებიც განაპირობებს რეგიონის სპეციფიკურ კრიმინოლოგიურ ტიპს.

ყურადღება უნდა გამახვილებულიყო იმაზე, რომ დამნაშავეობაზე გავლენას ახდენს არა ცალ-ცალკე აღებული სოციალური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორები, არამედ ამ ფაქტორების კომპლექსები, ვინაიდან დამნაშავეობის თავისებურებებსა და ცვლილებას განაპირობებს სწორედ სხვადასხვა პროცესის და მოვლენების ურთიერთქმედება, თუმცა ეს რთული ამოცანაა, რომლის გადაწყვეტასაც აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს იმ ცალკეული კრიმინოლოგიურად ღირებული ფაქტორების გამოყოფისა და აღწერის ეტაპი, რომლებიც შემდგომში უნდა გაანალიზდეს.

წიგნი უდავოდ დააინტერესებს სპეციალისტების ფართო წრეს, როგორც სწავლულებს, ისე პრაქტიკოს მუშაკებს, რომლებიც დამნაშავეობის თავიდან აცილების ამოცანებს წყვეტენ.

ა. ი. დოღოვა,

სსრ კავშირის პროკურატურის დამნაშავეობის მიზეზებისა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემსწავლელი საკავშირო ინსტიტუტის კრიმინოლოგიის საერთო პრობლემების სექტორის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,

მ. მ. მურაშოვი,

ამავე ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი.



რობიქტურობისა და სუბიექტურობის თანაფარდობისათვის შერაცხადობის ცნებაში

დ. სულაჰველიძე, მ. უბრაველიძე

სისხლის სამართლის მეცნიერების თანამედროვე აქტუალურ ამოცანათა რიგს უდავოდ განეკუთვნება საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი სუბიექტისა და მისი შინაგანი წყობის საფუძვლიანი შესწავლა. სისხლის სამართალში დამკვიდრებული ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიც კრიმინალისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს სისხლისსამართლებრივი ქმედობის სუბიექტის სულიერ მდგომარეობას, რომელთანაც დაკავშირებულია არსებითი მნიშვნელობის იურიდიული შედეგები (პიროვნების დამნაშავედ ცნობა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდება, სასჯელის აღსრულების შეჩერება და სხვ.).

მაგრამ ეს საკითხები სრულყოფილად ვერ განიხილება ობიექტურობისა და სუბიექტურობის თანაფარდობის კიდევ უფრო ფართო პრობლემისაგან მოწყვეტით. ამ მოთხოვნას მრავალმხრივ უპასუხებს რ. ი. მიხევეის საინტერესო გამოკვლევა „შერაცხადობისა და შეურაცხადობის პრობლემები საბჭოთა სისხლის სამართალში“. ნაშრომი ინტერესს იწვევს არა მარტო კვლევის ობიექტის აქტუალურობით, არამედ აგრეთვე მასში დასმული და განხილული საკითხების ფართო წრით, მათი გაზრების სიღრმითა და საგულისხმო დასკვნებით.


საზოგადოებრივად საშიში ქმედობის სუბიექტის ორი შესაძლო საპირისპირო სულიერი მდგომარეობა, მათი არსი და შინაგანი სტრუქტურა შონოგრაფიაში გამოკვლეულია სისხლისსამართლებრივი, ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური, კრიმინოლოგიურ-

სოციოლოგიური და პროცესუალური ასპექტებით. ასეთი კომპლექსური მიდგომის წყალობით ნაშრომს თეორიულად დასრულებული ხაზე აქვს. წიგნს ღირსებას ისიც მატებს, რომ მასში სათანადოდ არის გათვალისწინებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპი, დღითი დღე რომ ძაბავს ადამიანის სულიერ ძალებს და წარუშლელ კვალს აჩვენებს მის ფსიქიკურ ცხოვრებას. თანამედროვე გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლის ვითარებაში სავსებით გამართლებულია ავტორის მხრივ სპეციფიკური პრობლემათიკის პოლიტიკური მნიშვნელობის წინ წამოწევა (იხ. გვ. 8-9, 254).

შერაცხადობისა და შეურაცხადობის ძირეული პრობლემების გადაწყვეტის ცდა უნაყოფოა ადამიანის, პიროვნების ფსიქოლოლოგიურ მოძღვრებასთან და ზოგადფილოსოფიურ კონცეფციებთან მათი მიმართების გაურკვეველად. აუცილებელია აგრეთვე დადგინდეს, რა ხასიათის ზეგავლენას ახდენს ქცევაზე სუბიექტის ბიოლოგიური და სოციალური სტრუქტურის თავისებურებები. სწორ გზაზე დგას ავტორი, როდესაც შერაცხადი თუ შეურაცხი სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო ქმედობის გენეზისისა და მისი საწყისების დადგენისათვის იშველიებს თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერების, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის მიღწევებს. იგი მიმართავს აგრეთვე ქცევისა და ცნობიერების გააზრებას მათს ერთიანობაში, რაც პიროვნების სულიერი წყობის შემეცნების დასაბუთებული პრინციპია.

შერაცხადობის ფილოსოფიური ასპექტი ნაშრომში განხილულია ნების თავისუფლების მოძღვრებასთან მიმართებაში. საკითხისადმი

1 მიხეევ რ. ი. Проблемы вменяемости и невменяемости в Советском уголовном праве. Владивосток, 1983.



ამგვარი მიდგომა გასაგებია, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ და მხოლოდ ნებელობით მოქმედების უნარით აღჭურვილ სუბიექტს, რომლის კონსტიტუციური ნიშანთვისებას ნების თავისუფლება წარმოადგენს. ავტორი ამტკუნს უპირობო ინდეტერმინიზმისა და ვულგარული დეტერმინიზმის კონცეფციების უსაფუძვლობას. ისინი პრაქტიკულად აუქმებენ ადამიანის თავისუფლებას საკუთარ თავზე და გარე სინამდვილეზე ბატონობის თვალსაზრისით, ვინაიდან ნების თავისუფლებას შემოსაზღვრავენ ან მხოლოდ სუბიექტური მასშტაბით (უპირობო ინდეტერმინიზმი), ანდა მხოლოდ ობიექტური მასშტაბით (ვულგარული დეტერმინიზმი). დიალექტიკური მატერიალიზმი თავისუფლებას განიხილავს ობიექტურისა და სუბიექტურის დიალექტიკაში, სახელდობრ, როგორც ობიექტური აუცილებლობის შეცნობასა და ამ შეცნობილი აუცილებლობის შესაბამის მოქმედებას, აუცილებლობის შემცენებაზე დაფუძნებულ ბატონობას საკუთარ თავზე და გარეგან სინამდვილეზე².

რ. მიხევეი ასე აყალიბებს თავის შეხედულებას: „ამგვარად, ნების თავისუფლების ზოგადფილოსოფიურ კატეგორიასთან შერაცხადობის კავშირი ის არის, რომ სისხლის სამართლის კანონის დებულება, რომელიც შეეხება დანაშაულის სუბიექტს და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, უკავშირდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის სუბიექტის „შერაცხადობის“ ფაქტის, ე. ი. შეგნებული, ნებელობითი აქტისადმი მისი უნარის აუცილებელ გათვალისწინებას.

ნების თავისუფლების (როგორც ფილოსოფიური კატეგორიის) სპეციფიკა, „გადათარგმნილი“ სისხლის სამართლის ენაზე, — გულისხმობს პირის უნარს, რათა იგი იურიდიულად ცნონ ბრალეულად, იყოს დამნაშავე. სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საწოკადოებრივად საშინო ქმედობის ჩადენის დროს პირის ნების თავისუფლება განაპირობებს მის უნარს, იყოს ბრალეული (ე. ი. შერაცხადობას), ხოლო პირის უნარი, გამოავლინოს დანაშაულებრივ ქმედობაში თავისი პიროვნება, თავისი ანტისაწოკადოებრივი განწყობები და ღირებულებითი ორიენტაციები, ე. ი. უნარი, გამოავლინოს თავისი უარყოფითი შეხედულებები გარეგნულად, განსაზღვრავს პირის უნარს, იყოს დამნაშავე“ (იხ. გვ. 25-26). ავტორის მთელი ამ მსჯე-

ლობებიდან, მიუხედავად მისი მონდომებული ცდისა, ვერ არის ცხადად გარკვეული; თუ რა არის ნების თავისუფლების სპეციფიკა სისხლის სამართალში. უფრო მეტიც, არ არის გამორიცხული, მკითხველს შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს სისხლის სამართალში ნების თავისუფლება სუბიექტის შერაცხადობით ამოიწურებოდეს. ნების თავისუფლება ფიგურირებს სხვადასხვა სისხლის სამართლებრივ მოვლენაში და აქვს ამ სფეროში გამოვლენის რამდენიმე ასპექტი, რაც შეეხება შერაცხადობას, იგი შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთ-ერთი მხარე ნების თავისუფლების ფუნქციონირებისა სისხლის სამართალში, როგორც ამ უკანასკნელის კერძო შემთხვევა. ასე რომ, ნების თავისუფლების სპეციფიკა სისხლის სამართალში მხოლოდ შერაცხადობით არ ამოიწურება და მისი დანიშნულება ამ სფეროში მეტად ტყვადი და მრავალმხრივია.

გამოკვლევის ძირითადი ნაწილი ეთმობა შერაცხადობისა და შეურაცხადობის სისხლის-სამართლებრივ პრობლემებს. ავტორი განსაზღვრავს შერაცხადობის ცნებას, რომელშიც აყალიბებს სუბიექტის სულიერი მდგომარეობის იმ პოზიტიურ ნიშნებს, რომელთა ერთობლიობაც განაპირობებს მის უნარს პასუხი აგოს ჩადენილი უმართლობისათვის. თვით ცნება ფორმულირებულია იურიდიულ-ფსიქოლოგიური კრიტერიუმის (ინტელექტუალური და ნებელობითი ნიშნების) მეშვეობით. მაგრამ მასში, როგორც მართებულად შენიშნავს ავტორი, აუცილებლად იგულისხმება სამედიცინო-ბიოლოგიური კრიტერიუმიც (ფსიქიკის ჭანმრთელი მდგომარეობა და პიროვნების განსაზღვრული ასაკი, იხ. გვ. 62).

სამედიცინო-ბიოლოგიურ კრიტერიუმთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო გარემოება. სახელდობრ, სუბიექტის ისეთი ნიშანი, როგორიც არის ასაკი, თავისი ბუნებით ობიექტურია, რამდენადაც პირის ცნობიერებასა და ნებაზე არ არის დამოკიდებული. ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამის გამო ასაკი სუბიექტის გარეთ, სუბიექტისაგან დამოუკიდებლად მოიარება. მხედველობაშია მხოლოდ ის, რომ ასაკი, ვთქვათ, ისევე როგორც ადამიანის ანატომიურ-ფიზიოლოგიური სტრუქტურა, თავისი გენეზისითა და არსით არ წარმოადგენს ისეთივე წმინდა სუბიექტურ მოვლენას, როგორიც არის, მაგალითად, ცნობიერება და მისი ში-

2 ფ. ენგელსი, ანტი-დუბირინგი, თბ., 1952, გვ. 136.

ნაარსი, ნებელობა, ინტელიქტი, ემოცია, განწყობა და სხვ.

თავისი ასაკი, ანატომიურ-ფიზიოლოგიური წყობა და ამ უკანასკნელის ცალკეული ელემენტი სუბიექტის მიერ განიცდება როგორც ფსიქიკურისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებული მოცემულობანი. ისინი წარმოადგენენ განცდის (წმინდა სუბიექტურის, ფსიქიკურის) ობიექტს. მათ შეიძლება სუბიექტური მომენტები ვუწოდოთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სუბიექტის აუცილებელ ნიშანთვისებას წარმოადგენენ, სუბიექტისაგან მოწყვეტით არ არსებობენ ე. ი. შეიძლება ითქვას, რომ ასე იწოდებიან პირობითად.

ამრიგად, სუბიექტი და სუბიექტური ერთიდაიგივე არ არის, თანაც სუბიექტურის კატეგორია თავისი შინაარსით არაუნიტარულია. სუბიექტის კატეგორია სხვადასხვა დონის მოვლენათაგან შემდგარი ორგანული მთლიანობაა, სადაც შეიძლება გამოიყოს ფილოსოფიური (მსოფლმხედველობა, სოციალური და მორალური-სამართლებრივი მხარე) — ფსიქოლოგიური (ცნობიერება, ნებელობა, ინტელიქტი, მოთხოვნილებანი, ემოციები, ტემპერამენტი და სხვ.) ანუ სუბიექტური (პირობითობის გარეშე) დონეები და ბიოლოგიური (ანატომიურ-ფიზიოლოგიური სტრუქტურა, ფიზიკური მდგომარეობა, ასაკი და სხვ.) ანუ ობიექტური დონე. მხგავსი შინაგანი სისტემა შერაცხადლობასაც ახასიათებს, ოღონდ უფრო გამარტივებული სახით. ეს გარემოება იმაზე მტკიცედებს, რომ სუბიექტიცა და შერაცხადლობაც, როგორც რეალური მოვლენები, ობიექტურისა და სუბიექტურის თანაფარდობის დიალექტიკას გამოხატავენ.

შერაცხადობა ბრალის დადგენის წინაპირობაა და, შასასადამე, პასუხისმგებლობის წანამძღვარიც. მაგრამ შერაცხადობას არ მოიცავს არც ბრალის კონსტრუქცია და არც კანონმდებლობაში მოცემული პასუხისმგებლობის საფუძვლების სისტემა. მართალია, ბრალეული შეიძლება იყოს მხოლოდ შერაცხადი სუბიექტის ქმედობა, მაგრამ აქედან, რ. მიხევეის მართებული შენიშვნით, „სულაც არ გამომდინარეობს, რომ შეურაცხაობა — ეს არის არაბრალეულობის კერძო შემთხვევა“ (გვ. 80). ვინაიდან შეურაცხაობის შემთხვევაში ბრალის საკითხი საერთოდ არ დასმის. ახვეე არამართებული იქნებოდა ჩაგვეთვადა, რომ შერაცხადის მიერ ჩადენილი ქმედობა ყველგან და ყოველთვის ამავე დროს ბრალე-

ულიც არის. პრაქტიკა მოწმობს, რომ შერაცხადობის შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის არსებობა ქმედობასა და შედეგს შორის ჭერ კიდევ არ ნიშნავს ყოველთვის სუბიექტური კავშირის აუცილებელ არსებობასაც (მაგალითად, casus-ი, უკიდურესი აუცილებლობა და სხვ.).

ერთგვარ ინტერესს იწვევს ე. წ. „შეზღუდული შერაცხადობის“ საკითხი. აქ კრიმინალისტებს მხედველობაში აქვთ სხვადასხვაგვარი ფსიქიკური ანომალიები, დეფექტები და ნორმიდან გადახრები, რომლებიც შეგავლენას ახდენენ სუბიექტის ქცევაზე, მათ შორის — სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ჩადენის დროსაც. ასეთ შემთხვევებში შესამჩნევად იზრდება სუბიექტური ელემენტების მნიშვნელობა და როლი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტაში. ისმება საკითხი, რა გავლენას ახდენს ასეთი სუბიექტური მდგომარეობა შერაცხადობაზე?

ის, რომ ფსიქიკის გადახრები და დეფექტები ამუხრუჭებს შერაცხადობის უნარს, უკვე დიდი ხანია აღიარებულია როგორც მეცნიერი კრიმინალისტების, ასევე სასამართლო მედიცინისა და ფსიქიატრიის წარმომადგენელთა მიერ. მაგრამ ასევე დიდი ხანია კრიმინალისტებს შორის მიმდინარეობს დავა იმის თაობაზე, თუ როგორ და რა გზით უნდა აიხანოს ეს სუბიექტური გარემოება კანონმდებლობაში და სასოციალურებრივად საშიში ქმედობის იურიდიულ შედეგებზე. ეს პოლემიკა მოკლედ აღმოცენებულია რ. მიხევეის ნაშრომში (იხ. გვ. 85-91).

ფსიქიკის ანომალიების არსებით შეგავლენას რომ აღიარებს შერაცხადობაზე, ავტორთა ერთი ნაწილი საჭიროდ თვლის „შეზღუდული შერაცხადობის“ ცნების შემოტანას და მის დამკვიდრებას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შესაბამისი სამართლებრივი ნორმების მეშვეობით. ასეთი ნორმა მტკიცედ განსაზღვრავდა შერაცხადი, მაგრამ ფსიქიკური ანომალიების მქონე დამნაშავეების სამართლებრივ მდგომარეობას, ხოლო სასამართლო პრაქტიკას ექნებოდა საჭირო იურიდიული ბაზა, რომელსაც საფუძვლად დაედებოდა მკაფიოდ განსაზღვრული სამართლებრივი კრიტერიუმები, რაც ხელს შეუწყ-

უძობდა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.

არიან ისეთი კრიმინალისტებიც, რომლებიც, თუმცა ვერ უარყოფენ ფსიქიკის დეფექტებს და ანომალიების მადეტერმინირებელ მნიშვნელობას ქცევისათვის და ქმედობის იურიდიულ შედეგებში მისი ასახვის აუცილებლობას; მაგრამ არამართებულად თვლიან „შეზღუდული შერაცხადობის“ ცნების დამკვიდრებას სისხლის სამართლის კანონში³. რ. მიხევიცი მათ ემხრობა. იგი აღნიშნავს, რომ „შეზღუდული შერაცხადობის“ ცნების შემოტანა კანონში გამოიწვევს შერაცხადობის ერთიანი ცნების გაორებას. გარდა ამისა, ხელს შეუწყობს ფსიქიატრების თვითნებობას, ვინაიდან „შეზღუდული შერაცხადობა“ გაურკვეველი ცნებაა და გააძნელებს კეშმარიტების დადგენას სუბიექტის ნამდვილი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ (გვ. 89).

რა შეიძლება ითქვას ამის გამო? საქმე ის არის, რომ შერაცხადობა შეურაცხადობას საბოლოოდ სასამართლო განსაზღვრავს და არა ფსიქიატრები. ამასთანავე თვითნებობა და შეცდომები უფრო მეტად მაშინ გამოირიცხება, თუ საკითხი კანონშივე იქნება მოწესრიგებული. გარდა აღნიშნულისა, შეუძლებელია უგულვებელყოფთ ის მეტად სერიოზული ფაქტობრივი ვითარება, რომლის წინაშეც სასამართლო პრაქტიკა და მთლიანად მართლწესრიგი იმყოფება კერძოდ, კრიმინოლოგიური გამოკვლევები მოწმობს, რომ დამნაშავეთა მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის სხვადასხვა ხასიათის ფსიქიკური ანომალიებისა და დეფექტების ზეგავლენას. ეს გარემოება განსაკუთრებით მკაფიოდ აისახება ისეთ საშიშ ქმედებებში, როგორც არის მკვლელობა, სხეულის დაზიანებები, გაუბატოურება, ხულიგნობა და სხვ. მაგალითად, მოზარდ დამნაშავეთა შორის ახლა წარსულში ასეთი პირების რიცხვი შეადგენდა საერთო

რაოდენობის 57,4 პროცენტს, ბოლო სრულწლოვან დამნაშავეებში — 71,1 პროცენტს.⁵ დროთა განმავლობაში ეს პროცენტი, სამწუხაროდ, არათუ კლებულობს, პირიქით, მატულობს კიდევ. ასეთ ვითარებაში „შეზღუდული შერაცხადობის“ ცნების ერთი ხედლის დაკვირვება სისხლის სამართლიდან და მის წინააღმდეგ უკომპრომისო დანაკვების გამოტანა არ უნდა იყოს გამართლებული. პირიქით, საჭიროა ამ პრობლემისადმი უფრო საფუძვლიანი და დასაბუთებული მიდგომა.

ახლა რაც შეეხება სუბიექტის ფსიქიკის ისეთ დეფექტებს, რომლებიც შეურაცხადობას იწვევენ. როდესაც საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ჩადენილია შეურაცხ მდგომარეობაში, იურიდიული შედეგების მართებული განსაზღვრისათვის მნიშვნელოვნად იზრდება ქმედობის სუბიექტური მხარის მნიშვნელობა. წინა პლანზე იწვევს სუბიექტის სულიერი მდგომარეობისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ე. ი. ქცევის სუბიექტური მასშტაბი. ამ დროს სუბიექტი მოკლებულია უნარს, იყოს ბრალეული და პასუხისმგებელი თავისი საქციელისათვის. მაგრამ ის, თუ რა ხასიათისა და ხარისხისაა ფსიქიკური პათოლოგია, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შეურაცხის ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას. ეს გარემოება ადეკვატურად, უნდა აისახოს შეურაცხი სუბიექტის ქმედობის საბოლოო იურიდიულ შედეგებში.

ამგვარად, გარდა შერაცხი ქმედობისკარაკტიკაში შეიძლება შეგვხვდეს შეურაცხი ქმედობა და ისეთი შერაცხადი ქმედობა, რომლის დროსაც სუბიექტი განიცდის სხვადასხვა სახის ფსიქიკური ანომალიებისა და დეფექტების ნეგატიურ მადეტერმინირებულ შემოქმედებას. პირველისაგან განსხვავებით, ბოლო ორი შემთხვევის დროს ობიექტურისა და სუბიექტურის თანაფარდობაში სუბიექტური ნიშ-

³ Жижиленко А. А. Эволюция понятия уменьшенной вменяемости. — Право и жизнь, 1924, кн. 5—6; Хомовский А. А. О проблемах правоведения и психиатрии. — Советское государство и право, 1965, № 9; Малаховская Н. Т. Криминологическое значение патопсихологических аномалий психики виновного. — Советское государство и право, 1973, № 10 и др.

⁴ Дубинин Н. П., Карпец И. И., Кудрявцев В. Н. Генетика, поведение, ответственность. М., 1982, стр. 275—280; Шахриманьян И. К. К вопросу о так называемой уменьшенной вменяемости. — Вестник ЛГУ, 1961, № 23, вып. 4; Трахтеров В. С. Уменьшенная вменяемость в Советском уголовном праве. — Право и жизнь, 1925, кн. 7—8 и др.

⁵ Антонян Ю. М., Виноградов М. В., Голумб Ц. А. Преступность и психические аномалии. — Советское государство и право, 1979, № 7.



ნების პრიმატი სრულიად კანონზომიერია. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ობიექტური მნიშვნელობის მთლიანად ინარჩუნებენ თავიანთ როლსა და მნიშვნელობას შეურაცხისა თუ ფსიქიკური ანომალიების მქონე შერაცხადის ქმედობის კვალიფიკაციისას. ასე რომ, ზემოაღნიშნულ სამივე შემთხვევაში შერაცხადობისა და შეურაცხაობის იურიდიული ბუნება უცვლელი რჩება, ვინაიდან მთლიანად ინარჩუნებენ ძალას მათი თვისებრივი კომპონენტები.

შერაცხადობისა და შეურაცხაობის ადგილს რომ ეხება სისხლის სამართალში, ავტორი სამართლიანად აკრიტიკებს შეხედულებებს, რომლებიც შერაცხადობას სამედისინო-ფსიქოლოგიურ კატეგორიად მიიჩნევენ. იგი აღნიშნავს, რომ შერაცხადობა სამართლებრივი კატეგორიაა, სისხლის სამართლის ინსტიტუტია, რომლის დადგენა მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა. ხოლო შერაცხადობის სამედისინო, ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ თუ სოციოლოგიურ გაგებას მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა აქვს სამართლისათვის (იხ. გვ. 48).

რ. მიხევეი გვთავაზობს მხოლოდ შერაცხადობის პირების პასუხისმგებლობის პრინციპის შემოტანას სისხლის სამართლის კანონმდებლობის წარმოადგენს და იძლევა შესაბამისი ნორმის კონსტრუქციას, რომლის მეშვეობით ასე აყალიბებს: „შერაცხადობა ითვლება აგრეთვე ის, ვინც ნებაყოფლობით (ვარიანტი: ბრალეულად) მოიყვანა თავისი თავი ისეთ მდგომარეობაში რომლის დროსაც არ გააჩნდა უნარი გაეცნობიერებინა თავის ქმედობის ფაქტობრივი მხარე ანდა საზოგადოებრივი საშიშროება ან ეხელმძღვანელა მისთვის“ (იხ. გვ. 58).


ერთი შეხედვით, ეს დებულება არავითარ უხერხულობას არ იწვევს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, პაროზების ბრალი გადაიტანება მისი ქმედობის წინარე ეტაპზე. მაგრამ, თუ ამ დებულებას შევაჭრებთ ავტორის აღრინდელ მსჯელობებთან შერაცხადობის თაობაზე (იხ. გვ. 49-50), აშკარა გახდება მათ შორის ლოგიკური წინააღმდეგობა. შერაცხადობას რ. მიხევეი შემოსაზღვრავს მხოლოდ და მხოლოდ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ფარგლებით. ამასთანავე, დროის მიხედვით შერაცხადობას იგი უკავშირებს მხოლოდ ამ ქმედობის ჩადენის მომენტს (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული შემთხვევისათვის სიტყვა „მომენტის“ ხმარება ავტორს, რატომღაც, არამართებულად მიაჩნია). რ. მიხე-

ვეის მიერ შემოთავაზებული დებულებიდან გამომდინარე კი სრულიად უდავოა, რომ საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის დროს სუბიექტი აშკარად შეურაცხია. ამრიგად, ავტორის პოზიცია შემდგომ გამართვასა და დახვეწას საჭიროებს.

ობიექტურისა და სუბიექტურის დიალექტიკის თვალსაზრისით, რ. მიხევეის მონოგრაფიაში უურაღლებას იმსახურებს აგრეთვე საკითხი, თუ როგორ უნდა აიხსნოს შერაცხადობასა და ბრალზე წარმოებისა და ადამიანის ტექნიკური საქმიანობის სხვა სფეროში თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შედეგად მომხდარი ობიექტური ცვლილებები ამ მოვლენაში სისხლის სამართლის ლიტერატურაში წარმოშვა ე. წ. „სპეციალური შერაცხადობისა“ და „სპეციალური შეურაცხაობის“ ცნებები. სისტემა „ადამიანი — ტექნიკა“ ჩვენი ეპოქის ნაყოფია. ამასთან, ბრალის, შერაცხადობისა და სხვა სუბიექტური კატეგორიების კონსტრუქციები აუცილებლად უნდა ასახავდნენ ადამიანის საქმიანობის ახალ, რთულ ობიექტურ პირობებსა და მათი გათვალისწინების სუბიექტურ შესაძლებლობებს.

„სპეციალური შერაცხადობისა“ და „სპეციალური შეურაცხადობის“ ცნებები ითვალისწინებენ, უფრო სწორად, გულისხმობენ შერაცხადობისა და შეურაცხაობის ტრადიციული იურიდიული ცნებების დიფერენციაციას, დაყოფას ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა ობიექტური პირობების მიხედვით. საკითხის ამგვარმა გადაწყვეტამ შესაძლებელია სიგვიჟვანოს სუბიექტური კატეგორიებისა და ცნებების განუსაზღვრელ დანაწევრებამდე, ვინაიდან მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებიც განუსაზღვრელია. ასეთი დანაწევრება აღნიშნულ კატეგორიებსა და ცნებებს კარგს არაფერს უქადის, რადგან ამით ისინი აშკარად დაკარგავენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კრეტირიუმების მნიშვნელობას, თავის ძირითად როლსა და ფუნქციას სისხლის სამართალში.

რ. მიხევეი გარკვევით მიუთითებს წამოკრილი პრობლემის მოწესრიგების საშუალებებზე. იგი თვლის, რომ საჭიროა შეურაცხაობის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების (რომლებიც შეიძლება იყოს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათის — დ. ს., მ. უ.) დიფერენცირება და არა თვით შერაცხადობის ან შეურაცხაობის კატეგორიების დიფერენციაცია. ამდენად სამართალი უნდა დაად-



გეს, ერთი მხრივ, კანონმდებლობაში შემადგენლობების ზოგადი სახით კონსტრუირებისა და, მეორე მხრივ, სამართლებრივი დეფინიციების (მათ შორის შერაცხადობისა და შეურაცხადობის ცნებების) სრულყოფის, მათი ერთგვაროვანი გაგების გზას (იხ. გვ. 108). ავტორის მართებული დასკვნით, „იმ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებსაც არ გააჩნიათ ე. წ. „სპეციალური შერაცხადობის“ უნარი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, დანაშაულის სუბიექტური მხარის, სახელდობრ, გაუფრთხილებლობის სუბიექტური კრიტერიუმის ფარგლებში, ე. ი. იმ გარემოებათა გამორკვევის პლანში, რომლებიც გამოირიცხავენ „ტექნიკური“ დანაშაულის სუბიექტის ბრალს, და არა თვით სუბიექტს“ (იხ. გვ. 12). მაშასადამე, ადამიანის საქმიანობის ექსტრემალური პირობების დროსაც კი, ჩვენი აზრით, შენარჩუნებულ უნდა იქნეს ობიექტურის და სუბიექტურის ისეთი თანაფარდობა სისხლის სამართლის ძირეულ კატეგორიებში, რომელიც უზრუნველყოფს ამ უკანასკნელთა როგორც იურიდიულ ბუნების, ისე მათი ფუნქციური დანიშნულების შეუვალობას.

რ. მიხევის მონოგრაფია სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხსა და საინტერესო სახელესაც გვთავაზობს. ასეთია, მაგალითად, ავტორის საკანონმდებლო წინადადება მძიმე დავადებით შეპყრობილი (გარდა სულით ავადმყოფისა) მსჯავრდებულების მიმართ სასჯელის აღსრულების შეჩერების შესახებ (იხ. გვ. 180). უნდა აღინიშნოს, რომ ეს აქტუალური საკითხი ჭერ კიდევ არ არის ასახული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თუმცა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა როგორც პრაქტიკოსთვის, ისე სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის. მაგრამ კრიტიკულ გადასინჯვას საქიროებს ავტორის ზოგიერთი სხვა მოსაზრება. მაგალითად, მისი შეხედულებით, შუალობითი ამსრულებლობა ევენტუალური განზრახვითაც დასაშვებია (იხ. გვ. 259). ასეთი აზრი თავის დროზე მართებულად და საფუძვლიანად იქნა უარყოფილი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში⁶, ამიტომ მას აქ აღარ გავიმეორებთ. საკმარისია მხოლოდ ითქვას, რომ მიხევის ეს პოზიცია არათანმიმდევრულია. შუალობითი ამსრულებლობის ცნებას რომ აყა-

ლიბებს, ავტორი გარკვევით მიუთითებს დანაშაულებრივ მიზანზე იმ სუბიექტის ქმედებაში, რომელმაც დანაშაული შუალობითი ამსრულებლობის ფორმით ჩაიდინა (იხ. გვ. 255). მიზანი კი, როგორც საყოველთაოდ აღიარებულია, მხოლოდ პირდაპირი განზრახვისათვის არის დამახასიათებელი.

ობიექტურისა და სუბიექტურის თანაფარდობის პრობლემა ლოგიკური აუცილებლობით მოითხოვს პასუხს კითხვავზე: რა გავლენას ახდენენ სუბიექტური ნიშნები ობიექტურ მომენტზე ანდა პირიქით? ამ თვალსაზრისით საყურადღებოა რ. მიხევის ნაშრომის ის ნაწილი, სადაც იგი შეურაცხი სუბიექტის საზოგადოებრივი საშიშროების საკითხებს ეხება. ნაშრომის შინაარსი ცხადყოფს, რომ შეურაცხის ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხსა და ხასიათს არსებითად განაპირობებს მისი ისეთი პიროვნული ნიშნები, როგორც არის ფსიქიკური დავადების კლინიკური ფორმა, დავადების განვითარების სტადია, ფსიქოპათოლოგიური დარღვევების სიღრმე და სიმყარე, ასეთი სუბიექტის განწყობის შინაარსი, დავადების პროგრესული ხასიათი, მისი ინტენსიურობა და სხვ. ზემოთ აღნიშნა ისიც, რომ ადამიანის მოქმედების ექსტრემალურმა პირობებმა შეიძლება გამოირიცხოს ბრალი. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ობიექტური და სუბიექტური ნიშნები მოწყვეტილნი კი არ არიან ერთმანეთს, არამედ მათ შორის ორგანული კავშირი და უწყვეტი ურთიერთქმედებაა. ისინი განუწყვეტელ ზემოქმედებას ახდენენ ერთმანეთზე და არათუ არ აკნინებენ ან შთანთქვენ ერთმანეთს, პირიქით, ავსებენ ურთიერთს, რითაც დიალექტიკურ ერთიანობას ქმნიან.

შეურაცხის საზოგადოებრივი საშიშროების საკითხთან დაკავშირებით რ. მიხევი წერს: „შეურაცხის საზოგადოებრივი საშიშროება ობიექტურ რეალობას წარმოადგენს და არა შეფასებით კატეგორიასო“ (იხ. გვ. 280). მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ავტორის პოზიცია არ უნდა იყოს მართებული, ვინაიდან არ შეიძლება ერთმანეთისაგან კავშირის გარეშე, სრულიად მოწყვეტილად იქნეს წარმოდგენილი, ერთი მხრივ, შეფასება, ხოლო მეორე მხრივ, შეფასების საგანი. დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით „შეფასება არის ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობა საგნებისა და მოვლენების ობიექტური

⁶ იხ. გამყრელიძე ო. დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა. თბ., 1974, გვ. 56.

თვისებების საფუძველზე⁷. ამის შესაბამისად, საზოგადოებრივი საშიშროება, პირიქების იქნება იგი, თუ ქმედობისა, ობიექტურ თვისებასაც წარმოადგენს და შეფასებით კატეგორიასაც. შეფასება აქ მეორეულია და ამავე დროს იმ ობიექტურ სინამდვილესაც ასახავს, რომელიც საზოგადოებისათვის რეალურ საშიშროებაშია გამოხატული. როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია აღნიშნული „ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი ობიექტურია, მაგრამ სისხლის სამართალში გამოვლინება მათ მხოლოდ შეფასების წყალობით შეუძლიათ. ამიტომ გამოთქმას „საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი“, კონტექსტის მიხედვით; შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს. იგი შეიძლება აღნიშნავდეს ობიექტურ მოვლენას: საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, მაგრამ ამავე გამოთქმით აღინიშნება საზოგადოებრივი საშიშროების საკანონმდებლო შეფასება“⁸.

ამრიგად, საზოგადოებრივი საშიშროება, ცხადია, ობიექტურ შინაარსს არ არის მოკლებული, მაგრამ ამავე დროს, როგორც სამართლებრივი კატეგორია, იგი შეფასებით მომენტსაც გულისხმობს, ვინაიდან მასში ფაქტობრივად გამოხატულია საზოგადოების, სახელმწიფოს, კლასის, მართლწესრიგის დამოკიდებულება, პოზიცია განსაზღვრული მოვლენისადმი. აღნიშნული დამოკიდებულება კი სხვა არაფერია, თუ არა შეფასება. ეს უკანასკნელი ის აუცილებელი სუბიექტური მომენტია, ურომლისოდაც საზოგადოებრივი საშიშროების ცნება არსებითად მნიშვნელობას დაკარგავდა სამართლისა და მართლმსაჯულებისათვის. მაშასადამე, ობიექტურს აქაც თან ახლავს სუბიექტური და ეს სრულიად არ არის შემთხვევითი, რადგან ასეთია თვით სამართლის ბუნებაც.

ობიექტურისა და სუბიექტურის თანაფარდობა ფიგურირებს სისხლის სამართლის ძი-

რეულ ინსტიტუტებსა და კატეგორიებში; იგი, შეიძლება ითქვას, თანამედროვე სისხლის სამართლის საკვანძო პრობლემაა, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს ეძღვნება სწორედ რ. მიხევეის მონოგრაფია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე წერილში ნაშრომის მიმართ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები სრულიად ვერ ამცირებს მის ძირითად ღირსებებსა და იმ მნიშვნელოვან დასკვნებს, რომლებსაც იგი იძლევა როგორც თეორიისათვის, ისე პრაქტიკისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი განიხილავს თანამედროვე პრობლემებს და უახლეს შეხედულებებს, იგი იურიდიული აზროვნების მიერ წარსულში მოპოვებულ არც იმ მიღწევებსა და რაციონალურ მეგვიდრობას ივიწყებს, რომლებმაც დროის გამოცდას გაუძლო. ნაშრომი მდიდარია არა მარტო თეორიული ხასიათის დებულებებით, არამედ აგრეთვე პრაქტიკული მნიშვნელობის დასკვნებითა და რეკომენდაციებით. ამით გამოკვეთილია თეორიისა და პრაქტიკის ორგანული კავშირი და ერთიანობა. უყურადღებოდ არ არის დატოვებული სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკის გამოცდილება მოცემულ სფეროში და ყოველივე ამას თავისი შესაფერისი ადგილი აქვს დათმობილი მონოგრაფიაში.

ამრიგად, შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ რ. მიხევეის მონოგრაფია „შერაცხადობისა და შეურაცხაობის პრობლემები საქმეთა სისხლის სამართალში“ ფუნდამენტური მნიშვნელობის გამოკვლევაა. არსებითად იგი განსახილველი პრობლემათიკის სფეროში სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკის მთელი წინანდელი მიღწევების შეჯამება და განვითარებაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემოქმედებითი წვლილი არის შეტანილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის სუბიექტის, მისი პირიქების მეცნიერული შესწავლის საქმეში.

⁷ Тугариов В. П. Философия сознания. М., 1971, стр. 54.

⁸ Демидов Ю. А. Социальная ценность и оценка в уголовном праве. М., 1975, стр. 79.

თათბირ-სემინარები

1984 წლის 19 მარტს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სხდომათა დარბაზში გაიმართა მმაჩის ორგანოების მუშაოთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი.

რესპუბლიკის მმაჩის ორგანოების მუშაობის შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ა. აბესაძემ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრისა და 1984 წლის თებერვლის პლენუმებმა, თქვა, მან, დიდი ამოცანები დაუსახეს ადმინისტრაციული ორგანოების, მათ შორის მმაჩის ორგანოების მუშაობას. მათ პრაქტიკულ გადაწყვეტას უდიდესი პოლიტიკური, სოციალური და ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს. ეს კიდევ ერთხელ ხაზგასმით ითქვა ამას წინათ გამართულ პარტიული აქტივის კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. შევარდნაძის გამოსვლაში.

ბოლო ხანს რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის, ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის. რა მდგომარეობაა ამ მხრივ რესპუბლიკის მმაჩის ორგანოებში? ერთგვარი გარდატეხა და სიახლე აქაც იგრძნობა, მაგრამ გასაკეთებელი ცოტა როდია. ხშირად ჩვენ დარღვევათა უბრალო რეგისტრატორების როლში გამოვდივართ ნაცვლად იმისა, რომ ქმედითად ეზრუნავდეთ ამ დარღვევათა მიზეზების დადგენისა და მათი აღმოფხვრისათვის. სათანადო წესრიგი არ არის დამყარებული მკვედრად შობილთა და ერთ წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რეგისტრაციის საქმეში. მმაჩის ორგანოები სისტემატურად არ აანალიზებენ განქორწინებათა მიზეზებს და აღმასკომებში განსახილველად არ შეაქვთ საკითხები მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, თბილისის

ორჯონიკიძის რაიონში ბოლო სამი წლის მანძილზე განქორწინებათა რაოდენობა მნიშვნელოვნად ჰარბობს დაქორწინებათა რაოდენობას. ეს, ცხადია, საგანგაშოა და სპეციალურ ანალიზს საჭიროებს. ამ მხრივ მმაჩის ორგანოები ჭეროვან დახმარებას ვერ უწყვეენ აღმასკომებს. იუსტიციის სამინისტროში შემოსული მრავალი საჩივარი თუ განცხადება ნათელყოფს, რომ მმაჩის ზოგიერთ განყოფილებაში მომსახურების დონე უადრესად დაბალია, უხეშად ირღვევა მოქალაქეთა მიღების წესები, მათ მოთხოვნებს ბიუროკრატიულად განიხილავენ, არის გამოძალვის და სხვა დანაშაულებრივი ფაქტები. დღევანდელი თათბირ-სემინარის უმთავრესი დანიშნულება ის არის, რომ დაუყოვნებლივ გაეზარდოს მმაჩის ორგანოების თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა, რათა მათ იმუშაონ ახალ მრავლენათა შესაბამისად.

რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე „საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურას, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების სამმართველოს მიერ 1983 წელს მმაჩის ხაზით გაწეული მუშაობის შესახებ“ მოხსენებით გამოვიდა ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. კოლუაშვილი.

თათბირ-სემინარზე გამოვიდნენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს რეფერენტი მმაჩის ხაზით რ. ბაბროვა, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რესპუბლიკური გამოთვლითი ცენტრის წარმომადგენელი თ. გამყრელიძე, ზესტაფონის რაიონმასკომის მმაჩის განყოფილების გამგე ვ. მაღლაკელიძე, გულრიფშის რაიონმასკომის მმაჩის განყოფილების გამგე თ. ქობალია, ახალციხის რაიონმასკომის მმაჩის განყოფილების გამგე ნ. ღონდაძე, მმაჩის რესპუბლიკური არქივის გამგე ც. ხომერიკი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სტატისტიკის განყოფილების გამგე თ. ჭინჭარაძე.



თათბირ-სემინარზე გამოსვლებმა დაწვრთვებით ილაპარაკეს საკუთარ შრომით საქმიანობაზე, მიღებულ გამოცდილებასა და იმ მიზეზებზე, რომლებიც მათ ხელს უშლის მუშაობაში. ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ ასეთი თათბირ-სემინარები დიდად შეუწყობს ხელს მმაჩის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ამ სფეროში მომუშავე ახალბედების პროფესიულ დასტატებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სტატისტიკის განყოფილების გამგემ **თ. ჯინჭარაძემ** უპასუხა თათბირ-სემინარის მონაწილეების მრავალ შეკითხვას.

რესპუბლიკური თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა და დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულებს საპატიო სიგელები გადასცა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ **ა. აბესაძემ**.

* * *

1984 წლის 26 მარტს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სხდომათა დარბაზში გაიმართა ნოტარიატის ორგანოების მუშაეთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი.

სახელმწიფო სანოტარო კანტორებში მუშაობის ხარისხისა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლების თაობაზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ **ა. აბესაძემ**. მთელი ჩვენი ქვეყნის მმართველები, თქვა მან, თავდადებით შრომობენ, რათა წარმატებით გადაწყვიტონ სსკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრისა და 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებით დასახული ამოცანები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსაგან მოითხოვს სანიმუშო დისციპლინისა და წესრიგის დამყარებას ყველა რგოლში, მათ შორის ნოტარიატის ორგანოების საქმიანობაშიც. სახელმწიფო სანოტარო კანტორებში მკვეთრად უნდა გავაუმჯობესოთ მუშაობის ხარისხი, ღღენიდავ ვზრუნავდეთ კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო სანოტარო კანტორებს ჯერ კიდევ არა აქვთ სრულყოფილი საცნობარო-საინფორმაციო მასალა, ღღევანდელ მოთხოვნებს არ უპასუხებს არც საქმის წარმოების კულტურა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საადრულეობო წარწერებით კოოპერაციულ ბინებზე დავალიანების დაფარვას.

მოხსენება „რესპუბლიკის სანოტარო კანტორების მუშაობის შესახებ“ გააკეთა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების სამმართველოს უფროსმა **ზ. დევდარიანმა**.

თათბირ-სემინარზე გამოვიდნენ აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი **ნ. უშვერიძე**, აფხაზეთის ასსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი **კ. ჩავანავა**, ქ. ცხინვალის 1-ლი სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი **ი. ჯაბიფი**, ქ. თბილისის 1-ლი სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი **ზ. ისაკაძე**, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის სამმართველოს მიწისზედა ნაგებობათა ინვენტარიზაციის განყოფილების გამგე **ი. კვაშალი**, ჩხორიწყუს რაიონის სახელმწიფო ნოტარიუსი **რ. ჩარქსელიანი**, ქ. თბილისის 25-ე სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი **ე. მსხილაძე**, ქ. თბილისის 26-ე სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი **ა. გასპაროვი** და ქ. თბილისის მე-4 სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი **მ. დოლიძე**.

თათბირ-სემინარზე გამოსულმა ორატორებმა ილაპარაკეს მათ მიერ გასულ წელს გაწეულ მუშაობაზე, შექმნილ გამოცდილებაზე, მათს საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, წამოაყენეს საქმიანი წინადადებანი და დასახეს ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები, აღნიშნეს, რომ ასეთი თათბირ-სემინარები უაღრესად საჭიროა და ბევრად გააუმჯობესებს ნოტარიატის ორგანოების მუშაობას.

რესპუბლიკური თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა და დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულებს საპატიო სიგელები გადასცა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ **ა. აბესაძემ**.

* * *

1984 წლის 28 აპრილს იუსტიციის სამინისტროს სხდომათა დარბაზში გაიმართა სახალხო მეურნეობის იურიდიული სამსახურის მუშაკთა თათბირ-სემინარი თემაზე: „სოციალისტური საკუთრების დაცვის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის, 1984 წლის თებერვლისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რესპუბლიკის იურიდიული სამსახურის წინაშე მდგომი ამოცანები“.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ა. აბესაძე, თანამოხსენებით — საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრის მოადგილე ჯ. ჯალაღანია.

კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს

სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პრობავანდის სამმართველოს უფროსი გ. მქაჩაძე, ქ. თბილისის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ე. ჩარვაია, სახელმწიფოს სტანდარტების რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე მ. გეგეშიძე, სახმომარაგების იურიდიული განყოფილების უფროსი მ. გოგინაშვილი, იურისკონსულტთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ჯავახიშვილი, მახარაძის აგროსამრეწველო გაერთიანების იურიდიული განყოფილების უფროსი გ. ვასაძე, ცეკავშირის იურიდიული განყოფილების უფროსი ი. იაშვილი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსი თ. საბიაშვილი.

განხილულ საკითხზე თათბირ-სემინარამ მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

საკოორდინაციო საბჭოს გაფართოებული სხდომა

17 მარტს გაიმართა თბილისის სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელზეც მკონტროლებელი ორგანოების („სახსტანდარტის“ საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო, ვაჭრობის სამინისტროს ვაჭრობისა და ხარისხის ინსპექციის მთავარი სამმართველო, სახელმწიფო არბიტრაჟი, ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკური კანტორა და სხვა) წარმომადგენელთა გარდა, მოწვეულნი იყვნენ მსუბუქი, ადგილობრივი, კვების, ხილბოსტნეულის მეურნეობის და სხვა იმ სამინისტროთა საუწყებო კონტროლის სამსახურების ხელმძღვანელები, რომელთა დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებშიც უზარისხო პროდუქციის გამოშვებამ და მიწოდებამ ქრონიკული ხასიათი მიიღო.

მოხსენება „დედაქალაქის საწარმოებში უზარისხო, არასტანდარტული და არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში კანონმდებლობის დაცვისა და ამ სფეროში პროკურატურის, არასაუწყებო და საუწყებო კონტროლის ორ-

განოების ამოცანების შესახებ“ გააკეთა ქ. თბილისის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა ე. ჩარვაიამ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ: „სახსტანდარტის“ საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების უფროსის მოადგილე მ. გეგეშიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრი გ. თითბერიძე, რესპუბლიკის ვაჭრობისა და ხარისხის ინსპექციის მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსი ლ. ფხიკიძე, ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსის მოადგილე გ. კინწურაშვილი, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხარისხისა და სტანდარტების განყოფილების უფროსი გ. იმნაიშვილი, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურორი გ. ნადარეიშვილი, ქ. თბილისის საქარხნო რაიონის პროკურორი ა. ლომიძე.

მოხსენებელმა და კამათში მონაწილე ორატორებმა აღნიშნეს, რომ სამართალდაცვითმა, არასაუწყებო და საუწყებო კონტ-

როლის ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს ბრძოლის გამწვავება სამეურნეო ურთიერთობათა სფეროში გავრცელებულ სამართალდარღვევებთან, ვერ მიადწიეს პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლაში სამართლებრივი ზემოქმედების საშუალებათა როლის ამაღლებას, ვერ შექმნეს სამართალდაცვითი და მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის ეფექტიანი სისტემა. ქალაქში მთლიანად არ ვლინდება უხარისხო, არასტანდარტული და არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვების ფაქტები, ხშირად თანამდებობის პირები ამ სამართალდარღვევისათვის პასუხს არ აგებენ. იმ პირებს, რომლებიც უშუალოდ არიან დამნაშავენი უხარისხო პროდუქციის გამოშვებისა და იმ ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია ამ პროდუქციის მიწოდებამ, არ აკისრებენ მატერიალურ პასუხისმგებლობას. უმნიშვნელოა ამ საქმეში იურიდიული სამსახურის როლი. მაკონტროლებელი ორგანოები პროკურატურას არ უგზავნიან სათანადოდ გაფორმებულ მასალებს ცუდი ხარისხის, არასტანდარტული ან არაკომპლექტური პროდუქციის არაერთგზის ან დიდი ოდენობით გამოშვების ფაქტების შესახებ. ამ მიზეზით ბრალულ თანამდებობის პირებს იშვიათად ან ხაერთოდ არ აძლევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებში. პროკურატურისა და მაკონტროლებელი ორგანოების სამუშაო გეგმები წინასწარ არ არის შეთანხმებული, რაც იწვევს შემოწმების დუბლი-

რებას. ამის გამო უქმად იყარება დრო და ენერგია, ზედმეტად ცდებიან შესამოწმებელ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები, ეფექტიანობა კი ნაკლებია. პროკურორები ხშირად არ აღგენენ, თუ რა შედეგი მოჰყვამათ მიერ გაგზავნილ წარდგინებას ან სხვა აქტს, აღმოფხვრა თუ არა სამართალდარღვევა ფაქტობრივად. ეს კი, როგორც არაერთგზის ხაზგასმით არის აღნიშნული, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებებში, მთავარია პროკურატურის ორგანოების საქმიანობაში.

სსრკ-ის შედეგები შეაჯამა ქალაქის პროკურორმა, სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ ს. ნანიტაშვილმა.

განხილულ საკითხზე მიღებულია კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს დედაქალაქის სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებას ამ სფეროში.

საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი ჯ. ხეცურიაძე.

ი. გაბისონია,

ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი, სსრ კავშირის პროკურატურის ინსტიტუტის ასპირანტი.

თეორიული კონფერენცია

1984 წლის 30 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს თბილისის ინდუსტრიულმა ტექნიკუმმა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პრობაგანდის სამმართველომ მოაწვეეს მშობელთა, პედაგოგ-ორგანიზატორთა და მასწავლებელთა თეორიული კონფერენცია თემაზე: „ახალგაზრდა, ოჯახი, სკოლა, საზოგადოება, კანონი“.

ინდუსტრიული ტექნიკუმის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ ტექნიკუმის მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები.

თეორიული კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორმა მ. აფხაზაშვილმა. მან თქვა, რომ ასეთი შეხვედრები დიდ სამხატვრო გაუწევს ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის უადრესად მნიშვნელოვან საქმეს. მართალია, თქვა მან, ჩვენი ტექნიკუმის არც ერთ მოსწავლეს ხისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია, მაგრამ დღევანდელი ჩვენი შეხვედრა დიდ პროფილაქტიკურ მიზნებს იხასიახვს, რადგან სამართალდარღვევებთან ბრძოლისათვის დარბაზში უნდა იყოს მთელი საზოგადოება, თითოეული ხაზბოთა ადამიანი.

კონფერენციის მონაწილეებს ახალგაზრდებს შორის თავისუფალი დროის სწორი ორგანიზაციის პრობლემაზე ესაუბრა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი ბ. მიძნანძაძე. ახალ კონსტიტუციაში, თქვა მან, ოქროს ასობით არის ჩაწერილი ახალგაზრდობის უფლება — იმუშაოს, ისწავლოს, დაისვენოს, აშენოს ნათელი მომავალი. სკოლაში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ნიჭიერი, ბეჯითი, პატრიოტი ახალგაზრდობა ყალიბდება როგორც მომავლის მშენებელი, აქ ზდება მისი, როგორც მოქალაქის, ფორმირება. „აღზრდა, — თქვა ე. ა. შევარდნაძემ მასწავლებელთა IV ყრილობაზე, — ემყარება დარწმუნების მეთოდს: ძალით კაცს ვერ აღზრდი. მხოლოდ დარწმუნების გზით შეიძლება აღამიანში ანთო რწმენის ჩირაღდანი. ჩვენ უნდა მივადწიოთ იმას, რომ ზნეობრივი აღზრდის დარგში სკოლასა და ოჯახში დავამყაროთ ერთიანი მორალური მოთხოვნები. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის პირობებში, რადგანაც მრავალი ოჯახი იყო ტრავმირებული და დემორალიზებული კომბინატორების, მექრთამეების, გამომძაღველებისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტების მომძღვარების პერიოდში“.

აღზრდის ეს ამოცანა მთელი სერიოზულობით დგას პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, აღმინისტრაციული ორგანოების წინაშე. მიხე სორცშესხმა თითოეული საბჭოთა აღამიანის წმიდათაწმიდა მოვალეობად უნდა იქცეს. სხვანაირად ამ საქმეში გამარჯვებას ვერ მივაღწევთ.

„სამართლდამცველი ორგანოების როლი ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის საქმეში“ — ასეთი იყო ჟ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლის, ბ. წულუპიძის საუბრის თემა. მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, თქვა მან, შეუნებებელ ბრძოლას ეწვივან საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, მისი ცენტრალური კომიტეტი. ჩვენს რესპუბლიკაში ყველა ბელსაყრელი პირობა შეიქმნა მოზარდი თაობის

კომუნისტური აღზრდისათვის. ეს უკანასკნელი კი თავისთავად გულისხმობს ახალგაზრდობის სწორ სამართლებრივ აღზრდასაც, რადგან მთელ აღმზრდელობით კომპლექსში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არასრულწლოვანთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევების თავიდან აცილების, სამართალდარღვევების პროფილაქტიკის ღონისძიებებს. ამ ღონისძიებათა განხორციელებაში მიღწეულ გარკვეულ წარმატებებთან ერთად ჯერ კიდევ არის შეცდომები და ხარვეზები, რომლებიც ზშირად წარმოშობს არასრულწლოვანთა უღისცაობის, თავაშვებულობის, მართლწესრიგის დარღვევის, ზოგჯერ კი დანაშაულის პირობებს. თითოეული ასეთი შემთხვევა მთელი საზოგადოების განხილვის საგნად უნდა იქცეს. საკითხისადმი მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება შევქმნათ მართლწესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ჭეშმარიტად სახალხო ლაშქრობა.

ახალგაზრდობის და დანაშაულის პრობლემებზე კონფერენციის მონაწილეებს ესაუბრა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი კონსულტანტი ზ. მისნენბისპირი. როცა საქმე, ახალგაზრდობას, ჩვენი ქვეყნის მომავლს ეხება, თქვა მან, უკომპრომისო ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ფორმალისმსა და ბიუროკრატიზმს, თვალის ახვევასა და სიყულობებს, არსებული ნაკლოვანებების მიფუჩეჩება-შელამაზებას, ზედაპირულობასა და ზერელობას, რადგან ყოველივე ეს აღზრდის უპირველესი მტერია და უაღრესად უარყოფითს გავლენას ახდენს მოზარდი თაობის კომუნისტური სულიკვეთებით აღზრდაზე. იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ მოზარდთა შორის დანაშაულებრივი ქმედობანი, საქიროს გავაუმჯობესოთ სამართლებრივ-პროპაგანდისტული მუშაობა. ერთი და ორი შემთხვევა როდია, როცა ახალგაზრდა დანაშაულს სჩადის, შემდეგ კი გულწრფელად ინანიებს და აღიარებს, რომ მან არ იცოდა, თუ რა სამართლებრივი ნორმით კვალიფიცირდებოდა მისი ქმედობა. აქედან მხოლოდ ერთადერთი და-

სკენის გამოტანა შეიძლება: ჭერ კიდეც სათანადო დონეზე ვერ დგას ახალგაზრდობას შორის სამართლებრივი პრობლემა. ეს თანაბარწილად ეხება ოჯახს, სკოლას, საზოგადოებას. საჭიროა მივალწიოთ, რომ თითოეული მოზარდი სისტემატურად ეცნობოდეს მოქმედ სამართლებრივ ნორმებს.

მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობა, თქვა კონფერენციაზე ინდუსტრიული ტექნიკუმის განყოფილების გამგემ, პედაგოგმა ნ. ბარბაქაძემ, — ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია, რადგან ტექნიკუმის მოსწავლეთა დიდი ნაწილი ჩამოსულია რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან და, ამდენად, მათს მშობლებთან აქტიური კონტაქტების დამყარება ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. ამის საილუსტრაციოდ მარტონის იემარება, რომ მშობელთა სრულყოფილი კრების გამართვის საშუალებას მოკლებულნი ვართ. მიუხედავად ამისა, გამოვძებნეთ მშობლებთან ურთიერთობის ქმედითი ფორმები. მაგალითად, მოსწავლეთა უდიცინობისა თუ წესრიგის დარღვევის არც ერთ ფაქტს ურთავირებოდ არ ვტოვებთ — დაუყო-

ვნებლივ ვატყობინებთ მშობლებს და ერთიანი ძალით ვიბრძვით მოზარდის სწორი აღზრდისათვის. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ დანგრეული ოჯახების შვილებს, რადგან ყველაზე მეტად სწორედ მათ შეემჩნევათ გზის გამრუდების ტენდენცია.

საღამრიგებლო ჯგუფთან მუშაობაზე ილაპარაკა ინდუსტრიული ტექნიკუმის № 718 ჯგუფის დამრიგებელმა რ. პაპულაშვილმა. ჩვენი მიზანია, თქვა მან, რომ თითოეული ჩვენი მოსწავლე მაქსიმალურად იყოს დატვირთული. ეს განსაკუთრებით თავისუფალ დროს ეხება. თუ მოსწავლე ჩამოშლია სხვადასხვა წრეებისა თუ სექციების მუშაობაში, მას, ბუნებრივია, დრო აღარ რჩება ეგრეთ წოდებული ავიზრახვებისათვის. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მოზარდთა ესთეტიკური აღზრდის საკითხებს. ამ მიზნით ზშირად ვაწყობთ კოლექტიურ სვლებს, ლექცია-საუბრებს და სხვ.

შემდეგ ორატორებმა უპასუხეს კონფერენციის მონაწილეთა მრავალრიცხოვან შეკითხვას.

დასასრულ უჩვენეს დოკუმენტური ფილმი „საშიში მტერი“.

ცნობები ავტორთა შესახებ

განსარიონ ინუსის ძე ზორიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 7 სამეცნიერო შრომის ავტორი. მეოთხედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

სერგო მანასაძე ძე ჯორბანაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი მეცნიერული შრომისა და წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს „საბჭოთა სამართალში“.

ალექსანდრე მირიანის ძე ჟღენტო — საქართველოს სსრ პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, 81 შრომისა და 5 მონოგრაფიის ავტორი.

გიორგი არაბაძის ძე ქველიძე — გამომცემლობა „მირ“-ის იურიდიული განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, მეორედ იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

ნინო ივანეს ასული ერკომაიშვილი — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, სისტემატურად იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

თეგვიჯ ამირანის ძე ბაშაშვილი — ადვოკატი, პირველად იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

მელორ ლუპას ძე ბარათელი — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსი კონსულტანტი, პირველად იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

მახსანბ ალექსანდრეს ძე სიღამონიძე — ადვოკატი, 12 შრომისა და 2 წიგნის ავტორი.

აჭალია ივანეს ასული დოღბოვა — სსრ კავშირის პროკურატურის დანაშაულის წარმომზობი მიზეზების შესწავლისა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავების საკავშირო ინსტიტუტის კრიმინოლოგიის ზოგადი პრობლემების სექტორის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პირველად იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

ვლადიმერ კავლას ძე მურაშოვი — სსრ კავშირის პროკურატურის დანაშაულის წარმომზობი მიზეზების შესწავლისა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავების საკავშირო ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, პირველად იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

დავით დავითის ძე სულაქველიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, 3 შრომის ავტორი, მესამედ იბეჭდება „საბჭოთა სამართალში“.

მინდია გურამის ძე უბრახელიძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 50 შრომისა და 2 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

შეცდომის გასწორება

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1984 წლის პირველი ნომრის მე-14 გვერდის ქვემოდან მე-11-12 სტრიქონებში ნაცვლად „აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადამეტებით“, უნდა იყოს „აუცილებელი მოგერიების შედეგობარობაში“.

გარეკანის კირველ გვერდზე: ქ. თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოს
მსაჯულთა საბჭოს შორივ მეცადინეობას ატარებს სახალხო მოსამართლე ლ. ადამიძე.
ბ. სეიბანიანის სლოგი.


«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 2, 1984 (на грузинском языке). Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР,

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел. 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Ордена Трудового Красного Знамени типография издательство ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6102/93



ფანსი 60 353.

ნიმუში 76185

დავით აღმაშენებლის ხეობის მუზეუმი, თბილისი

დავით აღმაშენებლის ხეობის მუზეუმი, თბილისი

დავით აღმაშენებლის ხეობის მუზეუმი, თბილისი